დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლელა ფიცხელაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

1. მაია მამისეიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
2. ვახტანგი კურცხალია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
3. ნიკოლოზ გურგენიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
4. თინათინ ბეგიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
5. მადონა ბობოხიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
6. ვერა გუდაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
7. თეა გაბისონია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
8. ნონა გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
9. მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
10. ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარი სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	ს/კ 218049270

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	გორის მუნიციპალიტეტი სოფელი ხელთუბანი
იურიდიული მისამართი	გორის მუნიციპალიტეტი სოფელი ხელთუბანი
ფაქტობრივი მისამართი	გორის მუნიციპალიტეტი სოფელი ხელთუბანი
საფოსტო ინდექსი	1400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Kheltubani@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577922544

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 1 23 0000830677 06/07/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 27 და 28 ივლისს

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული ენა	გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ხელთუბანი
2	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ხელთუბანი
3	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული ენა	გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ხელთუბანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმების მიზნით განხორციელდა ვიზიტი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლაში.

ექსპერტთა ჯგუფი, ვიზიტის დაწყებამდე გაეცნო სკოლის თვითშეფასებას და თანდართულ დოკუმენტაციას. ჯგუფმა შეიმუშავა დღის წესრიგი, წარმოების ფარგლებში დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეცა ვიზიტამდე.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას.

დღის წესრიგით განსაზღვრულ დროს ჩატარდა ინტერვიუირება დაწესებულების წარმომადგენლებთან, კერძოდ : სკოლის დირექტორთან, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებთან, საქმისმწარმოებელთან, მულტიდისციპლინური გუნდის წევრებთან, საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებთან.

ვიზიტი განხორციელდა ჰიბრიდული ფორმით. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის ექსპერტი იმყოფებოდა ადგილზე ვიზიტით, ხოლო დანარჩენ საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუ .

აღიწერა და შეფასდა ოთხივე სტანდარტის ყველა კომპონენტი. სკოლამ უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, თუმცა არასრულად.

ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განმარტეს ზოგიერთი საკითხი. ვიზიტის დასასრულს ექსპერტების მიერ წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაეცნო დაწესებულების წარმომადგენლებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ **არ შეესაბამება**
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 381	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	**სკოლის ფილოსოფია**	***ხარვეზი***
ინდიკატორი		*ხარვეზი არ დაფიქსირებულა*
სტანდარტი 3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***ხარვეზი***
ინდიკატორი ...		*ხარვეზი აღმოიფხვრა*
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	
ინდიკატორი		*ხარვეზი აღმოიფხვრა*

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი არ დაფიქსირებულა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	**სკოლის ფილოსოფია**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი		
სტანდარტი 3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
ინდიკატორი ...		
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	**სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (27/02/2024; 22/06/2024; 01/11/2023) :** 1. მოიპოვოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა. 2. მოიპოვოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. 3. უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უფლებამოსილ უწყებასთან.

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.6.3.1	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	**სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (11/01/2023) უზრუნველყოს:** 1. სკოლის ვებ გვერდის დამზადების თაობაზე შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა; 2. ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხიმგებელი პირის გამოყოფა; 3. ვებ გვერდზე სტანდარიით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება.
3.6.3.4	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	**სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (11/01/2023) უზრუნველყოს:** 1. სკოლის ვებ გვერდის დამზადების თაობაზე შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა; 2. ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხიმგებელი პირის გამოყოფა; 3. ვებ გვერდზე სტანდარიით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება.
3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი	**სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (11/01/2023) უზრუნველყოს:** 1. სკოლის ვებ გვერდის დამზადების თაობაზე შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა; 2. ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხიმგებელი პირის გამოყოფა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	3. ვებ გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება.
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი		
4.1.1.3	მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.	**სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (15.09.2023) უზრუნველყოს:** მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულების გაფორმება.

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი 1.1.1.5.	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;*	ვინაიდან სკოლას არ აქვს ვებ-გვერდი, სასურველია მის შექმნამდე სკოლამ დამატებით გამოიყენოს სხვადასხვა არხი სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროდ გასავრცელებლად და ხელმისაწვდომობის გასაძლიერებლად.
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	***რჩევა***
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და შეიმუშაოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ჩართულობით.
3.4.1.6	სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;	სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პრინციპებს და ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურებს.
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი 4.2.2.3	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს	სასურველია სკოლამ შეიმუშაოს მეთოდოლოგია , როგორ მოახდენს ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გაწეული მომსახურების შეფასებას, რომელ ინსტრუმენტებს გამოიყენებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.	

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	*რჩევა*
2.1.1.3.	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი /საგანი-მათემატიკა/	პირველი ოთხწლედის კურიკულუმის ჩარჩოების სრულყოფისთვის სასურველია გაითვალისწინონ მეხუთე-მეექვსე კლასების კურიკულუმის ჩარჩოები.
2.1.2.3.	*დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი /საგანი-უცხოური ენები/*	*სასურველია კურიკულუმებშივე გათვალისწინდეს დიფერენცირებული მიდგომა*
2.2.2.1.	*დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი /საბუნებისმეტყველო საგნები/*	*კურიკულუმების სრულყოფის მიზნით, შემდგომი მუშაობის ეტაპებზე სასურველია სკოლამ გაითვალისწინოს:* 1. *III კლასის კურიკულუმის ჩარჩოში I თემის (ჩემი ქვეყნის ბუნება) და მეორე თემის (მზის სისტემა) - პირველ ძირითად საკითხთან მიუთითეთ გრიფირებული სახელმძღვანელოს- ავტორი და შესაბამისი გვერდი/გვერდები.* 2. *ზემოთ აღნიშნული ორივე თემის სასწავლო რესურსის - „საინტერესო ბმულებში“ ჩაამატეთ ელექტრონული მისამართები.* 3. *II თემის (მზის სისტემა) თემის ფარგლებში არ მუშავდება ხუთივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნებები - ორგანიზმი, საარსებო გარემო და სხეული დამუშავები* 4. *.მეორე, მესამე და მეოთხე ძირითად საკითხთან სასურველია, რომ მიეთითოს სასწავლო რესურსები და ბმულები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		5. ბუნებისმეტყველების IV კლასის კურიკულუმის ჩარჩო I თემის (დედამიწა) და II თემის (ციკლური პროცესები ბუნებაში) სასურველია იყოს დაზუსტებული. 6. ბუნებისმეტყველების V კლასის კურიკულუმის ჩარჩო: I თემის (კოსმოსი) , II თემის (ეკოსისტემა) , III თემის (მოვლენები ჩვენს გარშემო), სასურველია, რომ დააზუსტოს. 7. .ბუნებისმეტყველების VI კლასის კურიკულუმის ჩარჩოს I თემის (ენერგია და მისი გარდაქმნა) პირველ ძირითად საკითხთან სამიზნე ცნება ჩაასწორეთ ტერმინით ,,- გეოგრაფიული ობიექტი“. პირველ ძირითად საკითხთან მითითებულ სასწავლო რესურსი -გრიფირებული სახელმძღვანელო სასურველია , რომ მიეწეროს ავტორი და შესაბამისი გვერდი. სასწავლო რესური - ,,მულტიმედია რესურსები“ და ,,ტელესკოლის გაკვეთილები“ - სასურველია სიზუსტით დაემატოს ელექტრონული მისამართები; 8. II თემის (ნარევები და მათი დაყოფის ხერხები) თემის ფარგლებში სასურველია დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება ასევე, პირველ ძირითად საკითხთან სასურველია მიეთითოს გრიფირებული სახელმძღვანელოს ავტორი და შესაბამისი გვერდი, სასწავლო რესურსს - ,,ტელესკოლის გაკვეთილები“ სასურველია დაემატოს ყველა ელექტრონული მისამართი. 9. ამ ეტაპზე სასურველია და შემდეგი ეტაპისთვის მნიშვნელოვანი, რომ ცხრილებში დაემატოს განსაზღვრული კონტექსტ - მაგალითი
2.2.2.1	*საბაზო საფეხურის კურიკულუმი /საბუნებისმეტყველო საგნები/*	*კურიკულუმების სრულყოფის მიზნით, შემდგომი მუშაობის ეტაპებზე სასურველია სკოლამ გაითვალისწინოს:* 1. 1.IX კლასის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი II თემის (სტატიკა და დინამიკა) ფარგლებში სასურველია დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. ბიოლოგიია IX კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		2. I თემის (ადამიანის მარეგულირებელი სისტემები) პირველ ძირითად საკითხთან მითითებულ სასწავლო რესურსებს - „ვიდეორგოლი ენდოკრინულ და ეგზოკრინულ ჯირკვლებზე“ და „სტატია საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებულ ენდოკრინულ დაავადებებზე“ სასურველია იქვე მიეწეროს ელექტრონული მისამართები 3. II თემის (ადამიანის შეგრძნების ორგანოები) კურიკულუმის ჩარჩოში თემა სასურველია მიეთითოს უფრო გარკვევით(ე.ს.გ.-ის საგნობრივი სტანდარტის მიხედვით)
2.3.1.3	*საბაზო საფეხურის კურიკულუმი*	*4. უკეთესი შედეგებისათვის და მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების გაძლიერების მიზნით, სასურველია სკოლამ განახორციელოს საჭიროებების კვლევა და გამოიყენოს განხორციელებული კვლევის შედეგები*
2.3.2.4.	*საბაზო საფეხურის კურიკულუმი*	*სპორტში მიღწეული შედეგის* შეფასებისას სასურველია გათვალისწინდეს შეფასების კრიტერიუმები, რომლებსაც პედაგოგები გამოიყენებენ ფიზიკურ აღზრდაში მოსწავლეთა საერთო განვითარების დონის და შედეგის შეფასებისთვის
2.2.2.1.	*საშუალო საფეხურის კურიკულუმი /საბუნებისმეტყველო საგნები/*	1. ფიზიკის X კლასის კურიკულუმის ჩარჩო-I თემის (ელექტროსტატიკა) და II თემის (მუდმივი დენის კანონები) სასურველია დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. 2. ქიმიისა და ბიოლოგიის კურიკულუმის ჩარჩოში სასურველია , რომ ამ ეტაპზეც განსაზღვრონ ძირითადი კონტექსტ - მაგალითები

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას.

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;</u>**

<u>სკოლის მისია:</u> მოსწავლეთა პოტენციალის გამოვლენა და განვითარებაა, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ სიახლის შეცნობის მსურველ, განათლებულ და მზრუნველ მსოფლიო მოქალაქეებად. სკოლა ზრუნავს ეროვნული ინტერესებისა და ტრადიციების დამცველი, კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედი, კომუნიკაბელური, ზნეობრივად, სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი მოზარდის ფორმირებაზე, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელს შეუწყობს ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, მეცნიერული, ეკონომიკური და ბუნებრივი მონაპოვრების დაცვას, განვითარებასა და მომავალი თაობის მსოფლიო სივრცეში თვითრეალიზაციას.
სკოლის მმართველმა გუნდმა ინტერვიუირებისას აღნიშნა, რომ მისიის ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე იგეგმება მისი განახლება. იმის გათვალისწინებით , რომ მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს ინდიკატორი შეგვიძლია **შევაფასოთ სრული შესაბამისობით.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;**

ინტერვიუების ფარგლებშიც მასწავლებლები იხსენებდნენ ადგილობრივ თემთან ურთიერთობის და თანამშრომლობის გამოცდილებას, რომელიც შეეხებოდა როგორც სასწავლო პროცესს, ისე სკოლის საჭიროებებზე მორგებული ღონისძიებების ერთობლივად განხორციელებას. თავის მხრივ, სკოლის მისია და ხედვა მიზნად ისახავს ისეთი საგანმანათლებლო სივრცის ფორმირებას, რომელიც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. სკოლას გააზრებული აქვს გუნდური მუშაობის პრინციპი და საკუთარი როლი თემისა და პროცესში. იგი საკუთარი მიზნების განხორციელების პროცესში ეყრდნობა სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობასა და კომუნიკაციას როგორიც არის შეხვედრები, კვლევები, ინიციატივები, მოსაზრებები. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შესაძლებელია შეფასდეს სრული შესაბამისობით.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;**

სკოლის დირექციის განმარტებით სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით; სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშვების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა შეფასდა, ერთი მხრივ, წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის გზით, მეორე მხრივ კი საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში ინტერვიურების მეთოდით. წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს გორის მუნიციპალიტეტის ხელთუბნის საჯარო სკოლის მშობლების ჩართულობას მშობელთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრების გზით (მშობელთა კრების ოქმი), ამასთან, ფოკუს-ჯგუფების გზით სკოლამ უზრუნველყო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა. შემუშავებული და ფორმირებული მისია, ხედვა და ღირებულებები გაეცნო სკოლის სამეურვეო საბჭოს და შეთანხმდა მათ წევრებთან. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შესაძლებელია შეფასდეს სრული შესაბამისობით.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

გარდა ფიზიკური ხელმისაწვდომობისა, გაზიარების და მიკუთვნების შესაფასებლად საავტორიზაციო ვიზიტზე ექსპერტების მხრიდან დაისვა შესაბამისი სიღრმისეული შეკითხვები, რა დროსაც დისკუსიებისას გამოვლინდა მასწავლებლების წინარე გამოცდილებები, რაც ადასტურებდა მათ აქტიურ ჩართულობას დოკუმენტების განახლების პროცესში. სკოლის წარმომადგენლები იხსენებდნენ სკოლის ფილოსოფიაზე გამართულ მსჯელობებს, დებატებს, კონკრეტულ საკითხებს, რაც მიუთითებდა, ერთი მხრივ, დისკუსიების აქტიურ ხასიათზე, მეორე მხრივ კი კონსენსუსსა და შეთანხმებაზე ორიენტირებულ სამუშაო პროცესზე. სკოლის მისია , ხედვა და ღირებულებები წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს, ჩაშლილია საფეხურის მისიებად.
ამდენად, ინდიკატორი შესაძლებელია შეფასდეს სრული შესაბამისობით.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, საინფორმაციო დაფაზე. **ინდიკატორი ფასდება შესაბამისობით.**

რჩევა: ვინაიდან სკოლას არ აქვს ვებ-გვერდი, სასურველია მის შექმნამდე სკოლამ დამატებით გამოიყენოს სხვადასხვა არხი სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროდ გასავრცელებლად და ხელმისაწვდომობის გასაძლიერებლად.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სკოლის წესდების" მიხედვით, სკოლის სახელწოდებაა "სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლა", რომელიც სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას. **ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი);
- მისიის, ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- მშობელთა კრების ოქმი;

შეფასება:

- ***გთხოვთ, ასახოთ შეფასება.***
- ***შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.***

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;</u>**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია 23.06.2023წ. (ბრძანება #2-48). დოკუმენტი მოიცავს სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების ზოგად მიდგომებს, მოთხოვნებსა და სამუშაო პროცესებს. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება გუნდურობასა და კოლეგიალობაზე, თანამშრომლობასა და თანამონაწილეობაზე და ამ კონტექსტში ისეთი სამართლიანი და თანასწორუფლებიანი სამუშაო გარემოს ფორმირებაზე, რომელიც ჩართულ/დაინტერესებულ პირებს სკოლის განვითარებაზე საკუთარი ხედვის გამოხატვის საშუალებას მისცემს. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში მოცემულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმისა და შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცედურები. გამჭვირვალობის მიმართულებით სტრატეგიული დაგეგმვისას და შეფასებისას სკოლა ეფუძნება ღია და საჯარო მიდგომებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამართლიანობის მხრივ კი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აქცენტი კეთდება არგუმენტირებული და ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაზე. **ამდენად, ინდიკატორი შეგვიძლია შევაფასოთ სრული შესაბამისობით.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;**

ვიზიტის პერიოდში სკოლამ დაამტკიცა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს სკოლის განვითარების პრიორიტეტებს შვიდწლიან პერიოდზე და შეეხება სკოლისთვის პრიორიტეტულ საკითხებს. კერძოდ: სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება-გაუმჯობესების გზით, თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვას, ჯანმრთელობასა და სოციალური განვითარების ხელშეწყობას“. **აქედან გამომდინარე, აღნიშნული ინდიკატორი შეგვიძლია შევაფასოთ სრული შესაბამისობით.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;**

სკოლაში მოქმედებდა 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა და შემუშავებული იყო 2023-2024 სასწავლი წლის სამოქმედო გეგმის ჩარჩო-პროექტი, რომელიც ვიზიტის პერიოდში დამტკიცდა. სკოლის მხრიდან წარმოდგენილ დოკუმენტებს შორისაა კათედრის ოქმები, სადაც ჩანს რომ სასწავლო პროცესის გასაანალიზებლად მასწავლებლები აკეთებენ სემესტრულ და წლიურ შეფასებებს. ამასთან, სკოლაში არსებობს ხარისხის განვითარების ჯგუფი და კათედრის წარმომადგენლებთან და სხვა მასწავლებლებთან გასაუბრების პროცესშიც სკოლის წარმომადგენლები დეტალურად აღწერდნენ ჯგუფის მუშაობის პრინციპებს. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან და ეფუძნება სკოლის თვითშეფასებას. **ინდიკატორი შეგვიძლია შევაფასოთ სრული შესაბამისობით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, სამოქმედო გეგმაში გამიჯნულია პასუხისმგებელი პირების და ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები და მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოს შესაბამისი ვადები.
ინდიკატორი ფასდება შესაბამისობით.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა;
- სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა .

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;**

სკოლაის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (დამტკიცებული 23.06.2023წ. ბრძანება#2-48) განსაზღვრავს როგორც პროცესების და სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის მონიტორინგის, ისე სტრატეგიული განვითარების გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. ინდიკატორზე დაკვირვება ეფექტურობის გაზომვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, მაგრამ მნიშვნელოვანია სკოლამ მონიტორინგის პროცესში გამოიყენოს სხვადასხვა მრავალფეროვანი მეთოდები, რითიც გაზრდის მიღებული მონაცემების სანდოობასა და ვალიდობას. **ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტში გარკვეულ დონეზე განსაზღვრულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმისა და შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის აქტივობების შესრულების მონიტორინგის წესები და პროცედურები, ასევე ჩართული პასუხისმგებელი მხარეები. ინდიკატორი ფასდება შესაბამისობით.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;**

სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ისინი განიხილავენ სამოქმედო გეგმის მიმდინარეობას როგორც პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, ისე სამეურვეო საბჭოსთან. სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები ასახულია პედსაბჭოს ოქმებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

, მოსწავლეთა თვითმმართველობის ანარიშში , დირექტორის ანგარიშებში , საჯაროა და ხელი მიუწვდება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. საჯაროობის მექანიზმი გათვალისწინებულია მეთოდოლოგიაშიც. ინდიკატორი ფასდება შესაბამისობით.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.**

სკოლაში დანერგილია შედეგების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი. სკოლის წარმომადგენლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ შედეგების მონიტორინგისა და შეფასების პროცესის მნიშვნელობა და იცნობენ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვრულ კონკრეტულ მექანიზმებს. სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას და შესაბამისად ამ ეტაპზე აღნიშნული ინდიკატორის სრულყოფილად შეფასება ვერ ხდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია;
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- 2022-2023- 2023-2024 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმის შესრულების ანგარიში;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;</u>**

სკოლაში შექმნილია მოსწავლეების, თანამშრომლებისა და სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო და პოზიტიური გარემო . სკოლის სტრუქტურული ერთეულები განსაზღვრულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების -საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის N448 ბრძანების მეორე თავით. კერძოდ, სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო , მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია, ტექნიკური პერსონალი, პედაგოგიური საბჭო, რომელიც 42 მასწავლებლისგან შედგება მათ შორის არის ორი სპეციალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პედაგოგი, დასაქმებულთა უფლება -მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლასა და დასაქმებულს შორის ორმხრივად გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების მიხედვით,რომლის პერსონალისათვის გაცნობის მტკიცებულება დასტურდება შრომითი ხელშეკრულებებზე ხელის მოწერით. სკოლას აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა სადაც გაწერილია პერსონალის წლის განმავლობაში გასაწევი საქმიანობა . გარდა ამისა მასწავლებლის უფლება - მოვალეობები განისაზღვრება მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, რომელთა შემადგენლობა და ფუნქციები ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში.
სკოლის დირექცია შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილისა და ბუღალტრისაგან. სკოლის ადმინისტრაცია შედგება საქმის მწარმოებლის, საინფორმაციო მენეჯერის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის, ექიმის, ხოლო ტექნიკური პერსონალი შედგება დარაჯებისგან, დამლაგებლებისგან და ცეცხლფარეშისაგან (გათბობის სეზონი). საშტატო განრიგი შემუშავებულია დირექტორის მიერ და შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.**

სკოლაში დასაქმებულია პირები, რომლებიც ითავსებენ, როგორც ადმინისტრაციულ , ასევე საგაკვეთილო პროცესს , მათი ფუნქციები გამიჯნულია, არ ხდება ფუნქციათა აღრევა ან გადაკვეთა, რაც თავისთავად ხელს უწყობეს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებას და სასკოლო კულტურის ამაღლებას .

საშტატო განრიგი, პედაგოგებთან მიმართებაში, გამომდინარეობს სასკოლო გეგმიდან, რომელსაც პედსაბჭო სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს . სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. სკოლაში არის კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. სკოლაში დასაქმებულ პირებს ერთმანეთთან აქვთ ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა, რაც მათ საშუალებას აძლევთ მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები. თითოეული თანამშრომლის ფუნქცია გაწერილია ორმხრივ ხელშეკრულებებში, რაც ხელს უწყობს პასუხისმგებლობების გადანაწილებას. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კი საშუალებას იძლევა სკოლის ნებისმიერმა თანამშრომელმა თავი დაცულად იგრძნოს. დაცულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა და სკოლაში დასაქმებულ პირთა კონფიდენციალობა. სკოლა მუშაობს გუნდური პრინციპით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია და **ფასდება სრული შესაბამისობით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის საშტატო განრიგი;
- სკოლის სტრუქტურა;
- გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;**

სკოლაში დასაქმებული პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით, ხელშეკრულებებით და სკოლის შინაგანაწესის მიხედვით. შინაგანაწესი უზრუნველყოფს პროგნოზირებად სამუშაო გარემოს. აღნიშნული დოკუმენტი არ ეწინააღმდეგება პერსონალთან გაფორმებულ ინდივიდუალურ ხელშეკრულებას. პერსონალისთვის შინაგანაწესისა და მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების გაცნობა ხდება კრებებზე და პერსონალი ადასტურებს გაცნობის ფაქტს ხელის მოწერით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საკუთარი ორგანიზაციული მოწყობა, წარმოდგენილი სქემატური სახით, რომლის მიხედვითაც ხდება პროცესის წარმართვა. სკოლა სარგებლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლების წესდებით, სადაც გაწერილია საჯარო სკოლისთვის განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურის სავალდებულო რგოლების სამუშაო აღწერილობები, ხოლო სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე დასაქმებული პირების/ სტრუქტურულ ერთეულების უფლება-მოვალეობები წარმოდგენილია შრომითი ხელშეკრულებით.

პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც გამოიხატება კათედრების მუშაობაში, პროექტების დაგეგმვა განხორციელებაში, სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვაში, კურიკულუმების შედგენასა და კომპლექსური დავალებების შედეგების გაანალიზებაში. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. სასკოლო საზოგადოების წევრები სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში აქტიურად არიან ჩართულნი.

აღნიშნულიდან გამომდინარე **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია და ფასდება შესაბამისობით.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;**

სკოლაში შემუშავებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავების მიზანია სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს იმ მიზანთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ერთობლიობას, რომელთა მიღწევაც სურს სკოლას საკადრო მიმართულებით და მიზნების მისაღწევად შესასრულებელ კონკრეტულ ამოცანებს. ამავდროულად სკოლას პერსონალის მართვის პოლიტიკის კუთხით გააჩნია პერსონალის დანიშვნის , გათავისუფლების ბრძანებები , რომელიც რეგულირდება ხელშეკრულებებით, სკოლის შინაგანაწესით. აღნიშნულიდან გამომდინარე კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია და ფასდება სრული შესაბამისობით.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;**

სკოლა პერსონალს არჩევს კანონმდებლობის შესაბამისად, შიდა და გარე ვაკანსიის გამოცხადების გზით, ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად, სკოლაში დაცულია მასწავლებლის შერჩევის მიზნით გამოცხადებული ვაკანსიის კომისიის შექმნის ბრძანება, ვაკანსია გამოცხადებულია მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე. სკოლაში ვიზიტისას ადგილზე იქნა ნანახი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები. სკოლაში თანამშრომელთა მიღების, შრომითი ურთიერთობის პირობებისა და გათავისუფლების წესი დადგენილია სკოლის შინაგანაწესით. გათავისუფლების წესები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებებით. სკოლის პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ემსახურება სკოლის საჭიროების მიხედვით შესაბამისი კვალიფიციური კადრის მოძიებასა და შენარჩუნებას.

მასწავლებელთა შერჩევა და სამსახურში მიღება, რეგულირდება შემუშავებული დოკუმენტის „ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის“ შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია: კონკურსის მიზნები და ამოცანები, კონკურსის პრინციპები, კონკურსის გამოცხადება, კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადებების წარდგენა, კონკურსის ჩატარების პროცედურა, საკონკურსო კომისიის მიერ გადაწვეტილების მიღების წესი და კონკურსის შედეგები, კონკურსის შედეგების გასაჩივრება. სკოლის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური წარმოების წესები დეტალურად განსაზღვრულია შინაგანაწესით. სკოლა დასაქმებულს აცნობს შინაგანაწესს, ასევე, შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, სკოლის ფოიეში, რაც უზრუნველყოფს შიდა რეგულაციების გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში მასწავლებელთა ვაკანტური ადგილის შევსების მიზნით, გარე ვაკანსიის შემთხვევაში, განცხადებების გამოქვეყნება ხდება pedagogi.ge/teachersjobs.ge. -ზე. სკოლას შემუშვებული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი. სკოლის პერსონალის პირად საქმეში სხვა სავალდებულო დოკუმენტთან ერთად იძებნება ცნობა ,,ნასამართლეობის შესახებ", „უფლების ჩამორთმევის შესახებ", „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ".
კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;**

სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით" გათვალისწინებულ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. ამას ადასტურებს საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობა პერსონალის პირად საქმეებთან.
სკოლისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს კვალიფიციური კადრის შერჩევა აკადემიური და ტექნიკური მიმართულებით. სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებელი ჩართულია პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში, მინიჭებული აქვთ წამყვანი და უფროსი მასწავლებლის სტატუსები . ისინი ზრუნავენ საკუთარი უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;**

სკოლაში შექმნილია 6 საგნობრივი კათედრა, სადაც მასწავლებლები იკრიბებიან და განიხილავენ სხვადასხვა პროფესიულ საკითხს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას . აღსანიშნავია მასწავლებლების ჩართულობა უწყვეტი პროფესიული განვითარების სქემებში . სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება მონაწილეობით პრინციპს, რაც აისახება კათედრის თავმჯდომარეების არჩევის წესში რომელიც მონაცვლეობითია. ყოველ ახალ სასწავლო წელს - დისციპლინური საბჭოს წევრთა არჩევა, მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტება და სამეურვეო საბჭოს არჩევა. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტიდან ვკითხულობთ, რომ ადამიანური რესურსების მართვის ერთ-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც ხორციელდება სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის პროცესი. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში. ავლენს სამუშაოს შესრულების ხარისხის განმაპირობებელ გარემოებებს და დასაქმებულთა პროფესიული განვითარების კუთხით დამატებით საჭიროებებს.
სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისა და მათი შემდგომი მოტივაციისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. ადმინისტრაციული სტრუქტურების წარმომადგენლების და პედაგოგების მონაწილეობითი და გუნდური მუშაობა იკვეთება მაგალითად კათედრების მუშაობაში, აგრეთვე დასტურდება სკოლაში ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით. **შესაბამისად კრიტერიუმი ფასდება სრული შესაბამისობით.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლის პრაქტიკით ჩანს, რომ წარმატებული გამოცდილების გაზიარებას, ინფორმაციას სკოლის მიღწევების და გამორჩეული აქტივობების შესახებ სკოლა აქვეყნებს სკოლის ოფიციალურ სოციალურ ქსელში. სკოლაში ხორციელდება წარმატებული გამოცდილების გაზიარება როგორც კათედრაზე , ასევე კათედრებს შორის. ერთობლივად იგეგმება გაკვეთილები. კოლეგები გაკვეთილებზე ურთიერდასწრების გზით ახდენენ გამოცდილების გაზიარებას და პოზიტიური უკუკავშირის მიცემას. მასწავლებლები ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, საერთო პროექტებსა და ღონისძიებებს, რაშიც ხელს უწყობს სკოლის ადმინისტრაცია და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს მატერიალური რესურსით. სკოლაში მოწყობილია შესაბამისი საერთო სამუშაო სივრცე მასწავლებლებისთვის, კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ბიბლიოთეკაში, სამასწავლებლოში , რაც ხელს უწყობს ეფექტურ კომუნიკაციას. მასწავლებლების ურთიერთთანამშრომლობით ხორციელდება პროექტები. მაგ: სკოლის მასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღეს მომხსენებლად გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ ორგანიზებულ მასწავლებელთა კონფერენციაში, სადაც ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ თავიანთი ნაშრომები წარადგინეს. მასწავლებლები გაწევრიანებული არიან სხვადასხვა პროფესიული ჯგუფებში, სკოლას აქვს სოციალურ ქსელში გვერდი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სადაც ხდება ჩატარებული აქტივობებისა და წარმატებების გაზიარება, გარდა ამისა Teams -ის პლათფორმაზე შექმნილია მასწავლებელთა ჯგუფები .
შესაბამისად კრიტერიუმი ფასდება სრული შესაბამისობით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- კონკურსის გამოცხადების ბრძანება;
- კონკურსის ოქმები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;</u>**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა, არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლების ხელშეწყობა, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა, მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასება და მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა . სკოლის თანამშრომლების, განსაკუთრებით, მასწავლებელთა საქმიანობის შეფასება და მათთვის შესაბამისი უკუკავშირის მიცემა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი საკადრო მართვის სისტემაში.
სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფი და შემუშავებულია დებულება. ჯგუფის შექმნის მიზანია, სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება, სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება;
ხარისხის ჯგუფი ახორციელებს მასწავლებელთა შიდა შეფასებას. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან; ასევე, ახორციელებს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვებას და შეფასებას; მასწავლებელს აძლევს განმავითარებელ შეფასებას მის მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე, საჭიროების შემთხვევაში, ადგენს გაკვეთილებზე დასწრების განრიგს; მასწავლებლებეთან ერთად განიხილავს პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებს/სტრატეგიებს და აძლევს მათ განმავითარებელ უკუკავშირს, პროფესიული განვითარების მიზნით, რეკომენდაციას აძლევს მასწავლებელს შესაბამისი აქტივობებისა და ტრენინგების დაგეგმვაში.
მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილის შეფასება ხდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების მიხედვით; სკოლაში შექმნილი ხარისხის ჯგუფი მასწავლებელს აკვირდება განრიგის შესაბამისად. ხარისხის ჯგუფი გარდა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებისა, ახორციელებს: მასწავლებლის მიერ შედგენილი საგნობრივი სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) შეფასებას და საგნობრივი სასწავლო გეგმის თითოეული თემის ფარგლებში განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასებას . **კრიტერიუმი ფასდება სრული შესაბამისობით.**

2. **<u>პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;</u>**

სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგების განმარტებით, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლით, დგინდება, რომ სკოლის პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად. სამუშაო პროცესზე დაკვირვების, ურთიერთდასწრებების შედეგად გამოვლენილი საჭიროებები განიხილება ინდივიდუალურად მასწავლებლებთან, რომლებიც თავისმხრივ ზრუნავენ საკუთარი პროფესიული განვითარებისთვის. სკოლა გეგმავს დანერგოს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობებიც, რაც ძირითადად, გამოიხატება თემატური ტრენინგების მოძიებითა და ხელშეწყობით. გარდა ამისა, დირექტორის მოადგილე წინასწარ ადგენს საგაკვეთილო პროცესზე დასწრების განრიგს, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ურთიერთდასწრება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **<u>სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;</u>**

სკოლაში შემუშავებული ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების ერთ-ერთი ამოცანაა ხელი შეუწყოს პერსონალის კარიერულ ზრდას. სკოლაში შექმნილია ხარისხის ჯგუფი, წარმოდგენილია ხარისხის ჯგუფის დებულება. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომელთა მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში; სკოლას აქვს მოწყობილი ტექნიკითა და ინტერნეტით აღთჭურვილი საზიარო სივრცე ,რომლითაც თანამშრომლები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სარგებლობენ ტრენინგებზე და პროფესიულ შეხვედრებზე დასასწრებისა და სასწავლო რესურსების შექმნა გამოყენებისათვის **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;**

სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან ყველა საჭირო პირობაა შექმნილი , რათა მოხდეს სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაცია. კაბინეტები კეთილმოწყობილია და აღჭურვილი ყველა საჭირო ინვენტარით. ასევე, საკლასო და სარეკრეაციო ზონები შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. ამასთან სკოლის შინაგანაწესში წარმოდგენილია შრომის პირობების დაცვის წესები. სკოლამ ასევე წარმოადგინა სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის პერსონალის სოციალიზაციის პროცედურები , გაწერილი და დამტკიცებული წესის სახით (10.07.2023წ. ბრძანება # 2-89) , რომელიც ითვალისწინებს ახალმიღებული თანამშრომლის მუშაობაზე მოწყობასა და სწრაფ ადაპტაციას, სწრაფად გარკვევას მნიშვნელოვან საკითხებში, შფოთვის და სტრესის შემცირებას, ეფექტურ სოციალიზაციას, ლოიალობისა და ერთგულების ჩამოყალიბებას. სკოლა აცნობს ახალ თანამშრომლებს სკოლაში დამკვიდრებულ წესებსა და ჩვეულებებს, რომელიც მათ უმარტივებს სკოლისთვის შეგუების პროცესს. აღნიშნულ პროცესებში განსაკუთრებული როლი აქვს სკოლის ადმინისტრაციას, დირექციას, კათედრებსა და პედაგოგიურ საბჭოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**

სკოლის შინაგანაწესი ადგენს შრომის პირობების, ზოგადი პრინციპების, დასაქმებულის შვებულების, წახალიზების და დისციპლინური წარმოების დეტალებს. სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. ამ მიზნით სკოლა ქმნის შესაბამის გარემოს, უზრუნველყოფს რესურსებით . დირექცია უწყვეტად ახდენს თანამშრომლების სიახლეებით ინფორმირებას, ინიციატივების გაცნობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- გაკვეთილებზე დასწრების უკუკავშირი;
- კათედრის ოქმი;
- გარემოსთან ადაპტაციის წესი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;</u>**

სტრატეგიული გეგმის პროექტისა და წლიური სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ერთიანი დოკუმენტი (დამტკიცებულია 10.07.2023წ. ბრძანება # 2-85) , რომლის მიხედვითაც სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა გულისხმობს სწავლების ხარისხის მაჩვენებლების მონიტორინგსა და მათ მუდმივ სრულყოფას, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენებას და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობას.

სკოლას ბრძანებით დაკომპლექტებული ჰყავს ხარისხის მართვის გუნდი, რომელთა საქმიანობაა მონიტორინგს ჩატარება, რეკომენდაციებსა და საჭიროებების გამოკვეთაში პედაგოგების დახმარება. სკოლა აპირებს შეიმუშაოს და დანერგოს სამომავლოდ მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი რაც ხელს შეუწყობს ხარისხის უზრუნველყოფას. სკოლა ასევე ხელს უწყობს მშობელთა კომუნიკაციის გააქტიურებას, რაც აისახება სკოლის ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობაში, მათი მონაწილეობით სხვადასხვა გამოკითხვებში აქტიური ჩართულობა და მათი მოსაზრებების გათვალისწინება სკოლის განვითარებისთვის. საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობასა და განათლების იმგვარად განვითარებას, რომ კურუკულუმები, სასკოლო სასწავლო გეგმა, შეფასების სისტემა შეესაბამებოდეს დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებსა და მოლოდინებს; **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;**

სკოლას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაცია, რომელშიც გაწერილია როგორც მმართველობითი, ისე დამხმარე პროცესები. სტრატეგიული გეგმისა და წლიური სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობით შექმნილი სკოლის კურიკულუმები ისგ გეგმებთან ერთად , ს.ს.გ.-ის შემადგენელი ნაწილია და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ. დამხმარე პროცესების უზრუნველსაყოფად სკოლას შექმნილი აქვს მოსწავლის სერვისების განხორციელების ისეთი დოკუმენტი, როგორიცაა მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, საბიბლიოთეკო სერვისებით სარგებლობის წესი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სკოლის უსაფრთხოების დაცვის დოკუმენტი, საქმისწარმოების წესი (დოკუმენტბრუნვა). სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა საქმისწარმოების განხორციელება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მეშვეობით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შესაძლებელია კრიტერიუმს მიენიჭოს **სრული შესაბამისობა.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;**

სკოლაში არჩეულია უმაღლესი სტრუქტურული ერთეული სამეურვეო საბჭო რომელიც ამტკიცებს დისციპლინური კომისიის წევრებს მშობელთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა შემადგენლობით. აღნიშნული კომისა მისი უფლება-მოვალეობების ფარგლებში ახდენს დისციპლინური გადაცდომების მოკვლევას და სახდელების დაკისრებას. მათი გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლია დაინტერესებულ პირს სამეურვეო საბჭოში. სკოლაში გამართულად მუშაობს გადაწყვეტილებების, გასაჩივრების მექანიზმი, რომლის შესახებაც სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია როგორც კრებების ,ისე თვალსაჩინოდ გამოკრული ინფორმაციის საშუალებით.
სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე, საჩივრების განხილვის სისტემა; ნებისმიერი განცხადება/წერილი/კორესპონდენცია, რომელიც შემოდის სკოლაში ტარდება შემოსულ დოკუმენტაციაში და ედება შესაბამისი რეზოლუცია. გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის პროცედურა გაწერილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის შინგანაწესით და მათზე რეაგირება ხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. საჩივრების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოებია სამეურვეო საბჭო და დისციპლინარული კომიტეტი. სკოლაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებსაც საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე განიხილავს შესაბამისი ორგანო, მაგალითად, დისციპლინური გადაცდომების შესახებ საჩივრებს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი, დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება სამეურვეო საბჭოში არის შესაძლებელი. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, დირექტორის ბრძანებებში მითითებულია გასაჩივრების ვადა წესი, ხოლო რაც შეეხება ოქმებსა და სხვა დოკუმენტაციის გასაჩივრების წესს აღნიშნული რეგულირდება კანონმდებლობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. <u>სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.</u>

პერსონალისა და მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები მკაფიოდაა გაწერილი შინაგანაწესსა და მასწავლებელთა და სკოლაში დასაქმებულთა შრომით ხელშეკრულებებში. გარდა ამისა, დირექტორის ბრძანება # 2-50 23.06.2023წ. დამტკიცებულია სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი. სკოლა დისკრიმინაციის გარეშე, თანასწორად იცავს ყველას უფლებას, რომლის განხორციელებაშიც ჩართულია მანდატურის სამსახურიც. სკოლის შინაგანაწესი და მშობლებთან ურთიერთობის დებულება საჯარო და ხელმისაწვდომია თითოეული დაინტერესებული პირისთვის და გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას.
სკოლას საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ შესაბამისად, შემუშავებული აქვს ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. აღნიშნული ინსტრუქციის დაცვაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ სკოლაში დასაქმებული მანდატურები.
სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვას. გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი და სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზები.
სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ის ცხელი ხაზის ნომერი - 112, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის - უსაფრთხოების სპეციალისტისა და დაცვის თანამშრომლების მობილური ტელეფონის ნომერი და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- ,,საბიბლიოთეკო სერვისებით სარგებლობის წესი“;
- ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი“;
- სკოლის უსაფრთხოების დაცვის დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი.
- საქმისწარმოების წესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;</u>**

დირექტორის 10.07.2023წ. N2-90 ბრძანებით დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი . წესი განსაზღვრავს სკოლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობებს, ცნობადობის ამაღლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ღონისძიებების ჩატარების გზებს, შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპებს, საინფორმაციო საშუალებების მართვისა და განვითარების სტრატეგიებს. წესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმებს. აღნიშნული წესით გარკვეულწილად რეგულირდება მშობლის ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების საკითხები. ამავდროულად ინტერვიუირებისას ადმინისტრაციის განმარტებით სკოლის შესახებ ყველა საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია თავსდება სკოლის სოციალურ ქსელში, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიება. მასწავლებელს, მშობელსა და მოსწავლეს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში პასუხისმგებელი პირი არის დამრიგებელი. დამრიგებელს ხელშეკრულებით ევალება სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნოს შემდეგი დოკუმენტაცია: სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, ევაკუაციის გეგმა, საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმა და ქცევის წესები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია. სკოლის სასწავლო პროცესში აქტიურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარე, ამ მიზნით მშობლებს, თანამშრომლებს და მოსწავლეებს გასაცნობად და კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში უკუკავშირის მისაღებად ეგზავნებათ სკოლის მართვის დოკუმენტებები, დებულებები, მარეგულირებელი წესები, სასკოლო სასწავლო გეგმა, ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ. პერიოდულად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, საკითხები განხილება პედაგოგიურ საბჭოზე, მშობელთა კრებებზე, მოსწავლეების შემთხვევაში, სადამრიგებლო საათის ფარგლებში.

მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ თვალყური ადევნონ საკუთარ შედეგებსა და პროგრესს. როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე, კვირის ბოლოს, სკოლის ელექტრონულ ჟურნალში მასწავლებლები თითოეულ მოსწავლეს უკეთებენ განმავითარებელ კომენტარს მათი წარმატებისა თუ წარმოქმნილი პრობლემის შესახებ. ელექტრონულ ჟურნალზე წვდომა აქვს მოსწავლეს, კლასის დამრიგებელს, მშობელს, სკოლის ადმინისტრაციას, შესაბამისად ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს საშუალება მიიღოს ინფორმაცია. **ინდიკატორი შესაძლებელია შეფასდეს სრული შესაბამისობით.**

2. <u>უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები; სამეურვეო საბჭო; დისციპლინური კომიტეტი, ხარისხის მართვის ჯგუფი; მრჩეველთა საბჭო; ი.ს.გ. ჯგუფი; მოსწავლეთა თვითმართველობა. აღნიშნული სტრუქტურულ ერთეულებში ჩართულია სასკოლო საზოგადოება (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი). წარმოდგენილ კოლეგიურ ორგანოებში ყველა წევრს აქვს თანაბარი ხმის, იდეის, შენიშვნისა თუ რეკომენდაციის გაცემის უფლება. სასკოლო ცხოვრებაში კომიტეტებსა და საბჭოებში წევრობის საშუალებით უზრუნველყოფილია მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობა, კერძოდ, სკოლის სამეურვეო საბჭო შედგება მშობლებისა და პედაგოგიური საბჭოს მიერ თანაბარი რაოდენობით, 3 წლით არჩეული 6 წევრისგან. საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული 1 წარმომადგენლისაგან .

პედაგოგიური საბჭო არის სკოლის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო, რომელშიც შედის სკოლის ყველა პედაგოგი.

მოსწავლეთა თვითმმართველობა არის მოსწავლეთა არჩევითი ორგანო, რომელიც წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ირჩევენ საკუთარ თვითმმართველობებს. დისციპლინურ კომიტეტი აირჩევა დისციპლინური გადაცდომის განხილვის მიზნით სამეურვეო საბჭოს მიერ. მის შემადგენლობაში თანაბარი რაოდენობით შედის პედაგოგი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. ყველა სტრუქტურული რგოლის მუშაობის მთავარი მიზანი სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების შესრულების ხელშეწყობაა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- დამრიგებლის შრომითი ხელშეკრულება;
- სკოლის წესდება;
- სამეურვეო საბჭოს და დისციპლინარული საბჭოს არჩევნების ოქმები;
- 10.07.2023წ. N2-90 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას შემუშვებილი და დამტკიცებული აქვს სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი (10.07.2023წ. ბრძანება №2-97) . სკოლაში მოქმედებს უსაფრთხოების უზრუნველყოფის შემდეგი მექანიზმები: სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა; წესრიგისა და სკოლის კუთვნილი ქონების დაცვა; საგანგებო შტაბი; მოსწავლის ქცევის კოდექსის, მასწავლებელის პროფესიული ეთოკის კოდექსისა და სკოლის შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგი და დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების განხორციელება;

სკოლის საშუალებებიდან გამომდინარე უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა, სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, ემსახურება 2 მანდატური, პირველადი დახმარების შემთხვევაში სკოლას ჰყავს ექიმი, რომელსაც შეუძლია რეაგირება. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით შენობის პირველ სართულზე ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და პირველადი დახმარების საშუალებებით. სამედიცინო კაბინეტში დაცულია პაციენტის გასინჯვისას პრივატულობა, სამედიცინო ტახტი ხელოვნური ბარიერის საშუალებით გამოყოფილია ოთახის სხვა სივრცისგან. ექიმი აწარმოებს ყოველდღიურ ჩანაწერებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/6/01-23/6- განსაზღვრული სტრუქტურის შესაბამისად. სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. არ არის შემუშავებული შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და შეიმუშაოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ჩართულობით. სკოლაში წყალმომარაგება არის უწყვეტი. შექმნილია მოსწავლეების, თანამშრომლებისა და სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემო. სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად. შემუშვებული და დამტკიცებულია სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი (10.07.2023წ. ბრძანება №2- 98), წესის მიზანია: ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება; სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება; სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება; ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარემოს უზრუნველყოფა; უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახურისა და უფლებამოსილი პირის და სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული მოქმედების ხელშეწყობა. აღნიშნული ხელს უწყობს ბავშვთა უფლებების დაცვასა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტურ რეაგირებას, უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფას.
სკოლაში შემუშავებულია მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლაში სამედიცინო პერსონალის საქმიანობის დებულება (10.07.2023წ. ბრძანება №2-92) , რომელიც განსაზღვრავს სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესსა და პროცედურებს. მისი მიზანია განსაზღვროს პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და გასახორციელებელი ქმედებები, რათა მათი ზუსტი შესრულებით უზრუნველყოფილი იყოს ადამიანს ჯანმრთელობა.
ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112).
შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის ზედამხედველობის დეპარტამენტის პრევენციისა და რეაგირების სამმართველოს წარმომადგენლების მიერ 08.02.2023-ში ჩატარდა სკოლის დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება და გამოვლინდა დარღვევები. სკოლას დაევალა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებები, რომელიც 2023 კალენდარული წლის ბოლომდე უნდა დაასრულოს. სკოლა აღნიშნავს, რომ საკუთარი ფინანსებით ვერ შეძლებს აღნიშნული პრობლემების მოგვარებას. შესაბამისად, მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორს (MES 2 23 0000229243 27/02/2023) , რომ ზედამხედველობის მიწერილობა N 65 -ით განსაზღვრულ ღონისძიებათა ჩამონათვალის : (1.შენობაში დამონტაჟდეს (ზონური ტიპის) სახანძრო სიგნალიზაცია. 2. შენობაში დამონტაჟდეს ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემა. 3. სახანძრო სიგნალიზაციის მართვის მიმღებ-მაკონტროლებელი პულტი/პანელი განთავსდეს სათავსში. 4. შენობის საევაკუაციო გზებზე დამონტაჟდეს ავარიული განათება; 5. სკოლის შენობაში დაემატოს ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები; 6. სკოლის შენობის სააქტო დარბაზიდან მოეწყოს მეორე საევაკუაციო გასასვლელი კარები; 7. შენობის გარე ტერიტორიაზე მოეწყოს სახანძრო ჰიდრანტი ან შესაბამისი მოცულობის წყლის რეზერვუარი სახანძრო მანქანისათვის წყლის ამოსაღები მილყელით; 8. სკოლის შენობის პირველ სართულზე საევაკუაციო გზებზე დამატებით მოეწყოს ,,საევაკუაციო გზის,, მიმართულების მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები 9. შენობის სხვენში ასასვლელში მოეწყოს კიბე და ლიუკი; 10. შენობის სხვენის ხის კონსტრუქციები დამუშავდეს შესაბამისი ცეცხლმედეგობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზღვარის მქონე სპეციალური ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით) შესასრულებლად სკოლას საჭირო ფულადი სახსრები არ გააჩნია. სკოლა ითხოვს შესაძლებლობების ფარგლებში გაეწიოს დახმარება, რათა დროულად აღმოიფხვრას აღნიშნული ხარვეზები.
სკოლას არ აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. 22/06/2023 -ში გაკეთებული აქვს მიმართვა (MES 1 23 0000746680) სსიპ საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორთან,სადაც აღნიშნავს , რომ „სკოლას 2016-2017 წლებში ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია მილენიუმის პროექტის ფარგლებში. სკოლა იმედოვნებს , რომ შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) შეფასების დასკვნა შესაძლებელია ინახებოდეს სააგენტოში შესაბამის დოკუმენტაციებში“. სკოლა ითხოვს შესაძლებლობის ფარგლებში გაუწიონ დახმარება დოკუმენტის მოძიებაში.
სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია საგანგებო შტაბი, რომელსაც ევალება დაიცვას სკოლაში თანამშრომელთა და მოსწავლეთა უსაფრთხოება. ვიზიტის პერიოდში სკოლას შემუშავებული ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც არ იყო შეთანხმებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. **ინდიკატორი ვიზიტის პერიოდში არადამაკმაყოფილებლად შეფასდა.** დასკვნის პროექტის პასუხად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა გაწერილი რეალისტური ვადებით, რომლის თანახმად იღებს პასუხისმგებლობას : 27/02/2024-მდე პერიოდში მოიპოვოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა; 22/06/2024- მდე პერიოდში მოიპოვოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა;01/11/2023- მდე პერიოდში უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უფლებამოსილ უწყებასთან. **ინდიკატორი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;**

სკოლაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესს და პირობების“ საფუძველზე განსაზღვრულია სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები, ასევე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები. სკოლას შექმნილი აქვს მრჩეველთა საბჭო, რომელიც იკრიბება სემესტრში ორჯერ, განიხილავს არსებულ სიტუაციას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. სკოლას ჰყავს 2 მანდატური და დირექტორის ბრძანებით დანიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას შექმნილი აქვს მასწავლებელთა მორიგეობა რომლის მიხედვითაც სამივე სართულზე და სკოლის ეზოში გადანაწილებულია მორიგე მასწავლებლები რომლებიც მანდატურებთან ერთად იცავენ მოსწავლეთა უსაფრთხოებას. აღნიშნული ხელს უწყობს ბავშვთა უფლებების დაცვასა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტურ რეაგირებას, უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფას. **ინდიკატორი შეფასდა შესაბამისობით.**

3. **<u>სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;</u>**

სკოლაში მოქმედებს სსსმ მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მარეგულირებელი დოკუმენტი, ასევე შექმნილი და დამტკიცებულია სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი (10.07.2023წ. ბრძანება №2-91). რესურს ოთახში განთავსებულია მრავალფეროვანი ნამუშევრები, იძლევა შთაბეჭდილებას რომ სასკოლო საზოგადოებას აქვს სკოლის მიმართ დადებითი, ემოციური და მიკუთვნებულობის განცდა. სკოლაში მოქმედებს ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისათვის შიდა ინსტრუქცია. აღნიშნულის თანახმად, მოსწავლეზე ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ემოცური, ეკონომიკური და ა.შ. ძალადობის ნიშნების შესახებ ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ხდება მოსწავლესთან გასაუბრება. ასევე, სკოლის მიერ განსაზღვრული რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი ახდენს აღნიშნული მოსწავლის რეფერირებას, რის შემდეგაც ხდება ფსიქოლოგიის სამსახურის მიერ მოსწავლესთან დაკავშირება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ამასთანავე სკოლას ჰყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, 2 სპეციალური მასწავლებელი, 1 პირადი ასისტენტი , რომლებიც უზრუნველყოფენ სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. სკოლის დამრიგებლების მიერ ხდება სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე. სკოლის მრჩეველთა საბჭო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ინფორმაციის მიწოდებას ახდენს სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლას ჰყას მანდატურები, რომლებიც ასევე ზრუნავენ სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. **<u>სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;</u>**

სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებით, სკოლა ხელმძღვანელობს „სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N308/6 ბრძანების შესაბამისად. სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველსაყოფად დირექცია სკოლას ამარაგებს სანიტარული და ჰიგიენური საშუალებებით. ასევე განსაზღვრულია სანიტარულ კვანძებში სისუფთავის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. დასაქმებულია დამლაგებლები, რომელებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სასწავლო ინვენტარის (მერხები, მაგიდები, თაროები, კომპიუტერები და სხვა) გაწმენდას საწმენდი საშუალებებით. კარადების, სათავსოების, უჯრების მოწესრიგებას და ყოველდღიურად სველი წესით დამუშავებას. განსაკუთრებული კონტროლია დაწესებული სანიტარული კვანძების (ტუალეტი, ნიჟარები, უნიტაზები) სისუფთავეზე. დამლაგებლების მუშაობას მონიტორინგს უწევდეს სკოლის ექიმი. ექიმი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს რეკომენდაციას ჰიგიენური და სანიტარული ნომრების დაცვის კუთხით. სკოლა თანამშრომლობს სოციალურ სამსახურთან , თანამშრომლობის შედეგად სკოლას ემსახურება მეეზოვე, ნარჩენების გატანაზე პასუხისმგებელი პირი , რომლებიც ურუნველყოფენ სკოლის მიმდებარე ტერიტორიის სისუფთავეს , ათავისუფლებენ ეზოს ბალახებისა და ნარჩენებისაგან ქვეწარმავლების გავრცელების პრევენციის მიზნით. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ნარჩენების კალათი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **<u>სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;</u>**

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის საზოგადოების, მოსწავლეთა, თანამშრომელთა, მშობელთა პერსონალურ მონაცემთა დაცვას ,,პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში შემუშავებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“. სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. სკოლაში მონაცემები მუშავდება სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვით, მონაცემები ინახება იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად; ასევე, მონაცემი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მუშავდება კანონიერი და კონკრეტული მიზნის მისაღწევად, მონაცემები მუშავდება მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი მიზნისთვის; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;**

სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლა და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფენ ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან, ასევე მონაცემთა ბაზების იმგვარ ადმინისტრირებას, რომ ინფორმაცია ყველა მოსწავლესა და აკადემიურ პერსონალს მიეწოდოს ინდივიდუალურად. სკოლა იცავს პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობას და მოქმედებს მონაცემთა სუბიექტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. საქმისწარმოებისა და ბუღალტრულ დოკუმენტაციაზე წვდომა აქვს მხოლოდ ხელშეკრულებით უფლებამოსილ პირებს. სკოლაში არსებულ ინფორმაციას განეკუთვნება: ინფორმაცია თანამშრომლების შესახებ; ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ; ინფორმაცია მოსწავლეების მშობლების შესახებ; ინფორმაცია ვიზიტორების შესახებ.
საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და დისტანციური გაკვეთილების ჩატარების მიზნით სკოლაში გამოიყენება ელექტრონული პროგრამა (Teams), რომელსაც ნერგავს და მის ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საინფორმაციო სისტემა. ელექტრონულ პროგრამაში არსებული მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ სკოლაში დასაქმებული პირებისა და მოსწავლეებისთვის შესაბამისი საკლასო ჯგუფების მიხედვით.
სწავლების პროცესში, ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექტორს, მოადგილეს, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** რჩევა: სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პრინციპებს და ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.**

სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რაც დასტურდება მრჩეველთა საბჭოს ოქმით. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ბრძანებით დადგენილი წესით ახორციელებს ადამიანებისა თუ პროცესების უსაფრთოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რაც აისახება დირექტორისადმი შედგენილ ანაგრიშებში. სკოლის უსაფრთხოების დაცვის კონტროლის მიზნით დირექტორის ბრძანებით სხვადასხვა მიმართულებით განსაზღვრული არიან პასუხისმგებელი პირები, კერძოდ: თამბაქოს მონიტორიგზე პასუხისმგებელი პირი; სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი; საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ; პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ექიმის ხელშეკრულება;
- სპეც-პედაგოგის ხელშეკრულება;
- წერილი საგანგებო სიტუაციების სამსახურთან;
- ბრძანება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ;
- სკოლის უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- სსსმ მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;</u>**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლა მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბანში. სკოლა აშენებულია 1977 წელს, თუმცა ათასწლეულის განვითარების ფონდის მიერ რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2016-17 წლებში. სკოლა სამ სართულიანია და აღჭურვილია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. აქვს უწყვეტი წყალმომარაგება , უზრუნველყოფილია დენით და ასევე ცენტრალური გათბობით ბუნებრივ აირზე. სკოლაში არის ინკლუზიური გარემო კერძოდ, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რესურს ოთახი, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სამედიცინო კაბინეტი და საკონფერენციო დარბაზი. სასკოლო შიდა და გარე სივრცე სხვადასხვა აქტივობების/ ღონისძიებები ჩატარების საშუალებას იძლევა. სკოლა აღჭურვილია შესაბამისი რესურსით კერძოდ; ინდივიდუალური მერხებით, დაფებით. სკოლის ინვენტარის ნაწილი მოძველებულია და საჭიროებს გაახლებას. სკოლას აქვს: პროექტორი 7ც; პრინტერი -3ც; პერსონალური კომპიუტერი -25ც; ლეპტოპი -23ც. სკოლაში სასწავლო პროცესი ერთცვლიანია და გათვლილია დაახლოებით 500 მოსწავლეზე. სკოლაში ვიზიტის პერიოდში სწავლობდა 387 მოსწავლე, აქედან 36 მე-12 კლასელია, 11- სსსმ მოსწავლე; პირველ კლასის ლიმიტი გათვლილი იყო 50 მოსწავლეზე.

სკოლას აქვს სხვადასხვა თვალსაჩინოებები და აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას აქვს ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და კომპიუტერული ლაბორატორია, რომლებიც შეიცავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სხვადასხვა დასახელების ხელსაწყოებსა და თვალსაჩინოებებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს ლაბორატორიის გამოყენების წესი. სპორტული დარბაზი განთავსებულია სკოლის პირველ სართულზე. ღია სპორტული მოედანი, რომელიც სკოლის ეზოშია საჭიროებს რეაბილიტაციას. სკოლის ბიბლიოთეკა შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან, რომელიც დალაგებულია კატალოგის მიხედვით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები, პერიოდიკა და ა.შ.

სკოლის შემოსასვლელში განთავსებულია პანდუსი, რაც სსსმ მოსწავლეს აძლევს შენობაში შესვლისა და გადაადგილების შესაძლებლობას. პირველ სართულზე განთავსებულია სსსმ მოსწავლეთათვის რესურს ოთახი, რომელიც მთლიანად ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე და აღჭურვილია ინდ. გეგმებით განსაზღვრული გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების მისაღწევად საჭირო რესურსებით. სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;**

სკოლას შემუშვებული და დამტკიცებული აქვს ,, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“ (10.07.2023წ. ბრძანება №2-87) . წესი არეგულირებს მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსით სარგებლობის პირობებს. ინფრასტრუქტურა ,საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. შიდა სპორტულ დარბაზში რეგულარულად ტარდება სპორტული ღონისძიებები. ლაბორატორიებში ხდება საგაკვეთილო პროცესის წარმართვა. სკოლას შექმნილი აქვს ლაბორატორიის გამოყენების წესი, **ასევე სასურველია საგაკვეთილო ცხრილების შედგენის შემდეგ გაიწეროს და გრაფიკით დარეგულირდეს ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის გაკვეთილების/მასწავლებლების მონაცვლეობა ლაბორატორიაში.** ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის, დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება (23.06.2023წ. ბრძანება №2-51) პირველ სართულზევეა განთავსებული ექიმის კაბინეტი და ადაპტირებული რესურს ოთახი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლის შენობის რეაბილიტაცია განხორციელდა მილენიუმის პროექტის ფარგლებში . სკოლის შენობის სამივე სართულზე განთავსებულია სველი წერტილები სქესის მიხედვით . სკოლის მატერიალური თუ ადამიანური რესურსი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე და თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სამკითხველო მაგიდები, სკამები, ინტერნეტი. სკოლას აქვს დიდი, ნათელი დერეფნები. სკოლის ერთ-ერთი შესასვლელით შეუძლია ეტლით მოსარგებლე პირს ისარგებლოს. პირველ სართულზე მოწყობილია რესურს ოთახი, ადაპტირებული საპირფარეშო, ლაბორატორიები, სამედიცინო პუნქტი, სპორტული დარბაზი, რომლებშიც შეზღუდვის გარეშე შეძლებს გადაადგილებას ნებისმიერი შესაძლებლობის პირი. სკოლაში სწავლობს ერთი შშმ მოსწავლე, რომლისთვისაც სკოლას შექმნილი აქვს ყველა პირობა, რომ მოსწავლემ თანაბარ პირობებში, შეუზღუდავად მიიღოს განათლება. ლაბორატორიებში, საკლასო ოთახში შესასვლელი კარის ზომები აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. საკლასო ოთახში გათვალისწინებულია ეტლით მოსარგებლისთვის ადაპტირებული მერხი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **<u>სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;</u>**

შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. ფართე დერეფნები, ბიბლიოთეკა გამოიყენება სხვადასხვა ღონისძიებების, კონფერენციების, კონკურსებისა და ინტელექტუალური ვიქტორინებისთვის. სკოლის ეზო, კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. საკლასო სივრცეში ხშირად იმართება პროექტების პრეზენტაციები, კინოჩვენებები. სკოლის გარემოში თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრული და განთავსებულია მოსაწავლეთა ნამუშევრები, პროექტები, გამოფენები. ყოველივე ზემოაღნიშნული ხელს უწყობს მოსწავლეებს თავი იგრძნონ ჯანსაღ გარემოში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **<u>სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები. **დაწყებითი საფეხურის** კურიკულუმის განხორციელებისთვის (ისტ-ის მიმართულებით), მოწყობილია კომპიუტერულ კლასი, სადაც განთავსებულია პროექტორი და ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ბუნებისმეტყველებისთვის-საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, შესაბამისი ლაბორატორიული აღჭურვილობით. **საბაზო და საშუალო საფეხურები:** საბუნებისმეტყველო მიმართულებით ფუნქციონირებს ლაბორატორია, რომელიც განთავსებულია ცალკე საკლასო ოთახში, დგას სადემონსტრაციო მაგიდა აღჭურვილი სტემ საგნების გაკვეთილებისთვის საჭირო ინვენტარით. სპორტის გაკვეთილებისთვის დახურული სპორტული მოედანი შესაბამისი ინვენტარით. საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული ციფრული რესურსების განხორციელებისთვის სკოლაში არის კომპიუტერებით აღჭურვილი კომპიუტერული კლასი.

სკოლის სასწავლო და მატერიალური ბაზა და ხარისხი შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს სხვადასხვა საგნობრივი პროგრამების ასათვისებლად, ხელმისაწვდომია მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის, გამოიყენება მოსწავლეების ასაკობრივი ჯგუფის და მათი განვითარების დონის შესაბამისად. სახელმძღვანელოების და ელექტრონული სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება ყოველწლიურად. ამ პროცესში ჩართულია საგნობრივი კათედრები, მასწავლებლები, ბიბლიოთეკარი, დირექტორი. რესურსების შერჩევა ხდება პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე. ყველა მოსწავლეს და მასწავლებელს აქვს თანაბარი წვდომა შერჩეულ რესურსებზე.

სამივე საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდი განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკაში. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. ბიბლიოთეკაში არის როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები ასევე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა. შემთხვევითი პრინციპით შერჩეული სახელმძღვანელოების დათვალიერებით დგინდება, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ლაბორატორიის გამოყენების წესი;
- ინვენტარიზაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; პერსონალური კომპიუტერებით უზრუნველყოფილია დირექციის და ადმინისტრაციის წარმომადგენლები. სკოლას შემუშავებული აქვს „ტექნოლოგიების განვითარების დებულება“, რასაც დაეყრდნობა შემდგომი საქმიანობისას. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. კერძოდ, სკოლას აქვს 25 ლეპტოპი. 25 პერსონალური კომპიუტერი, 3 პრინტერი, 7 პროექტორი, რომლის გამოყენება სასწავლო მიზნებისათვის შეუძლიათ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. კომპიუტერულ ლაბორატორიაში პედაგოგებს შეუძლიათ მოიძიონ მათთვის საჭირო ელექტრონული რესურსები, მრავალფეროვანი მასალები, გაკვეთილების ეფექტურად დაგეგმვისათვის. მოსწავლეებს შეუძლიათ გაკვეთილის მომზადების მიზნით ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით. ამასთანავე, სამასწავლებლოში განთავსებულია კომპიუტერი, რომლითაც შეუძლიათ შეუფერხებლად ისარგებლონ მასწავლებლებმა. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი და გრაფიკი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **<u>ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.</u>**

კომპიუტერულ ლაბორატორიაში, რესურსოთახში და ბიბლიოთეკაში არსებული კომპიუტერები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის. მთლიანად აღჭურვილია სკოლის შენობა მუდმივი ინტერნეტით. აქვს ინტერნეტზე მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომი WI-FI, ასევე ადმინისტრაცია-დირექციისათვის განკუთვნილია კოდირებული WI-FI. ამგვარად, ინტერნეტი თანაბრად ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის. კომპიუტერების ძირითადი ბაზა განთავსებულია ლაბორატორიაში. მათ შორის 1 კომპიუტერი განთავსებულია სამასწავლებლოში. სკოლაში უზრუნველყოფილია ინდივიდუალური კომპიუტერებები ასევე, პროექტორები რომელთა გამოყენებაც მასწავლებლებს შეუძლიათ საჭიროებისამებრ, გაკვეთილების დაგეგმვისა და ჩატარების მიზნით. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობა შეუძლიათ სასწავლო მიზნებისათვის. სკოლას დირექტორის მ/შ-ს 2023 წლის 24 მარტის N2-27 ბრძანებით დამტკიცებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, , სადაც გათვალისწინებულია ციფრული რესურსების გამოყენების წესი. ასევე, სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი და გრაფიკი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ინვენტარიზაციის დოკუმენტი.
- მიღება-ჩაბარების აქტი.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;სსიპ გორის მუნიციპალიტეტის ხელთუბნის სსიპ
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;</u>**

სკოლას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით შემუშავებული აქვს „საქმისწარმოების წესი,“ რომელიც დამტკიცებულია 10.07.2023 წლის N2-94 ბრძანებით. საქმისწარმოების წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და მათი შენახვის წესთან დაკავშირებით. სკოლაში იწარმოება ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით, აღნიშნულით უზრუნველყოფილია მათი სანდოობა და მთლიანობა. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილები ფორმდება სატიტულო ფურცელზე, რომელიც შემუშავებულია სკოლის მიერ.
გარდა ამისა, სკოლა იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემას "eflow"-სა და Eschool-ის ბაზებს. სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადითა და წესით ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები. ასევე, სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომელიც აკინძულია და დამუშვებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ინახება პირველადი ბუღალტრული დოკუმენტაციაც.
საქმისწარმოება მიმდინარეოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელსაც უზრუნველყოფს საქმისმწარმოებელი. საქმისმწარმოებლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ვინაიდან სკოლის ბიუჯეტი არასაკმარისია, სკოლას არ აქვს არქივისთვის გადაცემული დოკუმენტაცია და თავად უზრუნველყოფს გასული წლების დოკუმენტაციის შენახვას სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **<u>სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;</u>**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. მათ შორის საქმისწარმოებასთან დაკავშირებით, სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ E-flow სისტემას, სადაც ტარდება ყველა კორესპონდენცია, ბრძანებები, წერილები, განცხადებები, სამსახურებრივი ბარათები. შენობაში არსებული უწყვეტი დენისა და ინტერნეტის შესაძლებლობა უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის სრულფასოვან მუშაობას. სკოლას აქვს სოციალური ქსელი - ოფიციალური facebook გვერდი, ასევე ელექტრონული ფოსტა: Kheltubani@mes.gov.ge. სკოლა სარგებლობს სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემით eSchool.emis.ge, რომელშიც დაცულია მოსწავლეთა და თანამშრომლების პერსონალური ინფორმაცია და ბაზები. სკოლაში იწარმოება ელექტრონული ჟურნალი, ასევე, მასწავლებლები და თანამშრომლები საკომუნიკაციოდ იყენებენ TEAMS პროგრამას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

სკოლაში ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა მართვის საინფორმაციო სისტემის eschool-ის ბაზაში სკოლის პროფილი, რომლის ყველა ველი შევსებული იყო სრულყოფილად. სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. ელექტრონული ბაზა, მუდმივად განახლებადია ინფორმაციის თვალსაზრისით და შეტანილია სავალდებულო ინფორმაცია: მოსწავლეთა და თანამშრომელთა მონაცემები, ცხრილები, კვალიფიკაციის დამადასურებელი დოკუმენტები და სხვა. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი . ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლა მუდმივ კომუნიკაციაშია სახელმწიფო უწყებებთან. აღნიშნული კომინიკაცია ხორციელდება როგორც Eflow-ის და Eschool-ის, ასევე, ელექტრონული ფოსტის საშუალებით. სკოლა მუდმივ კომუნიკაციაშია რაიონულ რესურსცენტრთან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მიმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა თუ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.
გარდა ამისა, „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტისა და ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების დანართი №1-ით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის წესდების" მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,კ" ქვეპუნქტის თანახმად, სკოლის დირექტორს ეკისრება ვალდებულება ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგინოს და გააცნოს ანგარიში ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 27 იანვრის №75599 ბრძანებით, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულებისათვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №365 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენის ვადებს და წარდგენისას - ინფორმაციას მოთხოვნილი თანდართული ცხრილების შესახებ.

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 49-ე მუხლის შესაბამისად, სკოლა წარადგენს ანგარიშს საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში მოცემული ,,ინფორმაციის თავისუფლების'' თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ მე-11 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, მრჩეველთა საბჭოს წარედგინება დირექტორის ანგარიში სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით.

ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის'' 34-ე მუხლის თანახმად, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგს სკოლა ახორციელებს არანაკლებ სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის განხორციელების მიზნით შექმნილი ჯგუფი ადგენს დასკვნას, რომელსაც არაუგვიანეს 7 დღისა წარუდგენს სამინისტროს.

სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. დირექტორის განმარტებით, ანგარიშების წარდგენა შესაბამის სტრუქტურებთან ხდება ვადებისა და პროცედურების დაცვით, რაც დასტურდება 2022 წლის 10 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმით (სკოლის დირექტორის წლიური ანგარიშის წარდგენა). **ინდიკატორი** დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმის წარმოების წესი;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- გატარების ჟურნალები;
- ერთიანი ელექტრონული სისტემა.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **<u>სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;</u>**

სკოლა საზოგადოების წინაშე წარადგენს საჯარო ინფორმაციას სოციალური ქსელის, ონლაინ სივრცეში შექმნილი ჯგუფების, საშუალებით. მოსწავლეთა მშობლებს აქვთ წვდომა ელექტრონულ ჟურნალთან, ეცნობიან მასწავლებელთა კომენტარებს. სკოლა ნებისმიერ სიახლეს პედაგოგებს აცნობს პედაგოგიურ საბჭოზე. საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია ქვეყნდება საჯაროდ ან გამოიკრება თვალსაჩინო ადგილას.

საზოგადოებასთან კომუნიკაციის კუთხით, სკოლას შემუშავებული აქვს კომუნიკაციის წესი, სადაც გაწერილია მშობლებთან ურთიერთობის ფორმა და წესი, რომელსაც დაეყრდნობა სკოლა სამომავლო საქმიანობებში. კლასის დამრიგებლებს შექმნილი აქვთ სადამრიგებლო კლასებთან ურთიერთობისათვის მესენჯერ-ჯგუფები, ელექტრონული პლატფორმა Microsoft Teams საკლასო ჯგუფები, რომლის დახმარებითაც მოსწავლეს, მშობელს, მასწავლებელს უზრუნველყოფილი აქვთ ურთიერთობები საჭიროებისამებრ. გარდა ამისა, ინფორმაციის გაზიარება ხდება დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე. სასკოლო სიახლები, ქვეყნდება სკოლის სოციალურ ქსელში. სამომავლოდ იგეგმება სკოლისთვის ვებ-გვერდის შექმნა. იმის გათვალისწინებით , რომ ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა ოფიციალური ვებ გვერდი, კრიტერიუმი არ იყო დაკმაყოფილებული. დასკვნის პროექტის პასუხად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა გაწერილი რეალისტური ვადებით, რომლის თანახმად 11/01/2023-მდე პერიოდში უზრუნველყოფს: 1. სკოლის ვებ გვერდის დამზადების თაობაზე შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვას; 2. ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხიმგებელი პირის გამოყოფას; 3. ვებ გვერდზე სტანდარით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსებას. ინდიკატორი **შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.**

2. **<u>სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სკოლას, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს პასუხიმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;**

სკოლის განმატრებით, სოციალური ქსელის ადმინისტრატორი პირი უზრუნველყობს დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციას. ისეთ საკითხებზე, რომელიც საჭიროებს სკოლის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების რეაგირებას, უზრუნველყოფს სოციალური ქსელიდან შემოსული ინფორმაციის დირექციისთვის გადაცემას. სკოლა უზრუნველყოფს შემოსული ინფორმაციის გათვალისწინებას შემდგომ საქმიანობაში. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, სადაც ჩანს , თუ როგორ მოხდება შემოსული ინფორმაციის დამუშავება, შესაბამისი რეაგირება და დამუშავებული ინფორმაციის გამოყენება საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

პირველადი დათვალიერებისას სკოლას არ აღმოაჩნდა მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი. ინფორმაციის გავრცელება ხორციელდებოდა პირებს შორის პირისპირ და წერილობითი კომუნიკაციის, სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკვრით, სკოლის სოციალურ ქსელში (Facebook) და teams- ის მიზნობრივ ჯგუფებში გამოქვეყნებით. სკოლაში სამომავლოდ იგეგმება სკოლის ვებ-გვერდის შექმნა. იმის გათვალისწინებით , რომ ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა ოფიციალური ვებ გვერდი, კრიტერიუმი არ იყო დაკმაყოფილებული. დასკვნის პროექტის პასუხად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა გაწერილი რეალისტური ვადებით, რომლის თანახმად 11/01/2023-მდე პერიოდში უზრუნველყოფს: 1. სკოლის ვებ გვერდის დამზადების თაობაზე შესაბამის უწყებასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომუნიკაციის წარმართვას; 2. ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხიმგებელი პირის გამოყოფას; 3. ვებ გვერდზე სტანდარით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსებას. ინდიკატორი **შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.**

სკოლის ღირებულებები, ჩარიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირებისთვის. აღნიშნული ინფორმაცია გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. სკოლა გამოთქვამს მზაობას ვებგვერდის შექმნის შემდგომ მასზე განათავსოს ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. იმის გათვალისწინებით , რომ ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა ოფიციალური ვებ გვერდი, კრიტერიუმი არ იყო დაკმაყოფილებული. დასკვნის პროექტის პასუხად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა გაწერილი რეალისტური ვადებით, რომლის თანახმად 11/01/2023-მდე პერიოდში უზრუნველყოფს: 1. სკოლის ვებ გვერდის დამზადების თაობაზე შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვას; 2. ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხიმგებელი პირის გამოყოფას; 3. ვებ გვერდზე სტანდარით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსებას. ინდიკატორი **შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-90 10.07.23წ. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესის დამტკიცების შესახებ.
- სკოლის სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **<u>სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;</u>**

ხელთუბნის საჯარო სკოლა კალენდარული წლის ბოლომდე ახდენს სკოლის ბიუჯეტის წარდგენას სამეურვეო საბჭოსათვის . ბიუჯეტი აგებულია სკოლს სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე და მთელი წლის მანძილზე ბიუჯეტის მიხედვით ხდება თანხების მიზნობრივი ხარჯვა.ბიუჯეტში შესაძლებელია ცვლილებების შეტანა, გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას არ ყოფნის თანხა ,ზამთრის სეზონზე ითხოვს დანაკლისის შევსებას კომუნალური დავალიანების დასაფარად.
სკოლის ფინანსურ რესურსს შეადგენს ვაუჩერული დაფინანსება, სკოლის ექიმის თანამდებობრივი სარგო, სსსმ მოსწავლის დაფინანსება, მასწავლებლების კუთვნილი დანამატის და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისაგან. ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში სკოლაში იქმნება ფინანსური საქმიანობის სამოქმედო გეგმა - საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც წლის განმავლობაში სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული შეცვლილი ფინანსური დინამიკის შესაბამისად განიხილება, იცვლება და მტკიცდება სკოლაში არსებული სამეურვეო საბჭოს მიერ. ფინანსური რესურსი ქმნის შესაძლებლობას უზრუნველყოს სკოლამ კომუნალური გადასახადები, სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებები, საკანცელარიო ნივთები, საგნობრივი კათედრების მიარ მოთხოვნილი სასწავლო რესუსები და სხვა, რათა სასწავლო პროცესი შეუფერხებელად წარიმართოს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **<u>სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.</u>**

ვიზიტისას დადგინდა, რომ სკოლა ფინანსურ რესურსებს განკარგავს კანონმდებლობით დადგენილი პრინციპით. ტარდება საბაზრო კვლევა თითოეულ საქონელზე. ასევე, ყოველი თვის ბოლოს კეთდება საკასო ხარჯი ბანკის ამონაწერის საფუძველზე, ხოლო წლის ბოლოს დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურადაა აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსები.

სკოლას სახელმწიფოსგან ერიცხება ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ვაუჩერის შესაბამისი ოდენობის თანხა, რომელიც მიმართულია სასკოლო სასწავლო პროცესის ხელშესაწყობად, როგორიცაა სასწავლო რესურსების, მასალების შეძენა გადაცემა პედაგოგებისთვის, ასევე სკოლის ადმინისტრაციისთვის სკოლაში მიმდინარე პროცესების სრულყოფილად წარმართვისთვის. ამ ყველაფრის სისრულეში მოსაყვანად სკოლა ნოემბრის თვეში ამტკიცებს მომდევნო წლის შესყიდვების გეგმას , რომელის ცვლილებაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებელია მოხდეს გადაუდებელი საჭიროებიდან გამომდინარე. აწარმოებს ბაზრის კვლევებს შესასყიდი საქონლის ფასების დადგენის მიზნით და დებს ხელშეკრულებებს რომელიც მომდევნო წლის 30 იანვრამდე იტვირთება შესყიდვების სამსახურის გვერდზე. საბოლოოდ ყოველწლიურად სკოლა 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს ანგარიშს წარუდგენს ფინანსური საქმიანობის შესახებ რაც ასახულია სამეურვეო საბჭოს შესაბამის ოქმში. სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავებს ბუღალტერი წინა წლის ბიუჯეტის ანალიზის, სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით და წარუდგენს დირექტორს. დირექტორს საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილება და მომზადებულ ბიუჯეტის გეგმის პროექტს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს წევრებს განსახილველად. მოწოდებული რეკომენდაციების და შენიშვნების კორექტირების შემდეგ უკვე ხდება მისი დამტკიცება სამეურვეო საბჭოზე და ფორმდება ოქმი. საჭირო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კვლავ ხდება სამეურვეო საბჭოს მოწვევა და ბიუჯეტის კორექტირებული გეგმის დამტკიცება. სამეურვეო საბჭოში, არიან სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები და მათი ინტერესებისა თუ აზრების გათვალისწინებით ხდება ბიუჯეტის შედგენა. ბიუჯეტი, პერიოდულად საჭიროებს გადახედვას და ცვლილებას, რაც განპირობებულია სკოლის ინტერესებიდან. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც ხდება სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის, დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დეტალური გაცნობა. **ინდიკატორი ფასდება დამაკმაყოფილებლად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- საპროგნოზო ბიუჯეტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა</u>**

სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესი. დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი და პირობები დამტკიცებულია მინისტრის ბრძანებით. მოსწავლეთა უფლებების დაცვასა და გარანტიებს უზრუნველყოფს „კანონი ზოგადი განათლების შესახებ“, რომლითაც სკოლა ხელმძღვანელობს. მოსაწავლეთა და თანამშრომელთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით შექმნილია საგანგებო შტაბი და შემუშავებულია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. გამოყოფილია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო. მრჩეველთა საბჭო განიხილავს სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების მიერ იდენტიფიცირებულ პრობლემებს და სახავს მათი გადჭრის გზებს. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე, სხვადასხვა კლასის მოსწავლეებთან ჩატარებულია საუბრები შემდეგ საკითხებზე: ძალადობა ოჯახსა და სკოლაში და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; დისკრიმინაციის აღმოფხვრის გზების ძიება; ბულინგისა და კიბერბულინგის საწინააღმდეგო ღონისძიებები; ნაადრევი ქორწინების გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე მოსწავლეთა უფლებების დაცვისა და გარანტიის მიზნით. სკოლაში ფუნქციონერებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხვდება მოსწავლეებს. შინაგანაწესში თვალსაჩინოა მოსწავლეთათვის ინფორმაცია გასაჩივრების წესის შესახებ. დისციპლინური კომიტეტი შექმნილია და ფუნქციონერებს საჭიროების შემთხვევაში.

სკოლაში დამტკიცებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, ასევე, განსაზღვრულია რეფერირების პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც შიდა წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას. ამასთანავე, სკოლაში შექნილია დისციპლინური კომიტეტი და სამეურვეო საბჭო, სადაც მოსწავლეები ახდენენ თავიანთი უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას. სკოლის თანამშრომლის ან მოსწავლის მიერ მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში, ტარდება ადმინისტრაციული წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და დარღვევის დადასტურების შემთხვევაში შესაბამის პირს ეკისრება დისციპლინური სახდელი. საჩივრის შემთხვევაში მოსწავლეს შეუძლია მიმართოს სკოლის ადმინისტრაციას, დირექციას, მანდატურს, რომელთა მიერ ხდება სათანადო ღონისძიებების გატარება. მოსწავლეთა ჯანმრთელობის უფლების დაცვას ახორციელებს სკოლის კვალიფიციური ექიმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **<u>მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;</u>**

სკოლას აქვს მოსწავლეთა უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები , რომელიც ჩაშენებულია შინაგანაწესში და მშობლებთან/ კანონიერ წარმომადგენლებთან სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლის მიერ მოწვეულ მშობელთა კრებებზე ხდება მისი გაცნობა, რაც ფორმდება- დასტურდება მშობელთან კრების ოქმით . მოსწავლის კანონით გარანტირებული უფლებების დაცვის ამსახველი დოკუმენტი შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის თვალსაჩინო ადგილზე . აღნიშნულის გაცნობის უფლება აქვს ყველა დაინტერესებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირს. შექმნილია დისციპლინური კომიტეტის დებულება. ყოველწლიურად სკოლაში ტარდება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები. თვითმმართველობის თავმჯდომარე არის სამეურვეო საბჭოს წევრი და მონაწილეობს სკოლის ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცესში. აქედან გამომდინარე მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო **რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოებასთან;**

3. **<u>მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გათორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.</u>**

სკოლის განმატრებით, მას ჰქონდა მშობლებთან ხელშეკრულებების დადების მრავალწლიანი გამოცდილება, თუმცა ბოლო წლებში მოხდა ამ პროცედურის დროებითი შეჩერება, რამაც გამოიწვია მშობელთა საზოგადოების ნაკლები ინფორმირებულობა და ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში.

,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 6^1 პუნქტის შესაბამისად და სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ. ხელშეკრულებაში დეტალურად უნდა იყოს გაწერილი სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები, მოსწავლეთა და მშობელთა პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი და წესი, სკოლის საქმიანობის ძირითადი მიმართულება და ზოგადი ქცევის წესი. ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს ორივე მხარის ინტერესებს. აღნიშნულის გათვალისწინებით **<u>ინდიკატორი ვიზიტის პერიოდში არ იყო დაკმაყოფილებული. დასკვნის პროექტის პასუხად, სკოლამ აიღო პასუხისმგებლობა, რომ შესაბამისობის ერთწლიან გეგმაში გათვალისწინებულ 15.09.2023-მდე პერიოდში გააფორმებს ხელშეკრულებას მოსწავლეებთან/მის კანონიერ წარმომადგენლებთან. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკრული შინაგანაწესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დამრიგებლის ფუნქციები;

4.1.2.სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;</u>**

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრავს მოსწავლის საფეხურის დაძლევის, მობილობის შემთხვევაში, განსხვავებული საგნების სწავლების საკითხებს. სკოლის წარმომადგენლების განმარტებით სკოლა მოსწავლეთა სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვის, მობილობის და სხვა პროცედურებისთვის ხელმძღვანელობს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურებით, კერძოდ: სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და მობილობა რეგულირდება კანონმდებლობით, კერძოდ, ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის შესაბამისად, ხოლო მობილობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ'' 2012 წლის 19 სექტემბრის N193/ნ ბრძანების მიხედვით.

სკოლა არსებული ადგილების რაოდენობის ფარგლებში იღებს ყველა მოსწავლეს, დისკრიმინაციის გარეშე. აღნიშნული პროცედურა საჯაროა და ხელმისაწვდომია სკოლის სოციალურ ქსელსა და სკოლაში თვალსაჩინო ადგილას. ინფორმაციის მსურველთათვის მიწოდებას ახორციელებს სკოლის კანცელარია. ესგ მუხლი 35-ის მიხედვით განსაზღვრავს კლასისა და საფეხურის დაძლევის პირობებს. საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების“ შესაბამისად სკოლას გაწერილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი“, რომლის გათვალისწინებითაც, ,საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების/გადაფასების და შესაბამისი დასკვნის შედგენის მიზნით, სკოლა მიმართავს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდს. ზემოთ აღნიშნულის შესახებ სკოლა ინფორმაციას აძლევს მშობელს მშობელთა კრებებზე. სკოლაში დანერგილია მშობელთა ინფორმირების წესი. მშობლებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია მათი შვილების წარმატებებისა და აკადემიური მოსწრების შესახებ ელექტრონული ჟურნალისა და Teams-ის პლატფორმის საშუალებით. სურვილის შემთხვევაში მშობლებს უფლება აქვთ მოითხოვონ სემესტრული გამოცდა. **აღნიშნული ინდიკატორი შესაძლებელია ჩაითვალოს დაკმაყოფილებულად.**

2. **<u>სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;</u>**

სკოლა პირველადი ავტორიზაციის პროცესშია. მოსწავლის მობილობა სხვა სკოლიდან ხორციელდება ბრძანება N04/ნ -ის შესაბამისად, ხოლო ესგ მუხლი 35-ის მიხედვით განისაზღვრება კლასისა და საფეხურის დაძლევის პირობები. პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწვლეთა რიცხოვნობის განსაზღვრა ხორციელდება დირექტორის ადმინისტრაციულ სამართებლივი აქტით (ბრძანება N 2-14, 22. 02.2023წ). პირველ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კლასელთა რეგისტრაცია სკოლაში ხორციელდება 4 ეტაპად: 1.სსსმ სტატუსის მქონე ბავშვები; 2. ბავშვები, რომელთა და და ძმა უკვე სწავლობს აღნიშნულ სკოლაში; 3.ბავშვები, რომელთა და და ძმა არ სწავლობს სკოლაში; 4. ყველა დანარჩენი ბავშვები. ჩარიცხვა ხდება მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე. სკოლის პედაგოგიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე მოსწავლეთა საფეხურის დაძლევა განისაზღვრა 5,0 ქულით (დაწყებითი საფეხური: ბრძანება N 2-49, 30.06. 2022; საბაზო საფ:ბრძანება N 2-27, 20.06.22; საშუალო საფ: ბრძანება N2-21, 20.05. 2022). სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა სტატუსის შეწყვეტა/ შეჩერების მექანიზმი, კერძოდ, გაცდენის შემთხვევაში კლასის დამრიგებელი უკავშირდება მოსწავლის მშობელს და ადგენს გაცდენის მიზეზს. მოსწავლის 10 დღიანი გაცდენის შემთხვევაში დამრიგებელი ინფორმაციას აწვდის სკოლის დირექციას და მანდატურს.მობილობა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:1. მობილობა ხორციელდება მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე; 2. გამომშვები სკოლიდან დადასტურების შემდეგ სკოლა ფოსტით იღებს პირად საქმეს და დირექტორის ადმინისტრაციულ სამართებლივი აქტის საფუძველზე მოსწავლე ირიცხება შესაბამის კლასში.სტატუსის შეწყვეტა ხორციელდება 2 მიზეზით: 1. მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის საფუძველზე ; 2. გაცდენების საფუძველზე, ექსტერნის წესის მიხედვით.

16/ ნ ბრძანების საფუძველზე თუ მოსწავლეს გამოუვლინდა სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები საგნის მასწავლებელი მიმართავს დამრიგებელს, დამრიგებელი აცნობებს ადმინისტრაციას და ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტს. აღნიშნულ პრობლემას დეტალურად აწვდიან მოსწავლის მშობელს ან მის კანონიერ წარმომადგენელს. სკოლა ადგენს კონკრეტული მოსწავლის პირველადი სირთულეების მართვის გეგმას, საჭიროების შემთხვევაში მშობლის განცხადების საფუძველზე სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს და ხდება მოსწავლის საჭიროების დადგენა.

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, რაც დასტურდება მოწესრიგებული ელექტრონული ბაზებითა და მოსწავლეთა პირადი საქმეებით. სკოლას გააჩნია :მშობელთა განცხადებები , ჩარიცხვის ბრძანებები, სტატუსის შეჩერების ბრძანება, პედსაბჭოს ოქმები საფეხურის დაძლევაზე, ბრძანება სტატუსის დაძლევის. პირველ კლასში სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა. მოსაწავლეების (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) საფეხურის დაძლევა განიხილება პედაგოგიურ საბჭოზე და ფორმდება პედაგოგიური საბჭოს ოქმი, რომლის საფუძველზეც დირექტორის მიერ გამოიცემა საფეხურის დაძლევის ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში მოქმედებს მექანიზმი: მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მომართავს სკოლას მობილობის შესახებ. მოსწავლე თავის კანონიერ წარმომადგენელთან ერთად ხვდება დირექტორს, შეირჩევა შესაბამისი კლასი, დირექტორი ახვედრებს დამრიგებელს, დამრიგებელი მოსწავლეს აცნობს სასკოლო სივრცეს საგნის მასწავლებლებს და თანაკლასელებს. თუ მობილობა ხდება სსსმ მოსწავლის შემთხვევაში, პროცესში არის ჩართული სპეციალური მასწავლებელიც. საჭიროების შემთხვევაში, მშობლების დროული ინფორმირება ხორციელდება წერილობით ან ინდივიდუალური შეხვედრებით. მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გადაწყვეტილებას იღებს კოლეგიური ორგანო პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების წლიური შეფასების საფუძველზე. პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებები აისახება შესაბამის ოქმებში. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შესაძლებელია დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.**

3. **<u>სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;</u>**

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია დამრიგებლის ფუნქციები, სადაც ერთ-ერთ ვალდებულებად გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობა მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის. სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს დამატებით სერვისებს, კერძოდ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება კლუბების შექმნა. სკოლის მხრიდან არაფორმალური განათლების აქტივობების შეთავაზება ხდება მოსწავლეთა და მშობლების გამოკითხვის საფუძველზე. მეოთხე კლასის დამრიგებლებმა ჩაატარეს საინფორმაციო კამპანია ენის არჩევასთან დაკავშირებით. დაიგეგმა შეხვედრა მშობლებთან. ენის არჩევა გადაწყდა მშობელთა ხმათა უმრავლესობით. განათლების მინისტრის ბრძანების საფუძველზე სკოლა აწვდის ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებას. აქედან გამომდინარე კლასის დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დასწყისში მიაწოდოს ინფორმაცია მშობლებს,როგორც ექსტერნის წესით საგნის გამოცდის დაძლევაზე, ასევე სემესტრული ნიშნის გაუმჯობესების შესახებ. ერთი კვირის ვადაში მოსწავლის მშობელი წერს განცხადებას დირექციის სახელზე, იქმნება კომისია, სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორის მოადგილე ადგენს გამოცდების ჩატარების გრაფიკს, რომელსაც აცნობს მოსწავლეს/მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. პროგრამებისა თუ დამატებითი მომსახურებების შესახებ ინფორმაცია არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი და გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას. **აღნიშნულის გათვალისწინებით სტანდარტი დაკმაყოფილებულად შეიძლება ჩაითვალოს.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობები განთავსებულია სკოლის facebook გვერდზე. ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის, რაზეც არსებობს მოსწავლეთა მშობლის თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტები. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად და თანაბრად წარმოაჩენს ყველა ბავშვის უფლებებსა და შესაძლებლობებს. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები. სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერითა და უზრუნველყოფით სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც მკაფიოდ გაწერილი გეგმსა და შესაბამისი მიზნების მიხედვით სკოლაში ანხორციელებს მოსწავლეთა მაღალი ჩართულობით სხვადასხვა აქტივობებს. თვითმმართველობის ინიციატივით და ხელშეწყობით სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი , რომლის პარტნიორია USAID. ამ ორგანიზაციის პროგრამის ფარგლებში სკოლამ მიიღო მონაწილეობა ბიზნეს ფორუმში, სადაც წარადგინა პროექტი „ცისკარა“.აღნიშნულმა პროექტმა გაიმარჯვა და მოიპოვა დაფინანსება.სამოაქალაქო განათლების კლუბი აგრეთვე აქტიურად თანამშრომლობს საზოგადოება „ბილიკთან“და ანხორციელებს სხვადასხვა სასკოლო პროექტებს. USAID და საზოგადოებრივი ბილიკის თანამონაწილეობით სკოლა ჩართულია ახალი სამოქალაქო განათლების პროგრამაში, როგორც პარტნიორი. ამ პროქტის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავდა სხვადასხვა სკოლის თვითმმართველობის ურთიერთთანამშრომლობას, ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: ინტელექტუალური თამაში, სხვადასხვა სპორტულ სახეობებში ტურნირი. USAID და საზოგადოება ბილიკის მცირე გრანტის პროექტის ფარგლებში გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ ვიზიტით კასპის ტექნოპარკში.
USAID და PH International მიერ დაფინანსებულ და განხორციელებულ პროექტში სკოლის თვითმმართველობამ მოიპოვა მცირე გრანტი, რომლითაც დაფინანსდა სკოლაში რადიოკვანძის მოწყობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა იმყოფება პირველადი ავტორიზაციის პროცესში, მომდევნო სასწავლო წლისთვის არსებული პროგრამების , სერვისების და აქტივობების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას გეგმავს გამჭვირვალეობის პრინციპით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის facebook გვერდი;
- გამოცემული ბრძანებები მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;</u>**

სკოლის ერთ-ერთი მიზანია მოსწავლის დახმარება და მისი მხარდაჭერა თითოეულ ეტაპზე. სკოლამდელი მოსწავლეების სასკოლო გარემოში უმტკივნეულოდ გადასვლის მიზნით სკოლა იყენებს სამინისტროს მიერ შემუშავებულ და რეკომენდირებულ ტრანზიციის გეგმას. პირველკლასელთა რეგისტრაციისა და ჩარიცხვის ვადების გამოცხადების შემდეგ სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს აღნიშნული დოკუმენტის საჯაროობას. სკოლის დირექცია უკავშირდება საბავშო ბაღს და აწვდის დოკუმენტაციას მშობელთა ინფორმირების მიზნით. სკოლა აგროვებს მონაცემებს პირველკლასელ მოსწავლეთა სავარაუდო რაოდენობის შესახებ, როგორც საბავშვო ბაღიდან, ასევე სოფლის ამბულატორიის დახმარებით, სასწავლო გარემოს მოსაწყობად.
მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით სასწავლო წლის დასრულებამდე სკოლას შერჩეული ჰყავს პირველი კლასის დამრიგებელი. სასწავლო წლის დაწყებამდე პირველ კლასში ჩარიცხული მოსწავლეები მშობლებთან ერთად სტუმრობენ სკოლას და ეცნობიან სასკოლო გარემოს. სკოლის განმარტებით, ამ ეტაპზე სკოლაში ტრანზიციის გეგმა ხორციელდება ნაწილობრივ, თუმცა ახალი სასწავლო წლისთვის იგეგმება ტრანზიციის გეგმით განსაზღვრული აქტივობების სრულყოფილად შესრულება. მათ შორის მშობელთა და მასწავლებელთა კითხვარების შევსება და მათი ანალიზის შედეგების გათვალისწინება შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვისას. სასწავლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ საგნის მასწავლებლებს და დამრიგებლებს, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე. მასწავლებლები სხვადასხვა აქტივობებითა და თამაშებით უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ადაპტაციას, ხოლო სსსმ მოსწავლეთა შემთხვევაში დამატებით პროცესში ერთვებიან სპეციალური მასწავლებლები და ასისტენტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კლასის ხელმძღვანელებს ფუნქციებში გაწერილი აქვთ ზრუნვა მოსწავლეთა წამოჭრილ საჭიროებებზე და მხარდაჭერა. დამრიგებლებს ინდივიდუალურად აქვთ შესწავლილი თითოეული მოსწავლის სოციალური სტატუსი და შემუშავებული აქვთ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მიდგომის მეთოდები, მუდმივ რეჟიმში ხდება სკოლასა და მშობელს შორის ინფორმაციის გაცვლა. სკოლაში გათვალისწინებულია მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის როგორც ფსიქოლოგიური, ასევე ფიზიკური ასპექტები ტიპური, სსსმ და შშმ მოსწავლეებისთვის. მოქმედებს ადაპტაციისთვის რელევანტური მექანიზმები. სკოლაში არის სარეკრეაციო სივრცეები; რესურს ოთახი; ასაკის შესაბამისი ავეჯი; ადაპტირებული მერხი; ადაპტირებული სველი წერტილი; პანდუსი; სკოლაში მუშაობენ სპეც. მასწავლებლები და ინდივიდუალური ასისტენტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;**

სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლა უზრუნველყოფს სამომავლოდ მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, სსსმ მოსწავლეებს გარდა საკლასო ოთახებისა საშუალება აქვთ ისარგებლონ რესურს ოთახით, წინასწარ შემუშავებული განრიგის მიხედვით. კლასის ხელმძღვანელებს ფუნქციებში გაწერილი აქვთ ზრუნვა მოსწავლეთა წამოჭრილ საჭიროებებზე და მხარდაჭერა. სწავლის დაწყებამდე მასწავლებლები ეცნობიან მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას პირადი საუბრებისა და ინტერვიუების საშუალებით, სთავაზობენ მათზე მორგებულ საგანმანათლებლო მომსახურებას. სკოლის ინფრასტრუქტურა გამოყენებულია სასწავლო პროცესის ეფექტიანად განხორციელების რესურსად.
ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლა უზრუნველყოფს პირველკლასელ მოსწავლეთათვის ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. საკლასო ოთახი განთავსებულია პირველ სართულზე და აღჭურვილია ასაკის შესაბამისი მერხებით, სკამებით, დაფა მათთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზეა განთავსებული. კლასი გაფორმებულია მასწავლებლების მიერ შექმილი მრავალფეროვანი რესურსებით. მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სველი წერტილი საკლასო ოთახთან ახლოს მდებარეობს და რომლითაც ისინი კლასის ხელმძღვანელის მიერ გაცნობილი წესების მიხედვით სარგებლობენ. სსსმ მოსწავლეებისთვის სკოლაში არის ადაპტირებული სველი წერტილი, შენობის შემოსასვლელში პანდუსი. სკოლა სკოლაში მოსვლის პირველი დღიდანვე პირველკლასელ მოსწავლეებს საკლასო ოთახში ხვდებათ სასკოლო სახელმძღვანელოები და ბუკები, რომლებიც საზეიმო ვითარებაში გადაეცემათ. კლასში შემსვლელი საგნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლები სწავლის დასაწყისიდანვე იწყებენ დაკვირვების გზით მოსწავლეთა საჭიროებების დადგენას და ითვალისწინებენ დიფერენცირებული მიდგომებით სწავლების პროცესში. სკოლის თითოეული კლასის დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის სასკოლო გეგმის, დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ასევე, აცნობს სკოლის შინაგანაწესსა და მათ უფლებებსა და მოვალეობებს. დამრიგებელი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას, რომ მაქსიმალურად არის მხარდაჭერილი მათი ინიციატივები და ხელი შეეწყობათ მათი ინტერესების შესაბამისად საკლუბო აქტივობებისა დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლაში ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი თავისუფალი სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ ინოვაციური იდეების, ინიციატივების შესახებ მსჯელობა, გაანალიზება, შემდეგ კი დაგეგმვა და რეალიზება. ამასთანავე, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს მატერიალური რესურსითაც სხვადასხვა ღონისძიებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **<u>მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად:</u>**

სკოლას აქვს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის საკონსულტაციო სისტემა. კერძოდ, აკადემიური მიღწევის გასაუმჯობესებლად, მასწავლებლები მოსწავლეებს უტარებენ ინდივიდუალურ შეხვედრებს დამატებითი მეცადინეობის სახით. ინიშნება დამატებითი დრო შემაჯამებელი დავალების მომზადებისა და აღდგენისთვის. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების მიხედვით სკოლა მზადაა სათანადო კონსულტირება გაუწიოს მოსწავლეს მისი მიღწევების გასაუმჯობესებლად, რისთვისაც გამოიყენებს მოსწავლეთა თვითშეფასების ინსტრუმენტებს და რემედიაციულ პროცესებს. მასწავლებლები გაანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს და შეიმუშავებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა სტრატეგიებს (უკუკავშირი, მოსწავლის თვითშეფასების ფორმა, დაკვირვების დღიური და ა.შ.). სკოლის თითოეული საგნის მასწავლებელი სასწავლო აქტივობების განხორციელებისას იყენებს განმავითარებელ უკუკავშირს, როგორც ზეპირი კომენტარების სახით, ასევე წერილობითი ფორმით. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები ელექტრონული ჟურნალის სპეციალურ ველში წერენ განმავითარებელ კომენტარებს, რაც ხელმისაწვდომია მშობლებისთვის . საგნის მასწავლებლების მიერ სასწავლო წლის დაწყებამდე შექმნილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რითაც ადგენენ მოსწავლეთა პროგრესს. მიუხედავად იმისა, რომ მშობელს აქვს წვდომა მოსწავლის აკადემიურ შედეგებზე ელოქტრონული ჟურნალის საშუალებით, დამრიგებელი მშობელს აწვდის ყოველკვირეულ ინფორმაციას მოსაწავლის აკადემიური მიღწევის შესახებ სხვადასხვა კომუნიკაციის გზით. დამრიგებელს პრობლემის წამოჭრის შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეაქვს მოდიფიკაცია სადამარიგებლო პროგარამაში, ასევე საჭიროებიდან გამომდინარე აწარმოებს ინდივიდუალურ შეხვედრებს მშობლებთან და მათთან ერთად სახავს პრობლემის გადაჭრის გზებს. მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლეებს აძლევს ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ უკუკავშირს, შუალედურ სასწავლო მიზნების მისაღწევად მოსწავლეებს აძლევს განმავითარებელ შეფასებას სოლო ტაქსონომიის მიხედვით.

საგნის მასწავლებლები ექსტერნის გამოცდების გამოცდების წინ კონსულტაციებს უტრებენ მოსწავლეებს წინასწარ გაწერილი განრიგის მიხედვით. ყოველი თვის ბოლოს კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებს წერილობითი ფორმით ატყობინებენ მათი შვილების აკადემიურ შედეგებს. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **<u>სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;</u>**

მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე სკოლა მათ სთავაზობს შინ სწავლებისა და დისტანციურის სწავლების მომსახურებას. ესგ-ს 38 მუხლის თანახმად მოსწავლეებს 30 პროცენტი და მეტის გაცდენის შემთხვევაში ენიშნებათ ექსტერნატის გამოცდები. სკოლის მიერ ხდება ინფორმაციის მიწოდება უწევთ თუ არა საშემოდგომო გამოცდების, ექსტერნის გამოცდების ჩაბარება, ასევე რა ვადაში შეუძლიათ აღნიშნული გამოცდების ჩაბარება. მიეწოდებათ ინფორმაცია მათი დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით გასაჩივრების უფლებისა და გასაჩივრების წესის შესახებ. ასევე, სკოლა კლასის დამრიგებლის ჩართულობით დროულად აცნობებს მოსწავლეებს გაცდენის შედეგების შესახებ. აწვდის ინფორმაციას რომ შეუძლიათ სასკოლო ცხოვრებაში მიიღონ მონაწილეობა და ჩაერთონ მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებში. მშობლები ასევე ინფორმირებულები არიან მოსწავლეთა უფლებებზე შინსწავლებასთან დაკავშირებით, რაც ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების მიხედვით, სკოლა აცხადებს მზაობას გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გაუწიოს მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **<u>სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს საკლუბო საქმიანობა მოსწავლეთა ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით. ისინი ხშირად მუშაობენ საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის აქტუალურ საკითხებზე.

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. პერსონალის აქტიური მონაწილეობით იგეგმება სკოლის მოსწავლეთა არაფორმალური აქტივობები როგორიცაა ექსკურსიები, სხვადასხვა გასვლით ღონისძებები, სასკოლო პროექტები და ა.შ. ყველა აღნიშნული ღონისძება ეწყობა კანონით დადგენილლი პროცედურების დაცვით. მაგ. სკოლა ექსკურსიის მოწყობის დროს იცავს მოქმედ რეგულაციას. სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერითა და უზრუნველყოფით სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც მკაფიოდ გაწერილი გეგმსა და შესაბამისი მიზნების მიხედვით სკოლაში ანხორციელებს მოსწავლეთა მაღალი ჩართულობით სხვადასხვა აქტივობებს. თვითმმართველობის ინიციატივით და ხელშეწყობით სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი , რომლის პარტნიორია USAID . ამ ორგანიზაციის პროგრამის ფარგლებში სკოლამ მიიღო მონაწილეობა ბიზნეს ფორუმში, სადაც წარადგინა პროექტი „ცისკარა“. აღნიშნულმა პროექტმა გაიმარჯვა და მოიპოვა დაფინანსება. სამოაქალაქო განათლების კლუბი აგრეთვე აქტიურად თანამშრომლობს საზოგადოება „ბილიკთან“და ანხორციელებს სხვადასხვა სასკოლო პროექტებს. USAID და საზოგადოებრივი ბილიკის თანამონაწილეობით სკოლა ჩართულია ახალი სამოქალაქო განათლების პროგრამაში, როგორც პარტნიორი. ამ პროქტის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავდა სხვადასხვა სკოლის თვითმმართველობის ურთიერთთანამშრომლობას, ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: ინტელექტუალური თამაში, სხვადასხვა სპორტულ სახეობებში ტურნირი. USAID და საზოგადოება ბილიკის მცირე გრანტის პროექტის ფარმლებში გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ ვიზიტით კასპის ტექნოპარკში. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ადასტურებს , რომ სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.**

სკოლაში მიმდინარე არაფორმალური განათლების აქტივობები (პროექტები, წრეები, კლუბები) მოიცავს უკუკავშირის და მონიტორინგის კომპონენტს, ფორმალურ განათლებაში მოსწავლეები იღებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. ინტერვიუირებით დგინდება, რომ სკოლა გამოთქვამს მუდმივ მზადყოფნას, რათა მიიღოს მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი სკოლის პროგრამების, წრეებისა თუ არაფორმალური აქტივობების შესახებ, მიღებული ინფორმაცია გაუზიაროს სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებას, რათა შეაფასონ წარმოდგენილი უკუკავშირის შესაბამისობა და გაზიარების შემთხვევაში დასახონ მისი გაუმჯობესების გზები და გაითვალისწინონ შემდგომ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- გაფორმებული მემორანდუმები;
- გამოკითხვების ანალიზები.

4.2.2.სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

<u>1.კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;</u>

სკოლაში შექმნილია ყველა პირობა მოსწავლეებისთვის, იმისათვის, რომ საბაზო განათლების მიღება, როგორც სავალდებულო, იყოს ხელმისაწვდომი. გარდა ამისა სკოლა ფიქრობს და ზრუნავს მათ მომავალ საქმიანობაზე, ამისათვის ბავშვებს სთავაზობს პროფესიული განათლების მიღებას სხვადასხვა სასწავლებელში.პერიოდულად სკოლაში მოდიან და მოსწავლეებს ხვდებიან სხვადასხვა უნივერსიტეტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმომადგენლები. დამრიგებლები ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს პროფორიენტაციის შესახებ. არაფორმალური განათლების ფარგლებში, სკოლაში ხდება სხვადასხვა პროფესიაში წარმატებული ადამიანების მოწვევა. სკოლას დამტკიცებული აქვს (10.07.2023წ. ბრძანება N2-84) სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის პროფესიული ორიენტაციისა დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის საკონსულტაციო მომსახურების გაწევის, დამატებითი აქტივობების განხორციელების, სკოლის მოსწავლეებისათვის კარიერული მხარდაჭერისა და პროფორიენტაციის ღონისძიებების დაგეგმვის წესს. მოსწავლეთა პროფორიენტაციის დადგენის მიზნით სკოლაში ჩატარდა თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევა. კვლევის მთავარი მიზანი იყო, მოზარდს ჩამოყალიბებოდა სწორი, მიზანმიმართული ხედვა, შეეფასებინა საკუთარი საჭიროებები, განევითარებინა სწორი თვითშეფასების უნარი.

პროფორიენტაციის მიზნით კვლევის დაწყებამდე, მოსწავლეები შეხვდნენ პროფესიული სასწავლებლის წარმომადგენლებს. შექმნეს და გამოიყენეს ინტერესის სფეროს საკვლევი კითხვარები (საბაზო საფეხურის მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან და პედაგოგებთან) აღნიშნული დასტურდება კითხვარებით და ფოტომასალით). გატარებული ინტერვენციების შეფასებისას გამოვლინდა, რომ მათი უმრავლესობა შედეგიანი იყო. ანალიზმა აჩვენა, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი დაინტერესდა პროფესიულ კოლეჯებში სწავლით და ფიქრობს, რომ განხორციელებული აქტივობები მათ დაეხმარა, ეპოვათ საკუთარი თავი და დამოუკიდებლად მიეღოთ სწორი გადაწყვეტილება. კვლევის შედეგები სკოლამ მოსწავლეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს მიაწოდა ხელთუბნის საჯარო სკოლის ოფიციალური ფბ. გვერდის მეშვეობით (https://www.facebook.com/xeltubnisskola) **ინდიკატორი შესაძლებელია დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.**

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით ინფორმაციის გაზიარება ხდება შეხვედრებზე როგორც მოსწავლეებთან, ასევე მათ მშობლებთან. იგეგმება და შემდეგ ხორციელდება ვიზიტები პროფესიულ სასწავლებლებსა და კოლეჯებში, პროფესიული განათლების არსის გაგების მიზნით. ეცნობიან რა პროფესიულ კოლეჯში განათლების მიღების პირობებს, სურვილის შემთხვევაში იღებენ იქ სწავლის გაგრძელების გადაწყვეტილებას. ამავე მიზნით ტარდება სასკოლო სივრცეში შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის და უმაღლესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლებლების წარმომადგენლებთან, ასევე მუდმივად იგეგმება მოსწავლეების გასვლითი ვიზიტები სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. უნივერსიტეტების მიერ მოწოდებული საინფორმაციო პლაკატები იკვრება სკოლის საინფორმაციო დაფებზე. სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას მშობლებს, მოსწავლეებს დამრიგებლების დახმარებით ინფორმაციას საბაზო და საშუალო საფეხურზე პროფესიის არჩევის ორიენტაციის მიზნით. სკოლის საინფორმაციო მენეჯერი სისტემატიურად აცნობებს როგორც კლასის დამრიგებლებს, ასევე მოსწავლეებს ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულად შეიძლება ჩაითვალოს.**

3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სკოლას ნაწილობრივ აღრიცხული აქვს კურსდამთავრებულების მიერ ნაჩვენები შედეგები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. პერიოდულად აგროვებს ინფორმაციას მათი დასაქმების შესახებ. აღნიშნული მონაცემები განიხილება საგნობრივ კათედრებზე და იგეგმება საჭირო ინტერვენციები. სკოლა მოსწავლეებისგან, უნივერსიტეტების მიერ მოწყობილი შეხვედრების , ასევე პროფესიულ კოლეჯთან ურთიერთობის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების გადმოცემას ახდენს ზეპირი უკუკავშირით. მომავალში სკოლა გეგმავს მოსწავლეებისთვის კითხვარების შემუშავებას და გაგზავნას და მათი გაანალიზების შედეგების გათვალისწინებით, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების გზების დაგეგმვას. **ინდიკატორი შესაძლებელია დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.**

რჩევა: სასურველია სკოლამ შეიმუშაოს მეთოდოლოგია , როგორ მოახდენს ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გაწეული მომსახურების შეფასებას, რომელ ინსტრუმენტებს გამოიყენებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- სამოქმედო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.2.3.სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;</u>**

სკოლას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები და ასევე მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც შესაბამისობაშია ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N16/ნ ბრძანებასთან. შემუშავებული ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელიც წარმოადგენს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მთავარ მექანიზმს. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეების გადაადგილებისთვის საჭირო მექანიზმი. ასევე აქვს სათანადო ინფრასტრუქტურა სსსმ მოსწავლეებისათვის, განათლების მიღებისათვის, შესაბამისი გარემოს უზრუნველსაყოფად. სკოლაში დასაქმებულია სპეციალური მასწავლებლები და სსსმ პირის ასისტენტი. დირექტორის ბრძანებით შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ახორციელებს ინკლუზიური განათლების მონიტორინგს და წერს დასკვნას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N16/ნ-ზე დაყრდნობით, იმ შემთხვევაში, თუ საგნის მასწავლებელი, ან დამრიგებელი მიიჩნევს, რომ მოსწავლეს თანატოლებთან შედარებით აქვს სიძნელე სწავლაში და ამისთვის საჭიროა ესგ-ს მოდიფიცირება, ან სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია, ვალდებულია აცნობოს ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტებს, ასევე დირექციას. სკოლის დირექცია აწვდის მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს ინფორმაციას და ორგანიზებას უწევს კლასის დამრიგებლის, სკოლის დირექციის, სპეციალური მასწავლებლის და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეხვედრას. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოსწავლეს გამოხატული აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულე, ვერ ძლევს ესგ-ით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი სკოლას მიმართავს წერილობითი ფორმით და გამოხატავს თანხმობას მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასებასთან დაკავშირებით. სკოლის დირექცია მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს შეფასების მოთხოვნით, რომელიც მიღებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში აფასებს მოსწავლის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას და ადგენს შესაბამის დასკვნას ამ წესის მე-12 მუხლით დადგენილი წესით. თითოეულ მოსწავლეს მულტიდისციპლინარული გუნდის დასკვნის საფუძველზე ჰყავს შესაბამისი ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები: სპეციალური მასწავლებლის ან/და ინდივიდულური ასისტენტი. სსსმ მოსწავლეებისათვის იქმნება ესგ-ზე დაფუძნებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. პერიოდულად ხდება აღნიშნული გეგმების მონიტორინგი. რომლის შედეგადაც მასში ხორციელდება ცვლილებები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეების წინსვლასა და განვითარებაზე. მშობლის ჩართულობითა და თანხმობით, მასწავლებლების ჩართულობით შესაძლებელია მოსწავლის გადაფასების მიზნით მოხდეს მულტიდისციპლინური გუნდისათვის მიმართვა, ხოლო გადაფასების შემთხვევაში მოხდეს გუნდის რეკომენდაციების გათვალისწინება და სსსმ მოსწავლესთან მუშაობის ფორმების დახვეწა, საჭიროების შემთხვევაში ინდ. გეგმაში ცვლილების შეტანა. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი სკოლის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები, პასუხისმგებელი პირები და ვადები. მონიტორინგის მიზნით სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელის შემადგენლობაშიც შედიან ისეთი პირები, რომლებიც არ არიან ისგ ჯგუფის წევრები. აღნიშნული საშუალებას იძლევა რომ მონიტორინგი განხორციელდეს ობიექტურად და მიუკერძებლად. მონიტორინგის ჯგუფი ადგენს დასკვნას, რომელიც კანონის შესაბამისად იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

<u>2.სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.</u>

სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სკოლას აქვს რესურს ოთახი, შესაბამისი რესურსებით, ჰყავს სპეციალური მასწავლებლები.

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც ასევე მასწავლებელთა მხრიდან მოსწავლის სირთულის ერთობლივად დაძლევაზეა დაფუძნებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში ყველა პირობაა იმისათვის, რომ სასკოლო საზოგადოება ჩაერთოს და ითანამშრომლოს იმ მიზნით, რომ სსსმ მოსწავლეების ადაპტირება გარემოსთან იყოს უმტკივნეულო და წინააღმდეგობების გარეშე. სკოლის შესაბამისი პერსონალი თანამშრომლობს მშობლებთან რათა სსსმ მოასწავლეებს ხელი შეეწყოთ პროგრესის მიღწევაში, ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენაში, ცოდნის მიღებაში და საჭიროებების დადგენაში. სსსმ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი თანატოლებთან ერთად სხვადასხვა აქტივობებში და ღონისძიებებში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი კვირისა (იმ მოსწავლეების შემთხვევაში, რომელთა ინდივიდუალური საჭიროებები უკვე იდენტიფიცირებულია) ან მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში. ისგ-ში ასახულია ინფორმაცია სსსმ მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ კოგნიტურ, აკადემიურ, სოციალურ სფეროებში. აგრეთვე სად და როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, საკლასო ოთახში დანარჩენ მოსწავლეებთან ერთად თუ რესურსოთახში წინასწარ განსაზღვრული განრიგით. სპეციალური მასწავლებლები თანამშრომლობენ და კონსულტირებას უწევენ საგნის მასწავლებლებს სასწავლო მასალის შექმნასა და ადაპტირებასთან დაკავშირებით. სპეციალური მასწავლებელი მინიმუმ სამ თვეში ერთხელ აწვდის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ინფორმაციას სსსმ მოსწავლის შედეგებისა და მიღწევების შესახებ. სკოლის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი სასწავლო წლის დასასრულს აწარმოებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგს. სკოლამდელ ასაკში ,,ადრეული განვითარების ''პროგრამაში ჩართული ბაშვისთვის დგება ტრანზაციის გეგმა და სწავლის დაწყებამდე ხდება მულტიგუნდის მიერ მისი შეფასება მშობლის თანხმობის საფუძველზე. შეფასებული მოსწავლის პირველ კლასში რეგისტრაცია ხორციელდება რეგისტრაციის პირველ ეტაპზე და სასწავლო წლის დაწყებამდე სხვა კლასის სსსმ მოსწავლეებთან ერთად დგება მათი ინდივიდუალური გეგმები. სკოლის მასწავლებლების მიერ კომპლექსური დავალების შედგენისას ,საგნის მასწავლებლის და სპეცმასწავლებლების ურთიერთანამშრომლობით ხდება კომპლექსური დავალების პირობის ადაპტირება თითოეული სსსმ მოსწავლისთვის, მათ საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინდ. გეგმის შემუშავების ჩარჩო დოკუმენტი;
- რესურს ოთახი, შესაბამისი რესურსები;
- სპეციალურ მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულებები;

4.2.4.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **<u>სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);</u>**

სკოლის მიერ შეთავაზებულია დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება, კერძოდ ტრანსპორტირების სერვისი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში "საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამა", რომლის ფარგლებშიც სკოლიდან 3 კილომეტრით დაშორებულ მანძილზე მცხოვრებ მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი- სკოლაში მოყვანა/წაყვანა. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში ჩართვის დოკუმენტაცია; აღნიშნული სერვისები ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ. მარეგულირებელი მხარე უზრუნველყობს მანქანის ტექნიკურად გამართულობას, აფორმებს ხელშეკრულებას მძღოლთან. ტრანსპორტირების განხორციელებას სკოლაში უზრუნველყოფს ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირი. ამ პროცესებს ადასტურებს შევსებული ტაბელები. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

2. **<u>სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;</u>**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი და არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არის ნებაყოფლობითი. მოსწავლე და მისი მშობელი ინტერესების გათვალისწინებით იღებენ გადაწყვეტილებას კონკრეტული მომსახურებით სარგებლობის შესახებ. სურვილის გამოხატვის შემთხვევაში მხარეებს შორის ხდება პირობების გაცნობა, შეთანხმება. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>**

3. **<u>შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება დაწესებულებაში არსებული უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და გაითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- წყლის ხარისხის შემოწმების დოკუმენტაცია;
- მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში ჩართვის დოკუმენტაცია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი---დაწყებითი საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1.-კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. სკოლას შექმნილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილია, თუ რა მნიშვნელობა აქვს სასკოლო კურიკულუმს სკოლის მიზნებისათვის და ზოგადი განათლების რეფორმისთვის. მისი საშუალებით სკოლის დონეზე რეალიზდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მთავარი დოკუმენტი, რომელსაც სასკოლო კურიკულუმი ეყრდნობა არის ეროვნული სასწავლო გეგმა. სასკოლო კურიკულუმი დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და კონცეპტუალურ ჩარჩოზე. სკოლის მიერ კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად შეგროვილ მონაცემებთა დამუშავების საფუძველზე . ყველა საგნობრივი მიმართულების მიხედვით წარმოდგენილია, რომ კურიკულუმის განვითარების პროცესში ჩართული არიან მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები და დირექცია.ასევე იკვეთება ისიც, რომ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ყურადღება მახვილდება კურიკულუმის სტრუქტრულ ერთეულებზე, დანერგვის ინსტრუმენტებზე, შუალედურ სასწავლო მიზნებზე, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებზე სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციებსა და მონაწილეობის ფორმებზე.

2.1.1.2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ნათლად იკვეთება, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარება კომპლექსური პროცესია, მასში მონაწილეობს არაერთი ადამიანი, თუმცა, პასუხისმგებლები არიან კათედრის თავმჯდომარეები და დირექტორის მოადგილე. აღნიშნული მეთოდოლოგია განსაზღვრავს, რომ კურიკულუმის განვითარების პროცესში მასწავლებლებსა და დირექციას მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები აქვთ. კერძოდ, სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი ვადებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც აჩენს სივრცესა და შესაძლებლობებს კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობისთვის და მათი ინტერესების გაზიარებისათვის. სკოლამ თავად უნდა დააკონკრეტოს რა ფორმით უნდა განხორციელდეს მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში (მაგალითად, მშობელთა ინფორმირების გზა შეიძლება იყოს კურიკულუმის სკოლის საიტზე ატვირთვა, ელექტრონული ჟურნალით ან სკოლის მიერ გამოყენებული ელექტრონული ფოსტების ან მესენჯერის ჯგუფებით ინფორმაციის გაზიარება)

2.1.1.3.- კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში კარგადაა განმარტებული კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული მხარეები და მათი ფუნქციები . კურიკულუმის შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. ამ პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელი ერთვება. პედაგოგები თანხმდებიან შემდეგ საკითხებზე:

- რომელ თემებს ასწავლიან მომდევნო სასწავლო წელს (იმ საგნებში, სადაც თემები სავალდებულოდ არ არის განსაზღვრული);
- რა ქვესაკითხებსა და საკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების გასააზრებლად, საფეხურის შედეგების მისაღწევად;
- რა კომპლექსურ დავალებებს იყენებენ თემის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად;
- რა ძირითად და დამხმარე რესურსებს იყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში;
- რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის;
- რა მექანიზმებით შეისწავლიან სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობას.

კურიკულუმს გეგმავს მთელი კათედრა და არა ერთი მასწავლებელი (მაგალითად, თუკი კათედრაზე 5 ისტორიის მასწავლებელია ყველა მათგანი ერთსა და იმავე კურიკულუმზე თანხმდება). **რჩევის სახით** შეიძლება ითქვას, რომ ნაწილობრივ გასასწორებელია პირველი ოთხწლედის კურიკულუმის ჩარჩოები და ვურჩევთ ჩასწორდეს მეხუთე-მეექვსე კლასების კურიკულუმის ჩარჩოების საფუძველზე.

2.1.1.4.-კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

აღნიშნული ინდიკატორი დამაყოფილებულია. დაწყებითი კლასების კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები, შესაბამისი მასალები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლაში ახალი დაწყებულია პროცესები, რომლებიც მიმართულია სასკოლო საზოგადოებისათვის კურიკულუმის გაზიარებისაკენ. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარებისთვის სკოლა იყენებს მშობლებთან პირისპირ შეხვედრებს და სოციალურ ქსელებს. მაგალითად სპორტის მიმართულებით სკოლას აქვს შექმნილი სასკოლო სპორტული კლუბი და მისი სოციალური გვერდის საშუალებით , ასევე სკოლის სოციალური გვერდით, ზიარდება ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებისა და თემისათვის ნებისმიერი სპორტული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტივობის შესახებ და აქვე შესაძლებელია უკუკავშირის მიღებაც. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. სკოლა ფიქრობს დაგეგმოს მიზნობრივი შეხვედრები მშობლებთან, მათი მოწვევა სკოლაში და კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებზე დასწრება. სოციალურ ქსელების მეშვეობით სკოლა სხვადასხვა საგნის მიმართულებით აზიარებს მოსწავლეთა მიღწევებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კათედრის სხდომის ოქმი
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმი N 4
- შემუშავებული კურიკულუმები
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.2.1-შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

- **მათემატიკა** - შემუშავებულ კურიკულუმის ჩარჩოში შემოთავაზებული/შერჩეული აქვთ ისეთი კომპლექსური დავალებები, რომელიც მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს, თუკი სწორად მოხდება მათი დანერგვა და მორგება მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე.

- **სახელმწიფო ენა-დაწყებითი** საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი თემები, რესურსები და დავალებები, რომლებიც უკავშირდება პირად გამოცდილებას ,შეუქმნის მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას. მასწავლებლებმა კი გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ახორციელებენ კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებსაც არჩევენ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებების გათვალისწინებით. კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი .

- **უცხოური ენები**-უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კურიკულუმებში გაწერილი შუალედური მიზნები, კომპლექსური დავალებების იდეები ,შესაბამისი კონტექსტ მაგალითები, საჭირო რესურსები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ, სასწავლო მასალამ ნიმუშების სახით და ინტერვიუმ მასწავლებლებთან წარმოაჩინა უცხოური ენების კათედრის სწორი ხედვა და მზაობა. კათედრამ გამოამჟღავნა სტრატეგიების ,მათ შორის მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიების და ეროვნული სასწავლო გეგმის მეთოდური ორიენტირების ცოდნა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების განსაზღვრისათვის. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
- **სპორტი**- სკოლის ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის 1-6 კლასისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია მესამე თაობის ესგ-ს მოთხოვნებისა და საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. შედგენილი კურიკულუმები არის სრულყოფილი. თითოეული კლასის კურიკულუმში შეტანილია მრავალფეროვანი სასწავლო თემები, რაც საშუალებას იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და მათი ინტერესისა და შესაძლებლობების გათვალისწინებისა. თემების შერჩევისას გათვალისწინებულია სკოლის მდიდარი ინფრასტრუქტურა. ინდიკატორი **შესაბამისობაში**

- **ესთეტიკური აღზრდა** - მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კერძოდ, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალებები გათვლილია თითოეული მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე. შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სრულიად აკმაყოფილებს სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებს. დიდი ყურადღება ეთმობა სწავლა-სწავლების პროცესში პოზიტიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას.

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის ყველა კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო (I - IV და V – VI კლასები), რომლებიც წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას.
  არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები
- **საზოგადოებრივი მეცნიერებები** -სასკოლო კურიკულუმით სასწავლო პროცესი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის კონკრეტული შესაძლებლობები და ინტერესები. კურიკულუმებზე მუშაობის დროს გრძელვადიანი მიზნები და შედეგები გათვალისწინებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩამოყალიბებული საგნობრივი სამიზნე ცნებების სახით და შედეგების მისაღწევი შუალედური მიზნები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას, ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს.
- **ტექნოლოგიები**-შემუშავებული კურიკულუმები ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს და მეთოდიკურ ორიენტირების მოთხოვნებს. თითოეული კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება; სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს; სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.2.2.- კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

- **მათემატიკა**- პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმებში, რომელსაც იყენებდნენ 2022-2023 სასწავლო .წელს გრძელვადიან მიზნებად გააზრებული იყო სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები; ძირითად შემთხვევაში აღქმული იყო გლობალური ფუნქციური უნარები (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (ეთიკა, პასუხისმგებლობა), ხასიათი ნება) უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად). 2023-2024 სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შეფასების ინსტრუმენტი კათედრის ფარგლებში შემუშავების პროცესშია და იგეგმება ამ მიმართულებით სასწავლო წლის დაწყებამდე მუშაობა.
- **სახელმწიფო ენა**-. კურიკულუმში წარმოდგენილი ზოგიერთი დავალებისთვის განსაზღვრულია მისაღწევი მიზნები ცნებების სახით. სანიმუშოდ მოცემული დავალებებიდან და შეფასების რუბრიკებიდან ჩანს, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ფუნქციური უნარების განვითარებას, წარმოდგენილი აქვთ შემოქმედებითი, ანალიტიკური.. დავალებები(მკითხველის პოსტერის შექმნა; წერილი პერსონაჟს; ილუსტრაციის ,კომიქსის, საინფორმაციო ტექსტის შექმნა...),რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდას ,შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ყურადღებას ამახვილებენ სწავლის სწავლაზე .დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეები საუბრობენ ,რა გამოუვიდათ კარგად, მსჯელობენ ,თავიდან რომ შეესრულებინათ დავალება, რას შეცვლიდნენ და რატომ. აღნიშნეს ,რომ ამ პრინციპით აპირებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **უცხოური ენები**-დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შესწავლისას და გასაუბრებისას გამოიკვეთა , რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. შესაბამისად, წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო მიემართება საგნობრივი სტანდარტის მისაღწევი შედეგების მიღწევისკენ. ასევე კომპლექსური დავალებების პირობები, საკითხები, რესურსები ,დამატებითი რესურსები ხელს შეუწყობს /უზრუნველყოფს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია ,მოქალაქეობა, ნებელობა; ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
- **სპორტი** - შედგენილი და წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისაკენ. თემები შერჩეულია როგორც პრაქტიკული ასევე თეორიული მიმართულებით და ითვალისწინებს: სამიზნე ცნებებზე, რომელიცაა: ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი და ცხოვრების ჯანსაღი წესი, გასვლას, გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) განვითარებასა და საგნობრივი სტანდარტის შედეგებს.. ინდიკატორი **შესაბამისობაშია**
- **ესთეტიკური აღზრდა**- მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, შემუშავებული საგნობრივ კურიკულუმები, მასში შემავალი კომპლექსური დავალებებით ორიენტირებულია გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მაკრო ცნებებს, მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში, ძირითადად სწორად არის განსაზღვრული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ბუნებისმეტყველების საგნის სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. პედაგოგებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებულად იციან წარმოდგენილი კურიკულუმების არასრულყოფილება, რომელიც ახსნეს კურიკულუმების მომზადებისთვის გამოყოფილი არასაკმარისი დროის ფაქტორით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ასევე ისაუბრეს, რომ კათედრა მთელი ზაფხულის განმავლობაში იმუშავებს არსებული უზუსტობების გასწორებასა და კურიკულუმის საბოლოო ვერსიის შექმნაზე, რომლებიც გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) განვითარებაზე იქნება ორიენტირებული

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები** -სასკოლო კურიკულუმი ეყრდნობა მესამე თაობის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ძირითად პრინციპებს. იგი ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების პროცესს. შემუშავებულია გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად (შედეგები და სამიზნე ცნებები), ასევე იკვეთება გლობალურ ფუნქციური უნარებიც: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია
- **ტექნოლოგიები** -წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში გააზრებულია შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად. აღქმულია გლობალური ფუნქციური უნარები (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (ეთიკა, პასუხისმგებლობა), ხასიათი, ნება) უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად. ჩანს, რომ კურიკულუმი არის პროცესზე ორიენტირებული გზა, საშუალება, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შედეგებთან ერთად განსაზღვრულია სამიზნე ცნებებიც, რომელთა გააზრებაც შედეგების მიღწევის წინაპირობაა. ყველა კლასის კურიკულუმში უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს.

2.1.2.3.- სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **მათემატიკა**-შერჩეული კომპლექსური დავალებები და მათი პროდუქტი, აქტივობები ითვალისწინებს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს.
- **სახელმწიფო ენა**-ატვირთული დოკუმენტაციიდან (კურიკულუმის ჩარჩო, რესურსები და დავალებები),მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებები, სწავლის სტილი, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა. მასწავლებელიც არჩევს შესაბამისად დავალებებს. კათედრას აქვს მზაობა, გაამახვილოს ყურადღება და გაითვალისწინოს 2023-24 წლის კურიკულუმში დიფერენცირებული სწავლების პრინციპები.
- **უცხოური ენები**-სკოლას აქვს წარმოდგენილი ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა . უცხოური ენების კათედრამ წარმოადგინა ისგ სადაც ჩანს სასკოლო საზოგადოების გამოცდილება ,ჩართულობა , თანამშრომლობა და სწორი ხედვა ამ მიმართულებით . **მიუხედავად იმისა ,რომ წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოში ნაკლებად ჩანს დიფერენცირებული მიდგომა, ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა ისაუბრეს დიფერენცირებული სწავლების საკუთარ გამოცდილებაზე** და მეთოდებზე ,აგრეთვე დიფერენცირების მნიშვნელობაზე, დავალებების, შინაარსის, პროდუქტის დიფერენცირების სტრატეგიებზე და წარმოადგინეს ნიმუშები საკუთარი პრაქტიკიდან . კათედრამ გამოხატა მზაობა კურიკულუმების დახვეწის თვალსაზრისით ამ მიმართულებით. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
- **სპორტი** - თვითშეფასების ფორმაშიც იკითხება და ინტერვიუს დროს პედაგოგებმაც აღნიშნეს, რომ ისინი მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და საჭიროების შემთხვევაში , ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში. სკოლაში ყავთ რამდენიმე სსსმ მოსწავლე, რომელთაც ესაჭიროება ინდ გეგმა საგანში და პედაგოგმა აღნიშნა რომ სპეც მასწავლებელთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ერთად შემუშავებული აქვთ მათთვის მოდიფიცირებული გეგმა და წარმოადგინეს ეს ნიმუში ვიზიტის დღეს, ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

- **ესთეტიკური აღზრდა** - სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან და მზაობიდან გამომდინარე. მოსწავლეთა ინტერესები და მათი ასაკობრივი თავისებურებები გათვალისწინებულია კონტექსტებსა და საკითხებში. მომავალში სკოლას აქვს მზაობა წარმართოს სასწავლო პროცესი კომპლექსურიდან კომპლექსურამდე პრინციპით.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ბუნებისმეტყველების საგნის პედაგოგები ახდენენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სსსმ მოსწავლეების სწავლებას. ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ასევე ნათელი გახდა, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებას (დიფერენცირებულ მიდგომას) და თითოეულ მოსწავლეს სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს კომპლექსური დავალების პროდუქტის შესაქმნელად
- **საზოგადოებრივი მეცნიერებები** სკოლის მიერ წარმოდგენილმა დოკუმენტებმა და გასაუბრებამ წარმოაჩინა, რომ სკოლას გააჩნია მკაფიო ხედვა როგორც ინკლუზიური განათლების, ასევე დიფერენცირებული სწავლების მიმართულებით. ცდილობს შექმნას მოსწავლეთათვის მოქნილი სასწავლო გარემო. მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული სასკოლო პროგრამები. მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები, რომელთა საშუალებითაც მოსწავლეები ცოდნასა და საკითხთან მიმართებაში საკუთარ დამოკიდებულებას გამოხატავენ მათთვის ეფექტური საშუალებებით
- **ტექნოლოგიები** -კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ მასწავლებლები მიმართავს დიფერენცირებული მიდგომებს და ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს, მიღწევის დონეს, ძლიერ და სუსტ მხარეებს. ასევე შემუშავებული კომპლექსური დავალებები აგებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დიფერენცირების პრინციპით, რომელშიც გათვალისწინებულია მოსწავლეთა სასწავლო უნარები, სწავლის სტილი და ინტერესები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის ზრდასა და ჩართულობას.

2.1.2.4.-განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

- **მათემატიკა** - გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სოლო ტაქსონომიით აფასებენ კომპლექსურ დავალებებს. გირჩევთ იხელმძღვანელოთ მათემატიკის ახალი სტანდარტით, ახალი სამიზნე ცნებებითა და მათი მკვიდრი წარმოდგენებით, რომელსაც ავტორიზაციის მხარდამჭერი გუნდიც გაგაცნობდათ. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავებისას გამოიყენეთ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მეთოდიკურ ორიენტირები, ტემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები.
- **სახელმწიფო ენა**-წარმოდგენილია შეფასების რამდენიმე რუბრიკა, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის სკოლის ფარგლებში შეფასების წარმოების რუბრიკა, რომლებიც მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება,შექმნილი რუბრიკები ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ ინდიკატორებს.აღნიშნეს, რომ მიმართავენ ხშირად განმავითარებელ შეფასებას ,ძირითადად ზეპირად , ზოგჯერ წერილობით. დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელი გახდა ვიზიტის დროს, სკოლას აქვს მზაობა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება წარმართოს სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით. ინდიკატორი შეესაბამება და აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.
- **უცხოური ენები**-სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილი შეფასების მიზნები და ამოცანები მიემართება ე.ს.გ. გრძელვადიანი მიზნებისკენ და ხელს უწყობს ამ მიზნების განხორციელებას. დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას, მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან და მე-6 კლასში ხდება მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. უცხოური ენების კათედრის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა საკუთარი პრაქტიკიდან წარმოადგინეს რამდენიმე შეფასების რუბრიკის ნიმუში (ჯგუფური დავალების, პრეზენტაციის ...) და ინტერვიუს დროს წარმოაჩინეს ცოდნა და მზაობა კომპლექსური დავალებებისათვის, შუალედური მიზნებისთვის შესაბამისი შეფასების რუბრიკების შემუშავების თვალსაზრისით; ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- **სპორტი** - სკოლის მიერ შექმნილი და წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები დაწყებითი საფეხურისათვის შემუშავებულია , ისე, რომ მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ. ითვალისწინებს საგნობრივ სტანდარტს. რუბრიკები შედგენილია თემების მიხედვით. დაწყებითი საფეხურის შეფასების სისტემის სპეციფიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რამდენიმე რუბრიკა და 5-6 კლასებისათვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა თემების შესაბამისად. პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა, რომ სამომავლოდაც შექმნიან რუბრიკებს შერჩეული თემების მიხედვით. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**
- **ესთეტიკური აღზრდა** - სკოლას აქვს წინარე გამოცდილება, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსის გაგების თვალსაზრისით. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, განმავითარებელი შეფასების ძირითადი ფორმა იყო ზეპირი განმავითარებელი კომენტარი. კომლექსური დავალებები კი შეფასებული იყო SOLO ტაქსონომიით. სამომავლოდ სკოლას აქვს მზაობა მეტად დახვეწოს შეფასების სისტემა, შეიმუშავოს ახალი ტიპის რუბრიკები განმსაზღვრელ-განმავითარებელი შეფასებისთვის.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის მიერ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდელი. 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე ბუნებისმეტყველების საგნის პედაგოგების მიერ იგეგმება განმავითარებელი რუბრიკების შექმნა (I - IV და V - VI კლასები) ყოველი კონტექსტ - მაგალითის მიმართ და განმსაზღვრელი რუბრიკის შექმნა (V და VI კლასები) დაწყებითი საფეხურის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად შესასწავლი თემებისთვის

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-სკოლაში სწავლება და შეფასება ერთ მთლიან, გააზრებულ პროცესს წარმოადგენს. შეფასების კრიტერიუმები მკაფიოა და ცალსახად მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს. იყენებენ ურთიერთ შეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკებს
- **ტექნოლოგიები** - განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს. ინტერვიუდან დაზუსტებულია, რომ მასწავლებელი იყენებს განმავითარებელ ზეპირ სიტყვიერ კომენტარს, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებს. წარმოდგენილი აქვთ სოლო ტაქსონომიით შეფასებული კომპლექსური დავალება.(საკითხი-კომპიუტერის დამატებითი და ძირითადი მოწყობილობები), ასევე აქვთ მზაობა გამოიყენონ შეფასების ახალი სტრატეგიები და ფორმები.

2.1.2.5.- დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

- **მათემატიკა** - როგორც პედაგოგებმა გასაუბრების დროს ისაუბრეს, ახალი კურიკულუმის ჩარჩოს შემუშავებისას გაითვალისწინეს წინარე გამოცდილება. გაითვალისწინეს ის საჭიროებები, რომელიც გამოიკვეთა წინა წლებში შემუშავებული კურიკულუმის და შეთავაზებული კომპლექსური დავალებების დანერგვის პროცესში.
- **სახელმწიფო ენა**-.წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შექმნისას გაითვალისწინეს წინარე პრაქტიკული გამოცდილება , მათ შეცვალეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალებები, ზოგი დავალების -პირობა. აღნიშნეს, ,რომ ისინი კათედრაზე შეთანხმდებიან და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე შეავსებენ მომავალი სასწავლო წლის სამუშაო გეგმას. ეს ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. სკოლას აქვს მზაობა დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს წინარე გამოცდილება.

- **უცხოური ენები**-სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ ,რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა წლის კურიკულუმის დანერგვის პარალელურად; მისი (ე.ი. წინა წლის კურიკულუმის) განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრით. ამ პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელი ერთვება. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ მოხდა მეორე სემესტრის შეჯამება, მოსწავლეთა აკადემიური შედეგების , სასკოლო კურიკულუმების განხილვა და 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის პროექტის შემუშავება. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
- **სპორტი** - კათედრული ოქმებითა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიით დასტურდება და ინტერვიუს შედეგადაც ნათელია, რომ კოლეგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. მათ გამოთქვეს მზაობა , რომ სამომავლოდაც ისე დაგეგმავენ სასწავლო პროცესებს, რომ უზრუნველყონ მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**
- **ესთეტიკური აღზრდა**- კათედრაზე გადაწყვეტილებები საგნობრივი კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებით მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიღება. კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია წარმატებული გამოცდილება პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით. (კითხვარები, სადიაგნოსტიკო წერები). პედსაბჭოზე და ასევე კათედრებზე თითოეული მასწავლებლის მიერ წლის ბოლოს წარმოდგენილი ანალიზი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იძლევა დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით სამომავლოდ კონსტრუქციული ცვლილებების განხორციელებას.

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ახალი სასწავლო წლის ბუნებისმეტყველების კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებულ იქნა წარმატებული გამოცდილების პრაქტიკა

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა რომ, მესამე თაობის ესგ -ს დანერგვის პროცესში საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მოახდენს არსებული კურიკულუმების მოდიფიცირებას.
- **ტექნოლოგიები** - კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით; თვითშეფასების კითხვარიდან დასტურდება, რომ გაანალიზებული აქვთ გავლილი სასწავლო წლის, როგორც წარმატებული გამოცდილება, ასევე წარმოქმნილი სირთულეები და გამოწვევები. რეფლექსიისთვის მონაცემების შეგროვება ხდება სხვადასხვა წყაროს საშუალებით მაგალითად, კითხვარების მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის, თვითრეფლექსიისთვის, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი და სხვა. წინარე გამოცდილების ანალიზის საფუძველზე იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. თვითშეფასების ანგარიში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები (ბუნებისმეტყველება)
2. კომპლექსური დავალებები
3. კათედრის სხდომის ოქმები
4. კურიკულუმი
5. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.
6. უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმი N 4
7. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
8. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების ჩარჩო;
9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში
10. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების პროგრამა და დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1.-სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

- **მათემატიკა**- მასწავლებლებს შერჩეული აქვთ ყველა კლასისთვის კომპლექსური დავალებები, რომელიც მათ შემოქმედებით სასწავლო პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას მისცემს.
- **სახელმწიფო ენა**-.მასწავლებელთა ინტერვიუდან, მათ მიერ განხორციელებული აქტივობებიდან და ახალი კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული რამდენიმე დავალების ნიმუშიდან გამომდინარე , შეიძლება ითქვას, რომ გაკვეთილებზე, საკლასო გარემოში ,მოსწავლეებს აქვთ საშუალება შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრობლემის გადაჭრის გზით. წახალისებულია შემოქმედებითი, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული დავალებები(მკითხველის პოსტერის შექმნა; წერილი პერსონაჟს; ილუსტრაციის ,კომიქსის, საინფორმაციო ტექსტის შექმნა...)სკოლას აქვს მზაობა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გაითვალისწინოს მათი აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვა.

- **უცხოური ენები**-კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გაწერილი კომპლექსური დავალებების პირობებზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი აძლევს მოსწავლეს საშუალებას აქტიურად ჩაერთოს პროცესში. კომპლექსური დავალებების პირობა ხშირ შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესის არამედ შემოქმედიც, მას უწევს პრობლემის გადაჭრა, სტრატეგიების გააზრება და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა როგორიცაა მაგალითად, პოსტერი, ინტერვიუ, პრეზენტაცია, დიალოგი, ვიდეორგოლი და ა.შ. გასაუბრების დროს დადგინდა, რომ კათედრას აქვს განხორციელებული არაერთი პროექტი. წარმოდგენილი ნიმუშების და ინტერვიუს შედეგზე დაყრდნობით ჩანს უცხოური ენების კათედრის სწორი ხედვა, გამოცდილება და ცოდნა მოსწავლეთა მოტივაციის, წინარე ცოდნის გააქტიურების, ინტერესების გათვალისწინების, თანატოლებთან თანამშრომლობის, შემოქმედებითი უნარის განვითარების, აქტიურად ჩართულობის და მათი ავტონომიურობის თვალსაზრისით. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
- **სპორტი** - დაწყებითი საფეხურის (1-6 კლასები) კურიკულუმებში შეტანილი მრავალფეროვანი თემები, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით , დაგეგმილი ფესტივალები და სხვა ტიპის სპორტული ღონისძიებები , მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისათვის შეთავაზებული შესაქმნელი პროექტები, სადაც ჩართული იქნება ყველა მოსწავლე , იძლევა სწავლების თავისუფალი არჩევანის საშუალებას და თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პროცესში შესაძლებლობებისა და შეძენილი უნარების გამოსავლენად. . ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **ესთეტიკური აღზრდა** - სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ავტონომიურობა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. სკოლის პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, მოსწავლეებისათვის ხელშეწყობა ხდება იმ მიზნით, რომ ისინი ჩართულნი არიან სასწავლო პროცესებში, ასევე საკმაოდ მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. ბავშვებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ბუნებისმეტყველების პედაგოგები უფრო კომპლექსურად მიუდგებიან სასწავლო პროცესს, შესაბამისად, 2023 – 2024 წლის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს ხელს. მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება/რეალიზება.
- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-წარმოდგენილი კურიკულუმის საფუძველზე აშკარაა, რომ მოსწავლეთათვის შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს წარმოაჩინონ საკუთარი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ინიციატივები და მიგნებები. ახალი ინფორმაცია გაცნობისა და დამუშავების დროს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით განიხილოს. დააგროვონ, ან გაიღრმავონ საკუთარი ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის გზით. გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით, როგორც წერილობით, ასევე დისკუსიების სახით.
- **ტექნოლოგიები** -ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში არის გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები, რაც იძლევა, მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. დავალების შესრულება ხელს უწყობს შემოქმედებითობის ან წარმოსახვის უნარის განვითარებას, შერჩეულია მისთვის ნაცნობი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონტექსტიდან, თუმცა მოითხოვს სიღრმისეულ ანალიზს და ეხმარება დამოუკიდებელ აზროვნებასა და პიროვნულ განვითარებაში.

2.2.1.2-ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

- **მათემატიკა** - გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ხდება. ეს ასევე იკვეთება კურიკულუმის ჩარჩოში დალაგებული საკითხებისა და ქვესაკითხებიდან.
- **სახელმწიფო ენა**-.კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობამ და მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სკოლა სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავს წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. კურიკულუმის თემატური დაგეგმვა, კომპლექსური დავალებების პირობაში ნაცნობი კონტექსტების შემოტანა(მაგ. პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტების შედგენა) და მასწავლებლების მიერ მოყვანილი მაგალითები პრაქტიკული გამოცდილებიდან ცხადყოფს, რომ ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- **უცხოური ენები**-კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის შესწავლიდან, ასევე გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას გააზრებული აქვს თემატური დაგეგმვის მნიშვნელობა, ჩანს რომ თემების გაწერის დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი, მათი მზაობა და ინტერესები. ასევე შუალედური მიზნის დოკუმენტაციაში მოცემულია კონტექსტ მაგალითები, რომელიც საშუალებას იძლევა ნაცნობ კონტექსტზე დაყრდნობით მოსწავლემ მიიღოს ახალი ცოდნა და გამოცდილება. ზოგადად კომპლექსური დავალებების სპეციფიკა იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას და ამგვარი ტიპის დავალებები წარმოდგენილია მომავალი წლის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **სპორტი** - საგანში - ფიზიკურ აღზრდა , პედაგოგების თქმით (თვითშეფასების ფორმაშიც აღნიშნავენ), ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით იღებს ახალს. რაც გააადვილებს სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. პედაგოგების მიერ აღწერილ სასწავლო პროცესი ჩანს მათ მიერ წარმოდგენილ , წინა სასწავლო წლის განვლილი პრაქტიკიდან წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში.. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**
- **ესთეტიკური აღზრდა** - სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ამასთანავე, პედაგოგები ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში, იმისათვის, რომ მეხსიერებაში გაიზარდოს გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებასა და მიღებული ინფორმაციის აქტიურ ცოდნად გარდაქმნის პროცესს
- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით ცხადია, რომ სასწავლო პროცესი მიზნად ისახავს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და მის ეტაპობრივად, ნაბიჯ - ნაბიჯ მიყვანას ახალ ცოდნამდე. კომპლექსური დავალების პირობები იმგვარადაა ფორმულირებული, რომ კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით.

- **ტექნოლოგიები** - კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით.
  კომპლექსური დავალების ეტაპები და გაკვეთილის აქტივობები ისე არის დაგეგმილი რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და შესაძლებლობებს, მიმართულია ახალი ცოდნის კონსტრუირებისკენ და მიჰყვება მოსწავლის განვითარების დინამიკას.

2.2.1.3.- სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

- **მათემატიკა**-თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, რომ მოსწავლე ჩართულია ისეთ აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.
- **სახელმწიფო ენა**-კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამომდინარე ,ირკვევა, რომ მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. მოსწავლის მიერ დავალებების ანალიზი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება და სხვა, შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- **უცხოური ენები**-დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში შუალედურ სასწავლო მიზნად განიხილება კომპლექსური ტიპის დავალებები, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებასა და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას . კომპლექსური დავალებების კონტექსტ მაგალითები ხელს უწყობს მოსწავლეებში ნებელობის გაძლიერებასა და მათ დაინტერესებას. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკების ნიმუშები, თვითრეფლექსიის და სასწავლო პროცესის შეფასების საშუალებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იძლევა. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- **სპორტი** - სკოლის თვითშეფასების ფორმიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური ხედვები, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. (აღნიშნული ცნობილია მასწავლებელთან გასაუბრების შედეგადაც) სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ არსებული ფიზიკური თვისებების განვითარების, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის გამოვლინებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში დანერგვისა და გამოყენების საშუალებას აძლევს. ინდიკატორი შესაბამისობაშია
- **ესთეტიკური აღზრდა** - სასწავლო პროცესში კეთდება აქცენტი სწავლის სწავლაზე. სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. მოსწავლე ჩართულია ისეთ აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**- მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას და დავალებების პირობის გაწერას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე
- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი სწავლის სწავლაზეა აქცენტირებული. ყურადღება გამახვილებულია მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **ტექნოლოგიები** - კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები. სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე მახვილდება ყურადღება. ინტერვიუდან დასტურდება, რომ მასწავლებელი აქტიურად გამოიყენებს ჯგუფური და თანამშრომლობითი სწავლების სტრატეგიებს.

2.2.1.4-სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

- **მათემატიკა**- შერჩეული კომპლექსური დავალებების სწორად განხორციელება პასუხისმგებელია, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყოს ცოდნის სამივე კატეგორიაზე, რისთვისაც სკოლა ავლენს მზაობას.
- **სახელმწიფო ენა**-სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ინტერვიუს დროს კი აღნიშნეს ,რომ ისინი არჩევენ დავალებებს, სადაც მოსწავლეს უწევს ფაქტობრივი ცოდნის გამოყენება ,ასევე, მსჯელობა და ანალიზი , საკუთარი დასკვნების ჩამოყალიბება; ყურადღებას ამახვილებენ აქტივობებში, როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში .კათედრა გამოხატავს მზაობას, რომ იყოს ორიენტირებული ცოდნის სამივე კატეგორიაზე.
- **უცხოური ენები**-კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტები თავისთავად ორიენტირებულია სამივე კატეგორიის ცოდნაზე და გულისხმობს ცოდნის კონსტრუირებას , აგებას ,მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას . წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებით და ინტერვიუზე დაყრდნობით დგინდება , რომ უცხოური ენების კათედრას აქვს გამოცდილება კომპლექსური ტიპის დავალებების შემუშავების და გამოყენების სწავლა-სწავლების პროცესში . შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებიდან, კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალებების იდეებიდან და განხორციელებული პროექტის ნიმუშიდან იკვეთება დეკლერატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის განვითარებაზე გაკეთებული აქცენტები და ჩანს კათედრის მზაობა . ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- **სპორტი** - სკოლის თვითშეფასების ფორმიდან ნათელია და პედაგოგებთან გასაუბრებისას აისახა, რომ, დაწყებითი საფეხურის ფიზიკური აღზრდის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაყვანასა (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) და შესაბამისი უნარების განვითარებას. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებში ცოდნის მიღებას და განვითარებას მარტივიდან რთულისაკენ. აცნობს თემას, უხსნის თამაშის წესებს , ტექნიკურ ელემენტებს და უჩვენებს თვითონ, შემდგომ ამეორებინებს და თამაშში ჩართავს ნასწავლის დასახვეწად. მათ მიერ აღწერილი სასწავლო პროცესი ჩანს წინა წლის გავლილი პრაქტიკიდან წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში.. ინდიკატორი **შესაბამისობაშია**
- **ესთეტიკური აღზრდა** - სასწავლო პროცესი ორიენტირებულია საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაზე. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ კომპლექსურ დავალებებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალური ტიპის აქტივობებში. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი პრაქტიკაში რეალიზების საშუალებას. მოსწავლეებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გადაწყვიტონ ესა თუ ის საკითხი.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე, კერძოდ, მოსწავლეებს ექნებათ ცოდნის პრაქტიკაში, რეალურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**- პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაყვანასა (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) და შესაბამისი უნარების განვითარებას
- **ტექნოლოგიები** - ყველა კლასის კურიკულუმში გათვლილია კომპლექსური დავალებები, რაც ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. მოსწავლეთა საჭიროებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, ხდება გამოყენებული სტრატეგიების ადაპტირება.

2.2.1.5.- სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

- **მათემატიკა**-თვითშეფასების კითხვარსა და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, თუმცა გირჩევთ საფეხურზე მაინც ერთი ინტეგრირებული კომპლექსური დავალება შესთავაზოთ მოსწავლეებს და შეიმუშაოთ შესაბამისი განმავითარებელი შეფასება.
- **სახელმწიფო ენა**-.საგნობრივი კურიკულუმის თემატური დაგეგმვა, კომპლექსური დავალებები გვიჩვენებს საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის რეალიზების გზას ,წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოსა და მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ყურადღება გამახვილებულია ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერდაკავშირებაზე. მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას სასწავლო პროცესი დაგეგმონ ამ პრინციპების გათვალისწინებით. ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- **უცხოური ენები**-დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში არის წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები. კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობის ეულ ცოდნაზე, პრობლემის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ყოველივე ეს გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. აქედან გამომდინარე ვთვლი ,რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია წარმოაჩენს კათედრის მზაობას დაგეგმოს და უზრუნველყოს ისეთი სასწავლო პროცესი ,სადაც მოსწავლეები შეძლებენ ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- **სპორტი**- ფიზიკური აღზრდის საგნისთვის შედგენილი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.. შერჩეულ თემებზე დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, რომელშიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და განხორციელდება მომდევნო სასწავლო წლიდან, მათი სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**
- **ესთეტიკური აღზრდა** - სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ამასთანავე, პედაგოგები ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში, იმისათვის, რომ მეხსიერებაში გაიზარდოს გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები. გარდა ამისა, უზრუნველყოფილია სწავლის სტრატეგიების დაუფლება
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბუნებისმეტყველებაში ყველა კომპლექსური დავალება დაიგეგმება ისე, რომ გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა საგანში მიღებული სხვადასხვა ცოდნის გამოყენება და ურთიერთდაკავშირება

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**- კომპლექსური დავალებებით სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეებში საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, ვინაიდან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე. ის ყოველივე კი თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას.. გასაუბრების დროს კათედრამ დაადასტურა, რომ ახალი სასწავლო წლის სწორედ ამგვარ პრინციპებზე დაყრდნობით შექმნილი კომპლექსური დავალებები იქნებოდა შეტანილი კურიკულუმში. წარმოდგენილი პროექტები მკაფიო დადასტურებაა იმისა, რომ სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. პედაგოგები ხელს უწყობენ მოსწავლეს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულად გააზრებაში, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში. პროექტების განხორციელების დროს მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა.
- **ტექნოლოგიები** -რამდენად უწყობს ხელს სასწავლო პროცესი ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, კურიკულუმებში ნაკლებად ჩანს, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაზუსტებულია და თვითშეფასების კითხვარშიც ხაზგასმულია, რომ დავალებებში გათვალისწინებულია საგანთა ინტეგრირება და ცოდნის ტრანსფერი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები
2. კომპლექსური დავალებები
3. სასწავლო პროექტები
4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.
5. *დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.2.1.-სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

- **მათემატიკა**-კურიკულუმის ჩარჩოში თემები უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. გირჩევთ სხვა კლასის შუალედური სასწავლო მიზნების განსაზღვრისას იხელმძღვანელოთ მათემატიკის სტანდარტით (სადაც გაწერილია თემები კლასების მიხედვით), საკითხები/ქვესაკითხები თემის ფარგლებში დააჯგუფოთ ძირითადი სახელმძღვანელოდან და ცნებების იერარქიის დოკუმენტზე დაყრდნოთ უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების (სტანდარტში) გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
- **სახელმწიფო ენა**-.სასწავლო პროცესი, კურიკულუმის შესაბამისად, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. შესაბამისად, სკოლამ გამოთქვა მზაობა, რომ გააგრძელებენ ამ პრინციპით კურიკულუმის განვითარებას. სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ ამ კრიტერიუმს.
- **უცხოური ენები**-სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტები, სადაც მართებულად არის გაწერილი თემების მიხედვით კომპლექსური დავალებების იდეები, საგნის სამიზნე ცნებები. უცხო ენის სამიზნე ცნებებია დაწყებით საფეხურზე ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები და მე-5და მე-6 კლასში კულტურათა შორის დიალოგი. კომპლექსური დავალებების იდეებზე, პირობებზე, კონტექსტ მაგალითებზე და რესურსებზე დაყრდნობით დგინდება, რომ აღნიშნული სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება ნაცნობ კონტექსტზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაფუძნებით, მკვიდრი წარმოდგენების რეალიზების გზით. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ,რომ უცხოური ენების კათედრას აქვს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის და აქვს მზაობა სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეს მისცეს განმავითარებელი შეფასება ცნებასთან და მის მკვიდრ წარმოდგენასთან მიმართებით . ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- **სპორტი** -. გასაუბრებით ჩანს და შედგენილი კურიკულუმებიც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, დავალების პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი გათვალისწინებულია სამიზნე ცნებებზე სამუშაოდ. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**
- **ესთეტიკური აღზრდა** - მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ სავალდებულო თემატურ ბლოკებს, საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება მარტივიდან რთულისკენ, ნაცნობიდან უცნობისკენ განვითარების პრინციპით. აღნიშნული პროცესი ბავშვს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში და გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის ყველა კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო (I - IV და V – VI კლასები), რომელშიც მეტწილად გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თუმცა არის მთელი რიგი ხარვეზები, რომლებიც აუცილებლად უნდა გასწორდეს, კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბუნებისმეტყველების III კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I თემის (ჩემი ქვეყნის ბუნება) პირველ ძირითად საკითხთან არის მითითებული სასწავლო რესურსი გრიფირებული სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორისა და გვერდის გარეშე, სასწავლო რესურსი - „საინტერესო ბმულები“ ელექტრონული მისამართების გარეშე. პირველ ძირითად საკითხთან კონტექსტ - მაგალითად მითითებულია ვიდეო რესურსი, სრულიად გაუგებარია პედაგოგმა რა მოიაზრა. მეორე და მესამე ძირითად საკითხთან სასწავლო რესურსები მითითებული არ არის.

II თემის (მზის სისტემა)

თემის ფარგლებში არ მუშავდება ხუთივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნებები - ორგანიზმი, საარსებო გარემო და სხეული დამუშავების მიღმა არის დარჩენილი;

პირველ ძირითად საკითხთან არის მითითებული სასწავლო რესურსი გრიფირებული სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორისა და გვერდის გარეშე, სასწავლო რესურსი - „საინტერესო ბმულები“ ელექტრონული მისამართების გარეშე. მეორე, მესამე და მეოთხე ძირითად საკითხთან სასწავლო რესურსები მითითებული არ არის.

ბუნებისმეტყველების IV კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I თემის (დედამიწა) აბსოლუტურად გაუგებარია და დასაზუსტებელია

II თემის (ციკლური პროცესები ბუნებაში) აბსოლუტურად გაუგებარია და დასაზუსტებელია

ბუნებისმეტყველების V კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I თემის (კოსმოსი) აბსოლუტურად გაუგებარია და დასაზუსტებელია

II თემის (ეკოსისტემა) აბსოლუტურად გაუგებარია და დასაზუსტებელია

III თემის (მოვლენები ჩვენს გარშემო), აბსოლუტურად გაუგებარია და დასაზუსტებელია

ბუნებისმეტყველების VI კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I თემის (ენერგია და მისი გარდაქმნა) პირველ ძირითად საკითხთან სამიზნე ცნება მითითებულია არასწორად (წერია გეოგრაფიული ობიექტები და უნდა ეწეროს - გეოგრაფიული ობიექტი). პირველ ძირითად საკითხთან მითითებულია სასწავლო რესურსი გრიფირებული სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორისა და გვერდის გარეშე, სასწავლო რესურსი - „მულტიმედია რესურსები“ და „ტელესკოლის გაკვეთილები“ ელექტრონული მისამართების გარეშე.

II თემის (ნარევები და მათი დაყოფის ხერხები)

თემის ფარგლებში არ მუშავდება ხუთივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნება - ,,ორგანიზმი“ დამუშავების მიღმა არის დარჩენილი; პირველ ძირითად საკითხთან სამიზნე ცნება მითითებულია არასწორად (წერია მოვლენათა პროცესი და უნდა ეწეროს - მოვლენა, პროცესი). პირველ ძირითად საკითხთან მითითებულია სასწავლო რესურსი გრიფირებული სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორისა და გვერდის გარეშე, სასწავლო რესურსი - „ტელესკოლის გაკვეთილები“ ელექტრონული მისამართების გარეშე.

III თემის (ადამიანის სხეული და ჯანმრთელობა), პირველ ძირითად საკითხთან მითითებულია სასწავლო რესურსი გრიფირებული სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორისა და გვერდის გარეშე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რაც შეეხება სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების I და II კლასების კურიკულუმის ჩარჩოებს, ისინი გაწერილია არასრულყოფილად, ვინაიდან აღნიშნულ კლასებში არ არის სახელმძღვანელო, გრიფირებული სახელმძღვანელო პედაგოგებს ექნებათ დაახლოებით ერთ თვეში და 2023 – 2024 წლის სასწავლო წლის დაწყებამდე მას აუცილებლად გახდიან სრულყოფილს

(სკოლას არ მოუწოდებია შესაბამისობის გეგმა და მოწოდებული კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში არ არის განსაზღვრული ძირითადი კონტექსტ - მაგალითი, და შესაბამისად, არ არის ნათელი, თუ რომელი ძირითადი კონტექსტ - მაგალითებით იმუშავენებ 2023 – 2024 სასწავლო წელს ბუნებისმეტყველებაში)

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები-**_წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმი შექმნილია იმგვარად, რომ მოსწავლეს მეხსიერებაში ხანგრძლივად, მკვიდრი წარმოდგენებს სახით დარჩეს ის ნასწავლი ინფორმაცია, რომელზეც მან სიღრმისეულად იმუშავა. მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და საკვანძო შეკითხვებს შორის
- **ტექნოლოგიები** - სასწავლო პროცესი მთლიანად ორიენტირებულია კომპლექსური დავალებების შესრულებაზე და ყველა კომპლექსურ დავალებას მითითებული აქვს, რომელ გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე გადის. მასწავლებლებს საკითხები ისე აქვთ შერჩეული, რომ ხელს უწყოს სამიზნე ცნებების სიღრმისეულ გააზრებას.

2.2.2.2- საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

- **მათემატიკა**- თვითშეფასების კითხვარიდან, გასაუბრებიდან, ზოგიერთი შუალედური სასწავლო მიზნისა და კომპლექსური დავალებებიდან იკვეთება, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფსიქო-სოციალურ განვითარებას, თუმცა გირჩევთ, რომ მკაფიოდ გამოკვეთეთ გრძელვადიან მიზანს როგორ შეესაბამება მოკლევადიანი/შუალედური სასწავლო მიზნები.

- **სახელმწიფო ენა**-ატვირთული დოკუმენტაციიდან და გასაუბრებიდან გამომდინარე გამოვლინდა, რომ მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებაზე, აღნიშნეს, რომ გეგმავენ აქტივობებს რითაც აძლევენ მოსწავლეს საშუალებას ამოიცნონ საკუთარი ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართონ საკუთარი ემოციები. .კათედრა გამოხატავს მზაობას იმუშაოს ამ მიმართულებით და გაითვალისწინოს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას.

- **უცხოური ენები**-კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების საკითხები, იდეები და პირობები ხელს უწყობს მოსწავლეების მხრიდან სხვადასხვა სახის პროდუქტის შექმნას. ამ პროდუქტზე მუშაობის პროცესში ხშირად მოსწავლეს მოუწევს თანამშრომლობა თანატოლებთან, მოხდება თვითშეფასება და ურთიერთშეფასება, რა დროსაც ვითარდება კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, მოსწავლეს უჩნდება თვითრეფლექსიის უნარები, სოციალური ურთიერთობებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. ინტერვიუს შედეგად დადგინდა ,რომ კათედრას აქვს გამოცდილება კომპლექსური დავალებების(მეტნაკლებად), კლასგარეშე აქტივობების, ექსკურსიების, პროექტების , არაფორმალური აქტივობების დაგეგმვის და განხორციელების გამოცდილება რაც თავისთავად მოსწავლისგან მოითხოვს ფსიქო-ემოციურ ჩართულობას და ხელს უწყობს პიროვნულ ზრდის და განვითარების პროცესს. შესაბამისად უცხოური ენების კათედრამ ამ ეტაპისთვის წარმოაჩინა მზაობა. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
- **სპორტი** -- საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;, მასწავლებლის მიერ შეთავაზებული აქტივობები და რესურსი(ასევე კურიკულუმში თანდართული ჰიპერლინკები, სადაც წარმოდგენილია სპორტის შესაბამისი სახეობის წარმოშობის ისტორია),. კურილულემებში გაწერილ თემების მიხედვით, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ კეთილდღეობას. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **ესთეტიკური აღზრდა** - საგნობრივი კონტექტები შერჩეულია იმგვარად, რომ ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მათში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, მზაობა და ასაკობრივი თავისებურებები. სკოლაში განხორციელებული აქტივობები ფორმალური თუ არაფორმალური მიმართულებით: კომპლექსური დავალებები, პროექტები. მომავალში სკოლას აქვს მზაობა მეტად დახვეწოს გაამრავალფეროვნოს არაფორმალური ტიპის აქტივობები რათა ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თვითცნობიერების, თვითრეგულაციის, სოციო-ემოციური და საკომუნიკაციო უნარების განვითარებას.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“.
- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთათვის დავალების შექმნის დროს გათვალისწინებულია მოსწავლის განწყობა და მზაობა თემის მიმართ. რაც საშუალებას აძლევს მას დააფიქროს საკუთარ აზრებზე, ინტერესებსა და გრძნობებზე, ემოციების გამოხატვისას გაითვალისწინოს საზოგადოებისთვის მისაღები ფორმები, შეძლოს თანამშრომლობა , სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებთან გამკლავება, პრობლემის ეფექტურად გადაჭრა.
- **ტექნოლოგიები** - სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ საგნობრივი კათედრების მუშაობა და ინტეგრირებული სწავლის სტრატეგია მიაჩნიათ ერთერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. აცხადებენ, რომ აქვთ პროექტებზე მუშაობის გამოცდილება.

2.2.2.3.-. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

- **მათემატიკა**-შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, ამისთვის კი საჭიროა ესგ და საგნობრივ სტანდარტზე (მიმდინარე) დაყრდნობით შემუშავდეს განმსაზღვრელი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მიეცეს მოსწავლეს ისეთი უკუკავშირი, რომელიც მის მხარდაჭერაზე იქნება ორიენტირებული და მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე პასუხისმგებელი.

- **სახელმწიფო ენა**-მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მიმათრევენ.. მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა; შესაბამისად, გამოხატეს მზაობა იმუშაონ ამ პრინციპით და გაამახვილონ ყურადღება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში. ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- **უცხოური ენები**-კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში და სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს სკოლის სწორი ხედვა შეფასების სისტემის თვალსაზრისით. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ამ ეტაპისთვის არ არის ჩაშენებული და არ ჩანს შეფასების პრაქტიკული ნიმუშები, ხერხები, სტრატეგიები, რუბრიკები , თუმცა , რადგან აღნიშნული კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების მართებული იდეები და კათედრასთან გასაუბრებისას მასწავლებლებმა წარმოაჩინეს გამოცდილება , ცოდნა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების კუთხით, ვთვლი ,რომ უცხოური ენების კათედრა გამოხატავს მზაობას გამოიყენოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასების აუცილებელი კომპონენტები : დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით (ჰოლისტური) და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულ დონეებს. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
- **სპორტი** - სკოლის მიერ შექმნილი და წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის საგნისთვის, თემების მიხედვით, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტით გაწერილ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან და გათვლილია მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებაზე, პედაგოგების თქმით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ისინი ხშირად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას.. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

- **ესთეტიკური აღზრდა** - შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს საკუთარი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. განმავითარებელი შეფასების სისტემატიური გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს უნარების დახვეწაში სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავების გზით. მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარებით, მშობელი მუდმივად იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მისი შვილის განვითარებასა და საკუთარი სწავლის მნიშვნელობის გაცნობიერების წინაპირობაა.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებს გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, თუმცა ჯერ არა აქვთ შექმნილი შეფასების (არც განმავითარებელი და არც განმსაზღვრელი) რუბრიკები. ბუნებისმეტყველების პედაგოგები 20203 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსურ დავალებას შეაფასებენ განმავითარებელი შეფასების საშუალებით, შეიმუშავებენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემებთან მიმართებით, აწარმოებენ მოსწავლეთა დაკვირვებას, მოახდენენ დიაგნოსტიკური წერის ანალიზს
- **ტექნოლოგიები** -ინტერვიუდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავლებლები იცნობენ შეფასების პრინციპებს და იყენებენ მას სასწავლო პროცესში. ასევე, ვინაიდან კურიკულუმებში გაწერილია კომპლექსური დავალებები, მასწავლებლებთან გა საუბრებითაც დასტურდება, რომ აქვთ გამოცდილება სოლო ტაქსონომიით შეფასების. აცხადებენ, რომ ხშირად ხდება გაკვეთილზე ზეპირი კომენტარის და რეკომენდაციის გამოყენება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.2.4.- შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

- **მათემატიკა**- მასწავლებელთა გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ შეფასება ვალიდურია, ობიექტური და სამართლიანი. განმავითარებელი შეფასების დროს ეყრდნობიან თემის, სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აქცენტს აკეთებენ გრძელვადიან მიზნებზე.
- **სახელმწიფო ენა**-წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. იყენებენ როგორც განმსაზღვრელ ისე განმავითარებელ შეფასებას. შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები. .შეფასების ინდიკატორებს მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს და განიხილავენ მათთან ერთად. კათედრა ცდილობს შექმნას ისეთი შეფასების სისტემა, რომელიც იქნება სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე.
- **უცხოური ენები**-წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სკოლა სრულად იზიარებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს, მეთოდებს, მოსწავლის შეფასების მიზანს, შეფასების ტიპებს, აკადემიური მიღწევის დონეებს და საგნის სემესტრული ქულის შემადგენელ კომპონენტებს, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობებს, სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულის გამოანგარიშების წესებს, კლასისა და საფეხურის დაძლევას, გაცდენებს და შეფასებას, გამოცდის ტიპებს, მოსწავლის აკადემიური მიღწევებს. მომდევნო სასწავლო წელს სკოლა ირჩევს შეფასების სამ კომპონენტიან სისტემას . საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი ქულების გამოყენებით მოხდება განმსაზღვრელი შეფასება საბაზო და საშუალო საფეხურზე, ხოლო დაწყებით საფეხურზე 1-4 კლასში განმავითარებელი შეფასება, მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან და მე-6 კლასში განმსაზღვრელი შეფასება. კათედრა შეიმუშავებს შეფასების რუბრიკებს სხვადასხვა კომპლექსური ტიპის დავალებების შესაფასებლად. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
- **სპორტი** - მასწავლებლები ფლობენ და იყენებენ პრაქტიკაში შეფასების რამოდენიმე ინსტრუმენტს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს. გასაუბრების დროს გამოიკვეთა (და თვითშეფასების ფორმაც ადასტურებს), რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდის შეფასების სისტემის დახვეწა და მორგება, ისე, რომ ის სრულად დააკმაყოფილებს საგნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

- **ესთეტიკური აღზრდა** - სკოლაში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. მოსწავლეთათვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების რუბრიკები, რომელიც მათი ჩართულობით მუშავდება. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მისი განუყოფელი ნაწილია. გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა სამომავლოდ კიდევ უფრო მეტად დახვეწოს შეფასების სისტემა მოსწავლეათვის წერილობითი განმავითარებელი კომენტარის შემოღებით და შეფასების რუბრიკერბის დახვეწით.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი; თუმცა პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სოლო ტაქსონომიის ინსტრუმენტის დახმარებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მწირი გამოცდილება აქვთ და კლასში განმავითარებელი შეფასება ხორციელდება ზეპირი უკუკავშირის საშუალებით. სკოლაში დაწყებითი საფეხურის სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში იმოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი (V და VI კლასები) 10 - ქულიანი შეფასების სისტემა (არ გადმოუგზავნიათ ბუნებისმეტყველების არცერთი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა)

- **ტექნოლოგიები**-სკოლაში მოსწავლეთა შეფსება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები (რუბრიკები). შეფასების ინდიკატორებს მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს და განიხილავენ მათთან ერთად.

2.2.2.5.- სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და სკოლის ავტორიზაციის განაცხადში ასახულია, რომ კათედრაზე არსებობს პრაქტიკა, თუ რამდენად გამართულად და ხარისხიანად მუშაობს შეფასების სისტემა. ვერიფიკაციას ახორციელებს დირექცია და ხარისხის მართვის ჯგუფი. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით სკოლაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტრადიციულად ხორციელდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზი შემაჯამებელი და სემესტრული შეფასებების მიხედვით. საგნის მასწავლებლები ყოველი შემაჯამებელი დავალების შესრულების შემდეგ აკეთებენ შედეგების ანალიზს კლასის დონეზე. თუმცა სამომავლოდ კათედრა გეგმავს, რომ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი ისეთი შეიმუშაოს , რომ უფრო მოქნილი და დახვეწილი გახადოს. სკოლას წარმოდგენილი მასალებით, კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახული შეფასების სისტემის მექანიზმებით, გვიჩვენებს, თუ როგორ უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისობის შემოწმებას, რაც დაადასტურეს პედაგოგებმა გასაუბრების შედეგადაც;

- **მათემატიკა**-თვითშეფასების კითხვარიდან და პედაგოგებთან გასაუბრებიდან იკვეთება, რომ სკოლაში მოქმედებს და სისტემატიურად იხვეწება შეფასების ვერიფიკაციის ერთიანი მოდელი და შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს მომდევნო შუალედური სასწავლო მიზნის დასახვისას.
- **სახელმწიფო ენა**-მასწავლებელთა გასაუბრებიდან შეიძლება ითქვს, რომ ისინი აანალიზებენ მოსწავლეთა ნაშრომებს და აქვთ მიზნიდან გამომდინარე, რუბრიკების ერთობლივად შექმნის გამოცდილება. შეიძლება ითქვას, რომ კათედრას აქვს მზაობა გააგრძელონ მუშაობა ვერიფიკაციის მექანიზმის დახვეწა-განვითრებაზე.
- **უცხოური ენები**-სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის აკადემიური მიღწევის სისტემა და აღწერს შეფასების მიზნებს , ამოცანებს, ხერხებს. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია სადაც ვკითხულობთ ,რომ სტრატეგიული დაგეგმვის ერთერთი პროცესია ინფორმაციის შეგროვება,კვლევა, ანალიზი (SWOT),სამოქმედო/სტრატეგიული გეგმების მონიტორინგი და შეფასება
- **სპორტი** - პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად ნათელია და სკოლის თვითშეფასების განაცხადის ნარატივშიც ჩანს, რომ წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმებს, შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. სკოლა გეგმავს სასკოლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები აქციოს წერილობით დოკუმენტადაც. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **ესთეტიკური აღზრდა**- სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის როგორც გარე, ასევე შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი. შიდა მექანიზმად მოიაზრება სკოლაში ჩატარებული კონკურსების შედეგები, გარე მექანიზმებად კი სხვადასხვა ოლიპიადებსა და კონკურსებში მითწეული მოსწავლეთა შედეგები.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სკოლა გაითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, კერძოდ, 2023 – 2024 სასწავლო წლიდან ისინი გეგმავენ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავებას და დანერგვას სკოლაში.
- **ტექნოლოგიები** - ვერიფიკაციის მექანიზმად სკოლა განიხილავს სხვადსხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში მოსწავლეთა შედეგებს. სამომავლოდ კი ფიქრობენ დანერგონ სადიაგნოსტიკო შეფასების პრაქტიკა.

2.2.2.6.-- სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

აღნიშნული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები მოსწავლეთა ნამუშევრების სახით სკოლაში ინახება კანონის შესაბამისი ვადით. მომავალი წლიდან ეს ნამუშევრები შეინახება არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლას აქვს პრაქტიკა, რომ საგნობრივ კათედრაზე მასწავლებლებმა განიხილონ შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზის ამსახველი ანგარიშები. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კათედრის წევრებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღიცხვა და შენახვა, ასევე ინფორმაციას ასახავენ მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. დაწყებითი საფეხურის რამდენიმე მოსწავლის პირადი საქმეების დათვალიერების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ შეფასებასთან დაკავშირებული წერილობითი განმავითარებელი კომენტარები, დადასტურებული დამრიგებელთა ხელმოწერებით, ინახება მოსწავლეთა პირად საქმეებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.დაწყებითი საფეხურის წარმოდგენილი კურიკულუმი

2.შეფასების რუბრიკები

3.კომპლექსური დავალებები

4. სასკოლო სასწავლო გეგმა;
5.სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
6.სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.3.1.- სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნებს. სკოლის შენობა ადაპტირებულია შშმ და სსსმ საჭიროებებზე. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ყველა ის საჭირო სივრცე, რომელიც სრულ ადაპტაციას უზრუნველყოფს შშმ და სსსმ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. სკოლას აქვს ყველა სათანადო საჭირო მასალებით აღჭურვილი რესურსოთახი და ჰყავს სპეციალური მასწავლებლები, რომლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა მათი მაღალი მოტივაცია, საქმისადმი პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება. საკლასო ოთახებში შექმნილია პოზიტიური გარემო,სადაც მოსწავლე/მოსწავლეები თავს იგრძნობენ კომფორტულად. სკოლაში შექმნილია ისგ ჯგუფები და თითოეულ საგანში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ეთნიკური,რელიგიური კუთვნილების მქონე მოსწავლეთა ინტერესებს. ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობათა დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა კულტურული თავისებურებანი. იგეგმება ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლებიც უფრო მეტად შეუწყობს ხელს თანამშრომლობით ურთიერთობებს, პრობლემაზე ორიენტირებულ კომუნიკაციას.

2.2.3.2.- სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები და კურიკულუმების შედგენის მეთოდოლოგია, მასალების ანალიზი და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება მოსწავლეების საჭიროებებზე, შესაძლებლობებზე, ინტერესებზე დაფუძნებით. პროცესი მიმდინარეობს მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით, მასწავლებელი ფასილიტაციის პროცესში გეზს აძლევს მათ, რის შედეგადაც მოსწავლეები ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს,მონაწილეობენ ოლიმპიადებში, კონფერენციებში, წარმატებით ახორციელებენ კომპლექსურ დავალებებს და ა შ. სკოლა თვითშეფასების კითხვარში აღწერს, რომ მოსწავლეები სწავლის პროცესში არიან სუბიექტები და ისინი სწავლობენ საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მათთვის ნაცნობი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონტექსტების გამოყენებით. სხვადასხვა სახის ღონისძიებები, ოლიმპიადები, კონკურსები, კონფერენციები, დიაგნოსტიკური წერები და მათზე მიცემული განმავითარებელი უკუკავშირები მოსწავლეებს აძლევს მოტივაციისა და წინსვლის საშუალებას.

2.2.3.3. -- სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ზოგადად სკოლაში არსებული სოციალური ურთიერთობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სასწავლო პროცესის ხარისხზე. როგორც სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, თანამშრომლობითი კულტურა ურთიერთობის ის ფორმაა, რომელიც არსებით გავლენას ახდენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნაზე. სკოლის თანამშრომლები თავისი შესაძლებლობისა და კვალიფიკაციის ფარგლებში ცდილობენ ერთობლივად იზრუნონ მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე. როგორც აღნიშნეს, პროცესი ფრაგმენტული ხასიათიდან ნელ-ნელა გადადის საერთო სასკოლო კულტურის არსებით ნაწილში. თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერების კონტექსტში სკოლა მნიშვნელოვან როლს ანიჭებს ე.წ. ,, მილენიუმის პროექტის „ ფარგლებში ჩატარებულ ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებს. თანამშრომლობითი კულტურის მნიშვნელოვან გამოხატულებად დასახელდა კურიკულუმებზე ერთობლივად მუშაობისა და და მის დანერგვაზე გაზიარებული პასუხისმგებლობის გადანაწილების აქტივობები, ასევე თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას ხელს უწყობს საგნობრივ კათედრებზე კომპლექსური დავალებების ერთობლივი დაგეგმვა, სასწავლო და სასკოლო პროექტები.

2.2.3.4.- უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. როგორც სკოლის მასწავლებლებლებთან და სტრუქტურულ ერთეულებთან საუბრისას გამოიკვეთა, სკოლის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. ყურადღებიანი, ემპათიური და მეგობრული მასწავლებელი დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე. მასწავლებელი მოსწავლეს უდგება როგორც ინდივიდს თავისი საჭიროებით, სურვილებითა და ინტერესებით. მოსწავლეს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი და დასვას მისთვის საინტერესო კითხვები. სასწავლო პროცესში მოსწავლეები და მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. როგორც აღნიშნეს, როდესაც საუბრობენ პოზიტიურ საკლასო გარემოზე, ითვალისწინებენ სასკოლო გარემოსაც, რადგან ისინი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. სკოლა ცდილობს შემქნას პოზიტიური ფიზიკური გარემო, მოსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი რესურსები და დაამკვიდროს ურთიერთობის ჯანსაღი წესები კეთილგანწყობილი, მზრუნველი ატმოსფეროს შესაქმნელად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. სკოლის შინაგანაწესი;
3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
4. კათედრის სხდომის ოქმი;
5. კურიკულუმები;
6. მშობლის, მოსწავლის ,მასწავლებლის კითხვარი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.1.1.- მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რადგან კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში წამოდგენილია სასკოლო კურიკულუმის განვითარების ძირითადი პროცესები და ეტაპები. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ, რომ სკოლა , ყოველი განსაზღვრული პერიოდისათვის, გეგმავს, შეიმუშავებს ყოველწლიურ სამუშაო გეგმას - ახორციელებს მონიტორინგს და შეფასებას მის შესრულებაზე. სკოლას აგრეთვე აქვს წარმოდგენილი სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომლის მიზანია სწავლა-სწავლებისა და მართვის პროცესების შეფასების, გაუმჯობესების და დაწესებულების მდგრადი განვითარება. გარდა ამისა, კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს,რომ კათედრის წარმომადგენლები განიხილავენ მიღწეულ შედეგებს, აჯამებენ, აანალიზებენ სასწავლო პროცესს, რასაც ითვალისწინებენ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავებაში.
მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სკოლა მომავალი სასწავლო წელს მონიტორინგისა და შეფასების აქტივობების დაწყებამდე განავითარებს მეთოდოლოგიურ ჩარჩოს, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი ნაბიჯები და აქტივობები კურიკულუმსა და სწავლა-სწვალების პროცესის გაუმჯობესებაზე.

2.3.1.2. --მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

აღნიშნულ **კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სკოლამ 2022**-2023 სასწავლო წლის მანძილზე სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებისათვის სკოლა დაეყრდნო მოსწავლეთა შედეგებს და სკოლის საჭიროებების დიაგნოსტირების საფუძველზე შეაფასა სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში სკოლა ასახავს კურიკულუმის ძლიერ და სუსტ მხარეებს, გამოიკვეთება ხელისშემშლელი ფაქტორები და დაიგეგმება ცვლილებები კურიკულუმის შედეგიანად განხორციელებისათვის. საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებთან საუბრისას გამოიკვეთა , რომ კათედრების შექმნიან კომპლექსური დავალებების შეფასებისა და მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის შესამოწმებელ რუბრიკებს. სამომავლოდ უფრო მასშტაბურად და სისტემურად იგეგმება დიაგნოსტიკური კვლევების მეთოდების გამოყენების გზით კურიკულუმის დანერგვის/ მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგი. მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს სკოლა აუცილებლად გაითვალისწინებს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამის ცვლილებებს შეიტანს 2023-2024 სასწავლო წლისთვის დაგეგმილ კურიკულუმებში, ინფორმაციას, დაგეგმილ სიახლეებს გააზიარებს სასკოლო საზოგადოების წინაშე.

2.3.1.3.-- მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

აღნიშნულ **კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.** 2022-2023 სასწავლო წლის ბოლოს განხორციელებული მონიტორინგი კათედრებისა და მასში შემავალი წევრი მასწავლებლების საქმიანობების დონეზე იძლევა შესაძლებლობას გამოიკვეთოს სკოლის საჭიროებები და სწორად განისაზღვროს წინსვლისთვის შემდგომი ნაბიჯები, რომლებიც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალებაა. სკოლა გეგმავს შიდა-სასკოლო სადიაგნოსტიკო წერების შედეგებთან შედარებას კათედრის დონეზე. რითაც განსაზღვრული აქვს, რომ შეძლებს ფართო ჭრილში დაინახოს მიგნებები და გამოწვევები, შემდეგ კი დაგეგმოს ინტერვენციები. განხორციელებულმა მონიტორინგმა მისცა ინფორმაცია სკოლას პროცესის შედეგიანობის შესაფასებლად. სკოლა მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე კურიკულუმის დანერგვის პროცესი გარკვეული ხარვეზებით მიმდინარეობს და მნიშვნელოვანია მასში მიზნობრივად სწორი ცვლილებების შეტანა. კონკრეტულად საჭიროებათა დამატებით კვლევა და ამ კვლევის შედეგად გამოვლენილ შედეგებზე რეაგირება, გამკლავება. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
3. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.2.1.-- შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

აღნიშნულ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.** როგორც სკოლის დირექციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, სკოლა პირველივე ეტაპზევე ჩაერთო ,,ახალი სკოლის მოდელის“ პროგრამაში, შესაბამისად წლების გამოცდილება აქვს სკოლას იმისა, რომ განახორციელოს შეფასება მრავალფეროვანი წყაროების მიხედვით. სკოლა წარმოდგენილი მასალებით, კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახული შეფასების სისტემის მექანიზმებით, გვიჩვენებს, თუ როგორ უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისობის შემოწმებას, რაც დაადასტურეს პედაგოგებმა გასაუბრების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგადაც; დაწყებით კლასებში ხორციელდება განმავითარებელი შეფასება. იყენებს განმავითარებელი შეფასების შემდეგ ინსტრუმენტებს: ა) მასწავლებლის უკუკავშირი; ბ) მოსწავლეთა თვითშეფასება; გ) მოსწავლეთა ურთიერთშეფასება; დ) შესასვლელი და გასასვლელი ბარათები; ე) შუქნიშნის ბარათები; ვ) სხვადასხვა კოგნიტური სქემები; ზ) დიაგნოსტიკური შეფასება

2.3.2.2.- შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

აღნიშნულ კომპონენტში **სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს,** რადგან სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა გამომდინარეობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმიდან, კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას. მოსწავლე არ ფასდება მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ გათვალისწინებულია ბევრი სხვა ფაქტორიც. საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება მუშაობის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, მთელი კლასი, ინდივიდუალური პრეზენტაცია და ა.შ. შეფასებაც ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით, რომლებიც შემუშავებულია საგნობრივ კათედრებზე და წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს. სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი , ისე განმავითარებელი შეფასება იმ კლასებსა და საფეხურებზე, როგორც ეს მოცემულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში. მოსწავლეები ფასდებიან ამასთანავე, საკლასო, დამოუკიდებელი და შემაჯამებელი დავალებების კომპონენტებით. ხოლო კომპლექსური დავალებების შეფასება ხდება სოლო-ტაქსონომიის მეშვეობით, ინდივიდუალურად მათი ცოდნისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

2.3.2.3- შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რადგან სკოლა შეფასებისათვის საჭირო მონაცემთა შეგროვებას სხვადასხვა გზით ახორციელებს. საგნობრივი კათედრების ოქმები, სხვადასხვა ტიპის კითხვარები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის ჯგუფის შეფასების ფორმები, რომელთა ანალიზის საფუძველზე ისახება პრობლემის გადაჭრის გზები და სამომავლო გეგმები. საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ახალი კურიკულუმების დანერგვის ეტაპზე თავდაპირველად მონაცემთა შეგროვებას სადიაგნოსტიკო ტესტების საშუალებით შეძლებენ , შეისწავლიან თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებსა და ინტერესებს და გამოვლენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად საჭიროების შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეძლებენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენას. პედაგოგები იდენტიფიცირებული პრობლემის აღმოფხვრაზე მუშობენ კომპლექსურად.

2.2.2.4.--შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით;

სკოლის დირექციასთან, საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებთან, სპეციალურ მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შეფასების პროცესსა და მექანიზმებს დიდ ყურადღებას უთმობს სკოლა, თუმცა ამ პროცესის გაუმჯობესება სკოლის ერთ-ერთი გამოწვევაა. ვერიფიკაციის მექანიზმი ჩაშენებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების შესახებ წარმოდგენილ ნაწილში და სკოლა მომდევნო სასწავლო წლისთვის გამოკვეთს ცალკე ვერიფიკაციის მექანიზმებს. სკოლის შეფასების სისტემა გაუმჯობესდება ამ მექანიზმებზე დაყრდნობით , სადაც ნათლად აისახება, თუ რა შიდა ან გარე ფაქტორებს ითვალისწინებენ მასწავლებლები შეფასების დროს ან რა ფაქტორებს გაითვალისწინებენ მომავალში; ვინაიდან სკოლის მუშაობის პროცესში გამოკვეთილია თუ რას აეკეთებს სკოლა და რას გააკეთებს მომავალში,**შეიძლება ითქვას, რომ ამ კომპონენტშიც სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.
3. სასკოლო სასწავლო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.1.1.- იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლაში ამ ეტაპზეც მუშავდება საგნობრივი კურიკულუმები, სკოლა ასევე გეგმავს კურიკულუმის განხორციელების პროცესზე დაკვირვებას, გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლასა და მონაცემების მოგროვებას. სკოლისათვის მნიშვნელოვან საქმიანობას წარმოადგენს, რომ მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოსათვის, როდესაც საგნობრივი კათედრები შეაჯერებენ მათ ხელთ არსებულ მონაცემებს - გაკვეთილებზე დაკვირვებისა თუ მასწავლებლების რეფლექსიებს, განხორციელებულ შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგებს (მოსწავლეთა მიღწევებს) - შეიმუშავებენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს. ამ ეტაპზე სკოლაში ითვალისწინებენ მიღწევების შედეგებს, აანალიზებენ ანალიზს, თვითშეფასების საფუძველზე ქმნიან გადამუშავებულ კურიკულუმებს, ამის დასტურია თუნდაც კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები.შესაბამისად, სკოლის მზაობიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაციებისა და სამომავლო გეგმების გათვალისიწნებით **აღნიშნულ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2.4.1.2.- კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს;

თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, რომ კურიკულუმის გადამუშავებისა და განახლებისას გაითვალისწინებენ პედაგოგები წინარე გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, შემუშავდება რეკომენდაციები კურიკულუმის გასაუმჯობესებლად და ამ რეკომენდაციების საფუძველზე შეიქმნება კურიკულუმის განახლებული ვერსია.სკოლაში საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის, შეფასების შედეგებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იკვეთება სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა . მასწავლებლებთან გასაუბრებამ წარმოაჩინა თანამშრომლობაზე და გამოცდილებაზე დაფუძნებული პრაქტიკის არსებობა . დაწყებითი კათედრის მასწავლებლებლებმა აღნიშნეს ,რომ ყოველი წლის ბოლოს განიხილავენ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს , კურიკულუმებს, შეფასების ფორმებს და მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე გეგმავენ ,ქმნიან განახლებულ ვერსიებს. სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები.2023-24 სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის გადამუშავებული კურუკულუმები მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულ შესაბამისობაში მოვა ახალი თაობის ე.ს.გ. მოთხოვნებთან. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
2. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
3. სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა.
4. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება /საბაზო საფეხური/

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი---საბაზო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1.-კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლა 2022-2023 სასწავლო წელს იყენებდა სამინისტროს მიერ მიწოდებულ კურიკულუმებს, სადაც კომპლექსური დავალებების ბანკიდან ჰქონდათ შერჩეული კომპლექსური დავალებები და ახორციელებდნენ მას. . 2023-2024 სასწავლო წლისთვის კი ავტორიზაციის განაცხადის შევსების ეტაპზე მხარდამჭერ ჯგუფთან ერთად შეიმუშავეს კურიკულუმის ჩარჩოები,.წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან(კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია; თვითშეფასების კითხვარი,მშობლის ბარათი, სკოლის ვებ-გვერდი, კითხვარი მშობლებს ,მოსწავლეებს..) და საბაზო საფეხურის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებთან გასაუბრებდან გამოიკვეთა, რომ მათ მიერ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. სამუშაო შეხვედრებზე მასწავლებლებს შორის მიმდინარეობს მსჯელობა კლასებისა და მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებზე. შესაბამისად, კურიკულმების შედგენის დროს იგეგმება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იქნება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ამ ეტაპზე სკოლას შექმნილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილია, თუ რა მნიშვნელობა აქვს სასკოლო კურიკულუმს სკოლის მიზნებისათვის და ზოგადი განათლების რეფორმისთვის. მისი საშუალებით სკოლის დონეზე რეალიზდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნები.

მთავარი დოკუმენტი, რომელსაც სასკოლო კურიკულუმი ეყრდნობა არის ეროვნული სასწავლო გეგმა. სასკოლო კურიკულუმი დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და კონცეპტუალურ ჩარჩოზე. სკოლის მიერ კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად შეგროვილ მონაცემებთა დამუშავების საფუძველზე . ყველა საგნობრივი მიმართულების მიხედვით წარმოდგენილია, რომ კურიკულუმის განვითარების პროცესში ჩართული არიან მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები და დირექცია.ასევე იკვეთება ისიც, რომ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ყურადღება მახვილდება კურიკულუმის სტრუქტრულ ერთეულებზე, დანერგვის ინსტრუმენტებზე, შუალედურ სასწავლო მიზნებზე, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებზე სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციებსა და მონაწილეობის ფორმებზე.**აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.1.1.2.- კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია,გასაუბრებისას აღნიშნეს პედაგოგებმა, რომ კურიკულუმის მორგებისას გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს. ძირითად შემთხვევაში ერთობლივად არჩევენ კომპლექსურ დავალებას, ითვალისწინებენ ასევე მშობლების ზეპირ უკუკავშირს/მოსაზრებებს, თუმცა ამას არ აქვს გარკვეული ფორმა. მომდევნო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო წლისთვის იგეგმება, რომ კომპლექსური დავალებები შეირჩეს მოსწავლეების მიერ - მოსწავლეები შეარჩევენ თუ რომელ თემაზე ისურვებენ კომპლექსური დავალებების განხორციელებას., მათი სურვილიდან გამომდინარე ჩაერთვებიან ამ პროცესში მშობლებიც (გამოკითხვისას), გამოკითხვის შედეგების ანალიზს გააკეთებს საგნობრივი კათედრა.
მაგალითად, უცხოური ენების კურიკულუმებში ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, რაც დადგინდა მათი გამოკითხვის საშუალებით. კერძოდ, დაიგეგმა ახალი სასწავლო წლიდან ყველა კლასში კომპლექსური დავალებების განხორციელება, რისთვისაც პედაგოგები მოიძიებენ და მოამზადებენ მოსწავლეებისთვის საინტერესო კონტექსტ-მაგალითებს. შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, მათ შორის სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულს. და ინტერესები. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ცოდნას, შესაძლებლობებს, მშობელთა ინტერესებს, სასკოლო პრიორიტეტებს და რეალიზების მექანიზმებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ნათლად იკვეთება, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარება კომპლექსური პროცესია, მასში მონაწილეობს არაერთი ადამიანი, თუმცა, პასუხისმგებლები არიან კათედრის თავმჯდომარეები და დირექტორის მოადგილე. აღნიშნული მეთოდოლოგია განსაზღვრავს, რომ კურიკულუმის განვითარების პროცესში მასწავლებლებსა და დირექციას მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები აქვთ. კერძოდ, სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი ვადებულია აქტიალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც აჩენს სივრცესა და შესაძლებლობებს კურიულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობისთვის და მათი ინტერესების გაზიარებისათვის. სკოლამ წინარე გამოცდილების საფუძველზე თავად უნდა დააკონკრეტოს მომავალი სასწავლო წლიდან რა ფორმით უნდა განხორციელდეს მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში (მაგალითად, მშობელთა ინფორმირების გზა შეიძლება იყოს კურიკულუმის სკოლის საიტზე ატვირთვა, ელექტრონული ჟურნალით ან სკოლის მიერ გამოყენებული ელექტრონული ფოსტების ან მესენჯერის ჯგუფებით ინფორმაციის გაზიარება)

2.1.1.3.- კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში კარგადაა განმარტებული კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული მხარეები და მათი ფუნქციები . კურიკულუმის შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტოვობების განსაზღვრას. ამ პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელი ერთვება. პედაგოგები თანხმდებიან შემდეგ საკითხებზე:

- რომელ თემებს ასწავლიან მომდევნო სასწავლო წელს (იმ საგნებში, სადაც თემები სავალდებულოდ არ არის განსაზღვრული);
- რა ქვესაკითხებსა და საკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების გასააზრებლად, საფეხურის შედეგების მისაღწევად;
- რა კომპლექსურ დავალებებს იყენებენ თემის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად;
- რა ძირითად და დამხმარე რესურსებს იყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში;
- რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის;
- რა მექანიზმებით შეისწავლიან სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობას.

კურიკულუმს გეგმავს მთელი კათედრა და არა ერთი მასწავლებელი (მაგალითად, თუკი კათედრაზე 5 ისტორიის მასწავლებელია ყველა მათგანი ერთსა და იმავე კურიკულუმზე თანხმდება).

2.1.1.4.-კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

აღნიშნული ინდიკატორი დამაყოფილებულია , რადგან საბაზო საფეხურზე საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმები, შესაბამისი მასალები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლაში ახალი დაწყებულია პროცესები, რომლებიც მიმართულია სასკოლო საზოგადოებისათვის კურიკულუმის გაზიარებისაკენ. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარებისთვის სკოლა იყენებს მშობლებთან პირისპირ შეხვედრებს და სოციალურ ქსელებს.მაგალითად სპორტის მიმართულებით სკოლას აქვს შექმნილი სასკოლო სპორტული კლუბი და მისი სოციალური გვერდის საშუალებით , ასევე სკოლის სოციალური გვერდით, ზიარდება ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებისა და თემისათვის ნებისმიერი სპორტული აქტივობის შესახებ და აქვე შასაძლებელია უკუკავშირის მიღებაც. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გაააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაცვლა-გამოცვლა. სკოლა ფიქრობს დაგეგმოს მიზნობრივი შეხვედრები მშობლებთან, მათი მოწვევა სკოლაში და კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებზე დასწრება. სოციალურ ქსელების მეშვეობით სკოლა სხვადასხვა საგნის მიმართულებით აზიარებს მოსწავლეთა მიღწევებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
2. კათედრის სხდომის ოქმი
3. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
4. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის უცხოური ენების კათედრის ოქმი N4
5. შემუშავებული კურიკულუმები
6. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.2.1-შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

- **მათემატიკა**- საბაზო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ზემოთ აღვნიშნე უკვე, რომ 2022-2023 სასწავლო წელს სარგებლობდნენ ექსპერტების მიერ მიწოდებული კურიკულუმებითა და კომპლექსური დავალებებით, რომელიც ბუნებრივია აკმაყოფილებდა ყველა კრიტერიუმს. თუმცა მათემატიკის კათედრაზე შეარჩიეს კომპლექური დავალება, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია შემოქმედებითი უნარების, კრიტიკული აზროვნების, კვლევის უნარ-ჩვევების განვითარებაზე. 2023-2024 სასწავლო წლისთვის შემუშავებულ კურიკულუმებში ყურადღება გამახვილებული იქნება წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე, გრძელვადიან მიზნებსა და მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიებზე.
- **სახელმწიფო ენა**-საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი თემები, რესურსები და ნიმუშის სახით მოცემული რამდენიმე დავალებება, რომლებიც უკავშირდება პირად გამოცდილებას ,შეუქმნის მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას. მასწავლებლებმა კი გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ ახორციელებენ კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებსაც არჩევენ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებების გათვალისწინებით.კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული რამდენიმე ნიმუშის გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ,რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი .
- **უცხოური ენები**-უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კურიკულუმებში გაწერილი შუალედური მიზნები, კომპლექსური დავალებების იდეები ,შესაბამისი კონტექსტ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მაგალითები, საჭირო რესურსები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ, სასწავლო მასალამ ნიმუშების სახით და ინტერვიუმ მასწავლებლებთან წარმოაჩინა უცხოური ენების კათედრის სწორი ხედვა და მზაობა. კათედრამ გამოამჟღავნა სტრატეგიების ,მათ შორის მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიების და ეროვნული სასწავლო გეგმის მეთოდური ორიენტირების ცოდნა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების განსაზღვრისათვის. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- **სპორტი** - სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაზო საფეხურის 7 - 9 კლასისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია მესამე თაობის ესგ-ს მოთხოვნებისა და საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. შედგენილი კურიკულუმები არის სრულყოფილი.. თითოეული კლასის კურიკულუმში შეტანილია მრავალფეროვანი სასწავლო თემები, რაც საშუალებას იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და მათი ინტერესისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით წარმართვისა. შერჩეული სასწავლო თემები , რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას. ინდიკატორი **შესაბამისობაშია**
- **ესთეტიკური აღზრდა**-მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კერძოდ, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები გათვლილია თითოეული მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე. შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სრულიად აკმაყოფილებს სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებს. დიდი ყურადღება ეთმობა სწავლა-სწავლების პროცესში პოზიტიური სასწავლო გარემოს ჩამმოყალიბებას.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია), რომლებიც წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას.არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-სასკოლო კურიკულუმით სასწავლო პროცესი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის კონკრეტული შესაძლებლობები და ინტერესები. კურიკულუმებზე მუშაობის დროს გრძელვადიანი მიზნები და შედეგები გათვალისწინებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩამოყალიბებული საგნობრივი სამიზნე ცნებების სახით და შედეგების მისაღწევი შუალედური მიზნები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას, ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს.

2.1.2.2.- კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

- **მათემატიკა**-პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმებში, რომელსაც იყენებდნენ 2022-2023 სასწავლო .წელს გრძელვადიან მიზნებად გააზრებული იყო სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები; ძირითად შემთხვევაში აღქმული იყო გლობალური ფუნქციური უნარები (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (ეთიკა, პასუხისმგებლობა), ხასიათი ნება) უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად). 2023-2024 სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შეფასების ინსტრუმენტი კათედრის ფარგლებში შემუშავების პროცესშია და იგეგმება ამ მიმართულებით სასწავლო წლის დაწყებამდე მუშაობა.
- **სახელმწიფო ენა**-კურიკულუმში წარმოდგენილი ზოგიერთი დავალებისთვის განსაზღვრულია მისაღწევი მიზნები ცნებების სახით.სანიმუშოდ მოცემული დავალებებიდან და შეფასების რუბრიკებიდან ჩანს, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ფუნქციური უნარების განგანვითარებას, წარმოდგენილი აქვთ შემოქმედებითი,ანალიტიკური.. დავალებები,რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდას ,შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ყურადღებას ანმახვილებენ სწავლის სწავლაზე .დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეები საუბრობენ ,რა გამოუვიდათ კარგად,მსჯელობენ ,თავიდან რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეესრულებინათ დავალება,რას შეცვლიდნენ და რატომ.აღნიშნეს ,რომ ამ პრინციპით აპირებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვას.

- **უცხოური ენები**-კურიკულუმის შესწავლისას და გასაუბრებისას გამოიკვათა , რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. შესაბამისად, წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო მიემართება საგნობრივი სტანდარტის მისაღწევი შედეგების მიღწევისკენ. ასევე კომპლექსური დავალებების პირობები, საკითხები, რესურსები ,დამატებითი რესურსები ხელს შეუწყობს /უზრუნველყოფს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება,შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია ,მოქალაქეობა,ნებელობა; ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
- **სპორტი** - სკოლის მიერ სასწავლო თემები შერჩეულია როგორც პრაქტიკული ასევე თეორიული მიმართულებით. ამ თემების მიხედვით შექმნილი და წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიან მიზნებისაკენ : გათვლილია სამიზნე ცნებებზე გასასვლელად, (ესენია; ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი) , სტანდარტის შედეგებზე და გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე (6 უნარი). ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**
- **ესთეტიკური აღზრდა**-მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, შემუშავებული საგნობრივ კურიკულუმები, მასში შემავალი კომპლექსური დავალებებით ორინეტირებულია გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მაკრო ცნებებს, მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები, ზოგიერთი საგნის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში (ფიზიკა) განსაზღვრულია ძირითადადი კონტექსტ - მაგალითი და კომპლექსური დავალების იდეა.საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყველო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრა მთელი ზაფხულის განმავლობაში იმუშავებს კურიკულუმის საბოლოო ვერსიის შექმნაზე, რომლებიც გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) განვითარებაზე იქნება ორიენტირებული

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-სასკოლო კურიკულუმი ეყრდნობა მესამე თაობის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ძირითად პრინციპებს. იგი ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების პროცესს. შემუშავებულია გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად (შედეგები და სამიზნე ცნებები).ასევე იკვეთება გლობალურ ფუნქციური უნარებიც: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია…

2.1.2.3.- სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

- **მათემატიკა**-გამომდინარე იქედან, რომ დიფერენცირებული სწავლება სასწავლო პროცესის ისეთი ორგანიზებაა, რომელიც გათვლილია თითოეული მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფების საჭიროებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე, მათემატიკის საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მიზნად დაისახეს სწავლების ეს ფორმა ეფექტიანად დაენერგათ სასწავლო პროცესში. დიფერენცირება გათვალისწინებულია ასევე კომპლექსური დავალებების საბოლოო პროდუქტში. მოსწავლეებს აძლევენ შესაძლებლობას სასურველი ფორმით წარმოადგინონ ნამუშევარი, რიგ შემთხვევაში სთავაზობენ ალტერნატიულ საშუალებებს, რათა გრძელვადიანი მიზნის შესაბამის მოკლევადიან მიზანზე გავიდნენ.
- **სახელმწიფო ენა**-ატვირთული დოკუმენტაციიდან (კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული თემები, რესურსები და დავალები),მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ირკვევა,რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებები,სწავლის სტილი,იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა.მასწავლებელიც არჩევს შესაბამისად დავალებებს.კათედრას აქვს მზაობა, გაამახვილოს ყურადღება და გაითვალისწინოს 2023-24 წლის კურიკულუმში დიფერენცირებული სწავლების პრინციპები.
- **უცხოური ენები**-სკოლას აქვს წარმოდგენილი ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა . უცხოური ენების კათედრამ წარმოადგინა ისგ სადაც ჩანს სასკოლო საზოგადოების გამოცდილება ,ჩართულობა , თანამშრომლობა და სწორი ხედვა ამ მიმართულებით . მიუხედავად იმისა ,რომ წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოში ნაკლებად ჩანს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დიფერენცირებული მიდგომა, ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა ისაუბრეს დიფერენცირებული სწავლების საკუთარ გამოცდილებაზე და მეთოდებზე ,აგრეთვე დიფერენცირების მნიშვნელობაზე, დავალებების, შინაარსის, პროდუქტის დიფერენცირების სტრატეგიებზე და წარმოადგინეს ნიმუშები საკუთარი პრაქტიკიდან . კათედრამ გამოხატა მზაობა კურიკულუმების დახვეწის თვალსაზრისით ამ მიმართულებით.შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- **სპორტი** - თვითშეფასების ფორმაშიცაა აღნიშნული და ინტერვიუს დროს პედაგოგებმაც აღნიშნეს, რომ ისინი მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და საჭიროების შემთხვევაში , ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში. პედაგოგების თქმით, . სკოლაში ყავთ რამდენიმე სსსმ მოსწავლე, რომელთაც ესაჭიროება ინდგეგმა საგანში. პედაგოგმა აღნიშნა რომ სპეც მასწავლებელთან ერთად შემუშავებული აქვთ მათთვის მოდიფიცირებული გეგემა და წარმოადგინეს ეს ნიმუში ვიზიტის დღეს, ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**
- **ესთეტიკური აღზრდა**-სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან და მზაობიდან გამომდინარე. მოსწავლეთა ინტერესები და მათი ასაკობრივი თავისებურებები გათვალისწინებულია კონტექსტებსა და საკითხებში. მომავალში სკოლას აქვს მზაობა წარმართოს სასწავლო პროცესი კომპლექსურიდან კომპლექსურამდე პრინციპით.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო კათედრის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყველო საგნის პედაგოგები ახდენენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სსსმ მოსწავლეების სწავლებას. ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ასევე ნათელი გახდა, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებას (დიფერენცირებულ მიდგომას) და თითოეულ მოსწავლეს სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს კომპლექსური დავალების პროდუქტის შესაქმნელად
- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-სკოლის მიერ წარმოდგენილმა დოკუმენტებმა და გასაუბრებამ წარმოაჩინა, რომ სკოლას გააჩნია მკაფიო ხედვა როგორც ინკლუზიური განათლების, ასევე დიფერენცირებული სწავლების მიმართულებით. ცდილობს შექმნას მოსწავლეთათვის მოქნილი სასწავლო გარემო. მოსწავლეთა ინდივიდუალურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული სასკოლო პროგრამები. მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები, რომელთა საშუალებითაც მოსწავლეები ცოდნასა და საკითხთან მიმართებაში საკუთარ დამოკიდებულებას გამოხატავენ მათთვის ეფექტური საშუალებებით

2.1.2.4.-განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

- **მათემატიკა**-პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ განმავიტარებელი და განმსაზღვრელი შეფასებისთვის რუბრიკებს ისე ქმნიან, რომ მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს.
- **სახელმწიფო ენა**-წარმოდგენილია შეფასების რამდენიმე რუბრიკა,რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის სკოლის ფარგლებში შეფასების წარმოების წესზე.მიუხედავად რამდენიმე უზუსტობისა,ჩანს,რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება,შექმნილი რუბრიკები ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ ინდიკატორებს.აღნიშნეს, რომ მიმართავენ ხშირად განმავითარებელ შეფასებას ,ძირითადად ზეპირად , ზოგჯერ წერილობით.დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელი გახდა ვიზიტის დროს, სკოლას აქვს მზაობა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება წარმართოს სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით.ინდიკატორი შეესაბამება და აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს
- **უცხოური ენები**- საბაზო საფეხურზე სკოლა იყენებს განმვითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს , სკოლის სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა გაწერილი შეფასებასთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები სამივე საფეხურზე. პედაგოგებს მიეცათ რეკომენდაცია შეფასების რუბრიკებთან დაკავშირებით და მათ ინტერვიუსას გამოთქვეს მზადყოფნა, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის წევრები ერთად შეიმუშავებენ განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმებსა და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს , რომლებიც შესაბამისობაში იქნება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან .
- **სპორტი** - საბაზო საფეხურისათვის, სკოლის მიერ თემების მიხედვით შექმნილი და წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიანი მიზნებს. გათვლილია სამიზნე ცნებების განვითარებაზე და ითვალისწინებს საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგებს. პედგოგებმა გამოთქვეს მზაობა, რომ სამომავლოდაც შექმნიან რუბრიკებს შერჩეული თემების შესაბამისად.. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

- **ესთეტიკური აღზრდა**-სკოლას აქვს წინარე გამოცდილება, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსის გაგების თვალსაზრისით. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, განმავითარებელი შეფასების ძირითადი ფორმა იყო ზეპირი განმავითარებელი კომენტარი. კომლექსური დავალებები კი შეფასებული იყო SOLO ტაქსონომიით. სამომავლოდ სკოლას აქვს მზაობა მეტად დახვეწოს შეფასების სისტემა, შეიმუშავოს ახალი ტიპის რუბრიკები განმსაზღვრელ-განმავიარებელი შეფასებისთვის.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო კათედრის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკას. სკოლის მიერ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. საბუნებისმეტყველო კათედრის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებს შექმნილი აქვთ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ქიმიის მე-9 კლასი მეორე სავალდებულო თემისთვის) და 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე საბუნებისმეტყველო საგნების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგების მიერ იგეგმება განმასზღვრელი რუბრიკის შექმნა საბაზო საფეხურის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შესასწავლი თემებისთვის. საბუნებისმეტყველო კათედრის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებს შექმნილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ქიმიის 8 კლაისი მეორე სავალდებულო თემის ერთი კონტესქტ - მაგალითისთვის) და 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე საბუნებისმეტყველო საგნების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგების მიერ იგეგმება განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა ყოველი კონტექსტ - მაგალითის მიმართ.
- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-სკოლაში სწავლება და შეფასება ერთ მთლიან, გააზრებულ პროცესს წარმოადგენს. შეფასების კრიტერიუმები მკაფიოა და ცალსახად მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს. იყენებენ ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.2.5.- დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

- **მათემატიკა**-მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული აქვთ წინა წლების გამოცდილება. სასწავლო პროცესი მაქსიმალურად მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე. ცდილობენ ყველა ნიუანსის გაწერის დროს გაითვალისწინონ წინარე გამოცდილება და ისე დაგეგმონ მომდევნო სასწავლო წელი.
- **სახელმწიფო ენა**-.წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან(ძველი და ახალი კურიკულუმის ჩარჩო) და კათედრის წევრებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შექმნისას გაითვალისწინეს წინარე პრაქტიკული გამოცდილება , მათ შეცვალეს დავალებები, ზოგი დავალების -პირობა. აღნიშნეს ,რომ ისინი კათედრაზე შეთანხმდებიან და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე შეავსებენ მომავალი სასწავლო წლის სამუშაო გეგმას.ეს ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.სკოლას აქვს მზაობა დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს წინარე გამოცდილება.
- **უცხოური ენები**-სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ ,რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა წლის კურიკულუმის დანერგვის პარალელურად; მისი (ე.ი. წინა წლის კურიკულუმის) განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრის პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელი ერთვება. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ მოხდა მეორე სემესტრის შეჯამება, მოსწავლეთა აკადემიური შედეგების , სასკოლო კურიკულუმების განხილვა და 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის პროექტის შემუშავება.ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
- **სპორტი** - კათედრული ოქმებითა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიით დასტურდება და ინტერვიუს შედეგადაც ნათელია, რომ კოლეგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზიც, რომ სამომავლოდაც ისე დაგეგმავენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესებს, რომ უზრუნველყონ მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო კათედრის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმები სკოლის მასწავლებლების ჩართულობით მიიღებს დასრულებულ სახეს და გათვალისწინებული იქნება მათი წინარე და წარმატებული გამოცდილების პრატიკა
- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა რომ, მესამე თაობის ესეგ -ს დანერგვის პროცესში საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მოახდენს არსებული კურიკულუმების მოდიფიცირებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიში
2. საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
4. საბაზო საფეხურის კურიკულუმი
5. სადიაგნოსტიკო წერები
6. კომპლექსური დავალებები
7. უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმი N 4
8. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში;
10. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების პროგრამა და დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1.-სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

- **მათემატიკა**-თვითშეფასების კითხვარისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ისე აქვთ დაგეგმილი, რომ იძლევა მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კურიკულუმის შემუშავებისას შესაბამისად არჩევენ კომპლექსური დავალებებს. მომდევნო სასწავლო წლისთვის იგეგმება მატრიცებზე დაფუძნებით კურიკულუმის შემუშავება/შეფასება, სადაც მკაფიოდ გამოიკვეთება ის საჭიროებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშს მოსწავლეებისა და მასწავლებლის დონეზე.
- **სახელმწიფო ენა**-მასწავლებლებელთა ინტერვიუდან და ახალი კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული რამდენიმე დავალების ნიმუშიდან გამომდინარე , შეიძლება ითქვას, რომ გაკვეთილებზე,საკლასო გარემოში ,მოსწავლეებს აქვთ საშუალება შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობისა და პრობლემის გადაჭრის გზით.წახალისებულია შემოქმედებითი,პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული დავალებები.კოლას აქვს მზაობა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გაითვალისწინოს მათი აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **უცხოური ენები**-საბაზო საფეხურზე უცხოური ენების კურიკულუმები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, აქტიურად ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში. ამის მაგალითია კომპლექსური დავალებების იდეები. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტურად არაა აღწერილი მათი განხორციელების პროცესი, მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ იციან კომპლექსური დავალებების შედგენაც და მისი განხორციელებაც,გასაუბრების დროს დადგინდა, რომ კათედრას აქვს განხორციელებული არა ერთი პროექტი. წარმოდგენილი ნიმუშების და ინტერვიუს შედეგზე დაყრდნობით ჩანს უცხოური ენების კათედრის სწორი ხედვა, გამოცდილება და ცოდნა მოსწავლეთა მოტივაციის, წინარე ცოდნის გაქტიურების, ინტერესების გათვალისწინების, თანატოლებთან თანამშრომლობის, შემოქმედებითი უნარის განვითარების, აქტიურად ჩართულობის და მათი ავტონომიურობის თვალსაზრისით. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში გაწერილია საერთაშორისო პროექტში ჩართვა(სკოლა ერთვება გრძელვადიან საერთაშორისო პროექტში“ “Breaking Barriers”).შესაბამისად, მზად არიან მომდევნო სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობას შეუწყონ ხელი.

- **სპორტი** - სკოლის მიერ შექმნილ და წარმოდგენილ საბაზო საფეხურის (7-9 კლასების) კურიკულუმებში შეტანილი მრავალფეროვანი სასწავლო თემები, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით , დაგეგმილი ფესტივალები და სხვა სპორტრული თუ სკოლის საერთო ღონისძიებები , მასწავლებლების მიერ მოსწავლეებისათვის შეთავაზებული შესაქმნელი პროექტები და მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი დავალებები, იძლევა წარმოდგენას იმის შესახებ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი , რომ მოსწავლეებს აქვთ საშუალება აქტიურად ჩაერთონ შეთავაზებულ აქტივობებში, სპორტულ ფესტივალებსა თუ სხვა ღონისძიებში და გამოავლინონ საკუთარი მონებრივი, შემოქმედებითი და ფიზიკური უნარები. . ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**
- **ესთეტიკური აღზრდა**-სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ავტონომიურობა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. სკოლის პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, მოსწავლეებისათვის ხელშეწყობა ხდება იმ მიზნით, რომ ისინი ჩართულნი არიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესებში, ასევე საკმაოდ მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. ბავშვებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ სისტემატიურად ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება რისთვისაც სთავაზობენ ფორმალური თუ არაფორმალური ტიპის მრავალფეროვან აქტივობებს.

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო კათედრის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები კომპლექსურად მიუდგებიან სასწავლო პროცესს, შესაბამისად, 2023 – 2024 წლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) საბაზო საფეხურის კურიკულუმები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს ხელს. მოსწავლეებს ექნებათ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ მოხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება/რეალიზება.
- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-წარმოდგენილი კურიკულუმის საფუძველზე აშკარაა, რომ მოსწავლეთათვის შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლებს წარმოაჩინონ საკუთარი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ინიციატივები და მიგნებები. ახალი ინფორმაცია გაცნობისა და დამუშავების დროს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით განიხილოს. დააგროვონ, ან გაირღმავონ საკუთარი ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის გზით. გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით, როგორც წერილობით, ასევე დისკუსიების სახით.

2.2.1.2-ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

- **მათემატიკა**-მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებების პირობის ფორმულირების მნიშვნელოვანი პრინციპია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოიტანონ - სწორედ ეს იყო მიზანი კომპლექსური დავალებების შერჩევისა და განხორციელების დროს - მოსწავლეებმა გადაჭრან მათთვის ნაცნობი პრობლემა, რომელიც ამავდროულად აჩვენებს კავშირს ყოფა-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცხოვრებასთან, გააკეთონ ანალოგია, შექმნან საინტერესო პროდუქტი - ეს ყოველივე კი კონსტრუირებული იყოს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

- **სახელმწიფო ენა**-.კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობამ და მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სკოლა სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავს წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. კურიკულუმის თემატური დაგეგმვა, კომპლექსური დავალებების პირობაში ნაცნობი კონტექსტების შემოტანა და მასწავლებლების მიერ მოყვანილი მაგალითები პრაქტიკული გამოცდილებიდან ცხადყოფს, რომ ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- **უცხოური ენები**-კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის შესწავლიდან, ასევე გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას გააზრებული აქვს თემატური დაგეგმის მნიშვნელობა, ჩანს რომ თემების გაწერის დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი, მათი მზაობა და ინტერესები. ასევე შუალედური მიზნის დოკუმენტაციაში მოცემულია კონტექსტ მაგალითები, რომელიც საშუალებას იძლევა ნაცნობ კონტექსტზე დაყდრნობით მოსწავლემ მიიღოს ახალი ცოდნა და გამოცდილება. ზოგადად კომპლექსური დავალებების სპეციფიკა იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას და ამგვარი ტიპის დავალებები წარმოდგენილია მომავალი წლის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
- **სპორტი** - საგანში - ფიზიკურ აღზრდა და სპორტი , პედაგოგების თქმით (რაც აღნიშნულია თვითშეფასების ფორმაშიც), ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით იღებს და შეიმეცნებს ახალს. რაც გააადვილებს სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. პედგოგების მიერ აღწერილ სასწავლო პროცესი ჩანს მათ მიერ წარმოდგენილ , წინა სასწავწლო წლის გავლილი პრაქტიკიდან წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებშიც.. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

- **ესთეტიკური აღზრდა** -სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ამასთანავე, პედაგოგები ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში, იმისათვის, რომ მეხსიერებაში გაიზარდოს გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები.

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო კათერდის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებასა და მიღებული ინფორმაციის აქტიურ ცოდნად გარდაქმნის პროცესს
- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით ცხადია, რომ სასწავლო პროცესი მიზნად ისახავს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და მის ეტაპობრივად, ნაბიჯ - ნაბიჯ მიყვანას ახალ ცოდნამდე. კომპლექსური დავალების პირობები იმგვარადაა ფორმულირებული, რომ კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით.

2.2.1.3.- სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

- **მათემატიკა**-თვითშეფასების კითხვარითა და მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. დავალებების/თემის შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და გამოცდილებას. ზეპირი ფორმით ხდება შესრულებული დავალებების თვითრეფლექსია მოსწავლეების მიერ, ყურადღების გამახვილება კომპლექსური დავალებების საკვანძო შეკითხვებზე, მათი ინდივიდუალური გამოცდილების გაზიარება და სამუშაო პროცესის დაგეგმვისას ამის გათვალისწინება.
- **სახელმწიფო ენა**-წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (თემატური მატრიცა, კურიკულუმის ჩარჩო).კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამომდინარე ,შეიძლება ითქვას, მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამუშაოზე. მოსწავლის მიერ საკუთარი ნამუშევრის ანალიზი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება და სხვა, შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- **უცხოური ენები**-საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში შუალედურ სასწავლო მიზნად განიხილება კომპლექსური ტიპის დავალებები, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებასა და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას . კომპლექსური დავალებების კონტექსტ მაგალითები ხელს უწყობს მოსწავლეებში ნებელობის გაძლიერებასა და მათ დაინტერესებას. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკების ნიმუშები, თვითრეფლექსიის და სასწავლო პროცესის შეფასების საშუალებას იძლევა. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
- **სპორტი** - სკოლის თვითშეფასების ფორმიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური ხედვები, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. (აღნიშნული ცნობილია მასწავლებელთან გასაუბრების შედეგადაც) სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ არსებული ფიზიკური თვისებების განვითარების, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის გამოვლინებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში დანერგვისა და გამოყენების საშუალებას აძლევს. ინდიკატორი შესაბამისობაშია
- **ესთეტიკური აღზრდა**- სასწავლო პროცესში კეთდება აქცენტი სწავლის სწავლაზე. სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. მოსწავლე ჩართულია ისეთ აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო კათედრის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას და დავალებების პირობის გაწერას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი სწავლის სწავლაზეა აქცენტირებული. ყურადღება გამახვილებულია მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიაზე.

2.2.1.4-სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

- **მათემატიკა**-თვითშეფასების კითხვარიდან და გასაუბრებიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში შუალედურ სასწავლო მიზნებად ჩაშენებული კომპლექსური დავალებები ფარავს ცოდნის სამივე კატეგორიას. დავალებათა პირობები გაწერილია იმგვარად, რომ მოსწავლეებს სძენს ფაქტობრივ ცოდნას ამა თუ იმ საკითხზე, აძლევს საშუალებას ეს ცოდნა წარმოაჩინონ დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულ აქტივობებში და კომპლექსური დავალების პროდუქტის შექმნისას განახორციელებენ მიღებული ცოდნის ტრანსფერს.
- **სახელმწიფო ენა**-სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე.კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას,ინტერვიუს დროს კი აღნიშნეს ,რომ ისინი აძლევენ დავალებებს, სადაც მოსწავლეს უწევს ფაქტობრივი ცოდნის გამოყენება ,ასევე, მსჯელობა და ანალიზი , საკუთარი დასკვნების ჩამოყალიბება,ყურადღებას ამახვილებენ აქტივობებში,როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში .კათედრა გამოხატავს მზაობას, რომ იყოს ორიენტირებული ცოდნის სამივე კატეგორიაზე
- **უცხოური ენები**-კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტები თავისთავად ორიენტირებულია სამივე კატეგორიის ცოდნაზე და გულისხმობს ცოდნის კონსტრუირებას , აგებას ,მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას . წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებით და ინტერვიუზე დაყრდნობით დგინდება , რომ უცხოური ენების კათედრას აქვს გამოცდილება კომპლექსური ტიპის დავალებების შემუშავების და გამოყენების სწავლა-სწავლების პროცესში . შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებიდან, კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალებების იდეებიდან და განხორციელებული პროექტის ნიმუშიდან იკვეთება დეკლერატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის განვითარებაზე გაკეთებული აქცენტები და ჩანს კათედრის მზაობა . ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- **სპორტი** - სკოლის თვითშეფასებისფორმიდან ნათელია და პედაგოგებთან გასაუბრებისას აისახა, რომ, საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაყვანასა (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) და შესაბამისი უნარების განვითარებას. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებში ცოდნის მიღებას და განვითარებას მარტივიდან რთულისაკენ:. დასწყისში აცნობს თემას, აცნობს სახეობის წარმოშობის ისტორიას, უხსნის ტექნიკურ ელემენტებს და უჩვენებს თვითონვე, შემდგომ ამეორებინებს და თამაშში ჩართავს ნსწავლის განსამტკიცებლად. . მათ მიერ აღწერილი სასწავლო პროცესი ჩანს წინა წლის გავლილი პრაქტიკიდან წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებშიც.. ინდიკატორი **შესაბამისობაშია**
- **ესთეტიკური აღზრდა**-სასწავლო პროცესი ორიენტირებულია საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაზე. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ კომპლექსურ დავალებებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალური ტიპის აქტივობებში. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი პრაქტიკაში რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გადაწყვიტონ ესა თუ ის საკითხი.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო კათედრის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ რომ 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე, კერძოდ, მოსწავლეებს ექნებათ ცოდნის პრაქტიკაში, რეალურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობა
- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-წარმოდგენილი პროექტები მკაფიო დადასტურებაა იმისა, რომ სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. პედაგოგები ხელს უწყობენ მოსწავლეს საგნობრივი სასკითხების სირღმისეულად გააზრებაში, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაკავშირებაში. პროექტების განხორციელების დროს მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა.

2.2.1.5.- სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

- **მათემატიკა**-მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ხელს უწყობენ მოსწავლეებს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში, ამაში ეხმარება ცნებების, წესის ერთობლივად ჩამოყალიბება, კონსტრუქტივისტული მიდგომით გაკვეთილების ჩატარება, დამაზუსტებელი კითხვებით ახალი საკითხის მოსწავლეების მიერ დამოუკიდებლად გააზრების წახალისება. საკითხის სწავლების საჭიროების გამოკვეთა, საგანთაშორის კავშირის დანახვა.
- **სახელმწიფო ენა**-.საგნობრივი კურიკულუმის თემატური დაგეგმვა,კომპლექსური დავალებები გვიჩვენებს საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის რეალიზების გზას და არის ამავდროულად ის მთავარი კომპონენტი ,რომელიც იძლევა საშუალებას ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერდაკავშირების.მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას სასწავლო პროცესი დაგეგმონ ამ პრინციპების გათვალისწინებით.ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- **უცხოური ენები**-საბაზო საფეხურის კურიკულუმებში არის წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები.კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ყოველივე ეს გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. აქედან გამომდინარე ვთვლი ,რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია წარმოაჩენს კათედრის მზაობას დაგეგმოს და უზრუნველყოს ისეთი სასწავლო პროცესი ,სადაც მოსწავლეები შეძლებენ ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
- **სპორტი** - ფიზიკური აღზრდა და სპორტის საგნისთვის შედგენილი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ურთიერთდაკავშირებას.. შერჩეულ თემებზე დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, რომელშიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, განხორციელდება მომდევნო სასწავლო წლიდანაც და მათი სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

- **ესთეტიკური აღზრდა**-სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ამასთანავე, პედაგოგები ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში, იმისათვის, რომ მეხსიერებაში გაიზარდოს გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები. გარდა ამისა, უზრუნველყოფილია სწავლის სტრატეგიების დაუფლება, სწავლის პროცესში ეფექტური ხერხებისა და მიდგომების გამოყენება, რაც წარმატებული სწავლის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორებია.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო კათედრის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების ყველა კომპლექსური დავალება დაიგეგმება ისე, რომ გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება
- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-კომპლექსური დავალებებით სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეებში საგნობრივი საკითხების სირღმისეულ გააზრებას, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, ვინაიდან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე. ის ყოველივე კი თავითავად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას.. გასაუბრების დროს კატედრამ დაადასტურა, რომ ახალი სასწავლო წელის სწორედ ამგვარ პრინციპებზე დაყრდნობით შექმნილი კომპლექსურები იქნებოდა შეტანილი კურიკულუმში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმი
2. კომპლექსური დავალებები
3. სასწავლო პროექტები
4. თემატური მატრიცა
5. სტატუსუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.2.1.-სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

- **მათემატიკა**-თვითშეფასების კითხვარისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით - მიმდინარე სასწავლო წელს მათემატიკაში განახორციელეს 1-2 კომპლექსური დავალება, შესაბამისად აქცენტი გაკეთდა მკვიდრ წარმოდგენებზე. პედაგოგები ორიენტირებული არიან,, რომ თემის ფარგლებში საკითხებზე დაყრდნობით გაითავისონ მოსწავლეებმა სამიზნე ცნება და მკვიდრი წარმოდგენები. 2023-2024 სასწავლო წლიდან შუალედური სასწავლო მიზნები მკაფიოდ იქნება განსაზღვრული გრძელვადიან (საფეხურის) სასწავლო მიზნებზე. 2023-2024 სასწავლო წლისთვის კურიკულუმის ჩარჩოები მესამე თაობის ესგ სტანდარტის შესაბამისად არის შემუშავებული, ასევე შემუშავდება შეფასების რუბრიკები, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება გაითავისოს სამიზნე ცნება და მისი მკვიდრი წარმოდგენები საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. განსაკუთრებით VIII-IX კლასების კურიკულუმის ჩარჩოში მკაფიოდაა გამახვილებული ყურადღება შუალედური სასწავლო მიზნების მიზანმიმართულ დაგეგმარება.
- **სახელმწიფო ენა**-.სასწავლო პროცესი, კურიკულუმის შესაბამისად, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. შესაბამისად, სკოლამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოთქვა მზაობა, რომ გააგრძელებენ ამ პრინციპით კურიკულუმის განვითარებას.სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ ამ კრიტერიუმს.

- **უცხოური ენები**-სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილ მასალაში ჩანს, რომ პედაგოგებს აქვთ გააზრებული სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების საგნობრივ საკითხებთან მიმართება. კურიკულუმის ჩარჩოებში არ არის გაწერილი მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებებიც რიგ შემთხვევაში ზოგადად აქვთ გაწერილი, მაგრამ მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა , რომ მათ აქვთ გააზრებული აღნიშნული საკითხი და კურიკულუმებს დახვეწავენ ქვეცნებების ,მკვიდრი წარმოდგენების, კონტექსტ მაგალითების თვალსაზრისით და მოსწავლეებთან მუშაობისას აუცილებლად გაითვალისწინებენ მათ ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებაში. სკოლას აქვს მზაობა ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმების სრულყოფისთვის.
- **სპორტი** გასაუბრებით, ჩანს და შედგენილი კურიკულუმებიც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებთან; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, დავალების პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება მასწავლებლის დახმარებით.. აღნიშნული პროცესი გათვალისწინებულია სამიზნე ცნებებზე სამუშაოდ და შედეგზე გასასვლელად. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა-მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ სავალდებულო თემატურ ბლოკებს, საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება მარტივიდან რთულისკენ, ნაცნობიდან უცნობისკენ განვითარების პრინციპით. აღნიშნული პროცესი ბავშვს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში და გრძელვადიავი მიზნების მიღწევაში.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) ყველა კლასის (VII, VIII, IX) კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც მეტწილად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თუმცა არის რიგი რჩევები, რომლებიც სასურველია, რომ გაითვალისწინოს სკოლამ :

ფიზიკის VII კლასის კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით რჩევის სახით შეიძლება აღინიშნოს:

I თემის (ნივთიერების აგებულება და მისი ფიზიკური თვისებები) თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნებების - ,,ენერგია და ფიზიკური პროცესი" დამუშავების პროცესი ნაკლებად იკვეთება. პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია ძირითადი კონტექსტ - მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, სამიზნე ცნებები/ქვეცნებები და სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის, სასურველია, ჩანდეს განსაზღვრული მაგალითები შედარებისთვის

II თემის (თანაბარი და არათანაბარი მოძრაობა) თემის ფარგლებში სასურველია დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნებები - ,,მატერია, ენერგია და ძალა" დამუშავების პროცესი ნაკლებად იკვეთება.

III თემის (ძალა და წნევა) თემის ფარგლებში დამუშავდეს სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნების- ,,ენერგია „ დამუშავების პროცესი ნაკლებად იკვეთება. პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია ძირითადი კონტექსტ - მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, სამიზნე ცნებები/ქვეცნებები და სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის, სასურველია, ჩანდეს განსაზღვრული მაგალითები შედარებისთვის

ფიზიკის VIII კლასის კურიკულუმის ჩარჩოს დამუშავებისას რჩევის სახით შეიძლება აღინიშნოს:

I თემის (მექანიკური მოვლენები) თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნებების - ,, მატერია და ფიზიკური პროცესი" დამუშავება ნაკლებად იკვეთება; პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია ძირითადი კონტექსტ - მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, სამიზნე ცნებები/ქვეცნებები და სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის, სასურველია განსაზღვრული იყოს მაგალითები შედარებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II თემის (სითბური მოვლენები) თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნების- „ძალა“ დამუშავების პროცესი ნაკლებად იკვეთება. პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია ძირითადი კონტექსტ - მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, სამიზნე ცნებები/ქვეცნებები და სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის, სასურველია განსაზღვრული იყოს მაგალითები შედარებისთვის

ფიზიკის IX კლასის კურიკულუმის ჩარჩოს დამუშავების პროცესში რჩევის სახით შეიძლება აღინიშნოს:

I თემის (თანაბარი და აჩქარებული მოძრაობა) კურიკულუმის ჩარჩოში თემა მიეთითოს სიზუსტით, წერია ,,აჩქარებული მოძრაობა“ და უნდა ეწეროს ,,თანაბარი და აჩქარებული მოძრაობა“ (სტანდარტის მიხედვით), თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნებების - ,,მატერია, ენერგია და ძალა „ დამუშავება ნაკლებად იკვეთება

II თემის (სტატიკა და დინამიკა) თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნების -- ,,მატერია“ დამუშავება ნაკლებად იკვეთება; პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია ძირითადი კონტექსტ - მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, სამიზნე ცნებები/ქვეცნებები და სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის, სასურველია, რომ იყოს განსაზღვრული მაგალითები შედარებისთვის

ბიოლოგიის IX კლასის კურიკულუმის ჩარჩოს დამუშავების პროცესში რჩევის სახით შეიძლება აღინიშნოს:

I თემის (ადამიანის მარეგულირებელი სისტემები) პირველ ძირითად საკითხთან არის მითითებული სასწავლო რესურსები - „ვიდეორგოლი ენდოკრინულ და ეგზოკრინულ ჯირკვლებზე“ და „სტატია საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებულ ენდოკრინულ დაავადებებზე“ , სასურველია იქვე მიეთითოს ელექტრონული მისამართები, ასევეა მეორე ძირითად საკითხთან მითითებულ სასწავლო რესურსების - „ვიდეორგოლი: ნერვული ქსოვილი, ნეირომედიატორები“, „ვიდეორგოლი: ცენტრალური ნერვული სისტემა“ და „ვიდეორგოლი: ნერვული სისტემის ნაწილები“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II თემის (ადამიანის შეგრძნების ორგანოები) კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული თემა -,,შეგრძნების ორგანოები" მიეთითოს სტანდარტის მიხედვით-- ,,ადამიანის შეგრძნების ორგანოები" .

პირველ ძირითად საკითხთან არის მითითებული სასწავლო რესურსები - „საინფორმაციო ტექსტი თვალი-მხედველობის ორგანო", „საინფორმაციო ტექსტი", რას აღიქვამს თვალი და რას არა", „ვიდეორგოლი თვალი" და „სტატია-თვალის აგებულება და ფუნქციები" , სასურველია იქვე მიეთითოს ელ-მისამართები, ასევეა მეორე ძირითად საკითხთან მითითებულ სასწავლო რესურსებთან - „საინფორმაციო ტექსტი- ხმაურის დასაშვები ზღვრული დონე", „საინფორმაციო ტესქტი-ექიმ აუდიოლოგ-თამილა შაშიაშვილთან", „ვიდეო- ანალიზატორი" და „საინფორმაციო ტექსტი პრევენციის გზები" და მესამე ძირითად საკითხთან მითითებულ სასწავლო რესურსებთან - „ვიდეო-კანის ანატომია", „საინფორმაციო ტექსტი კანის დამწვრობა", „საინფორმაციო ტექსტი

რუჯი" და „როგორ გადავურჩეთ დამწვრობას?".

III თემის (ადამიანის რეპროდუქციული სისტემა და ჯანმრთლეობა) კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული თემა ,, რეპროდუქციული სისტემა და ჯანმრთლეობა „ ჩასწორდეს სტანდარტის მიხედვით --,,ადამიანის რეპროდუქციული სისტემა და ჯანმრთლეობა"

პირველ ძირითად საკითხთან მითითებულ სასწავლო რესურსებს - „საინფორმაციო ტექსტი თვალი-მხედველობის ორგანო", „საინფორმაციო ტექსტი, რას აღიქვამს თვალი და რას არა", „ვიდეორგოლი თვალი" და „სტატია-თვალის აგებულება და ფუნქციები" სასურველია , რომ იქვე მიეთითოს ელექტრონული მისამართები, ასევეა მეორე ძირითად საკითხთან მითითებულ სასწავლო რესურსებტან - „ტელე-სკოლის გაკვეთილები", „საინფორმაციო ტექსტები: გამრავლების მნიშვნელობა და სასქესო ჰორმონები" და „საინფორმაციო ტექსტი რეპროდუქციული სისტემის დაავადებები".

მეორე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა, სამიზნე ცნებები/ქვეცნებები და სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის, სასურველია იქვე დაემატოს განსაზღვრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ძირითადი კონტექსტ - მაგალითი და მაგალითები შედარებისთვის, ამავდროულად, კომპლექსური დავალების იდეაში წერია - „ელექტრული პრეზენტაციისას ხასგასმით წარმოაჩინე: როგორ არღვევს რეპროდუქციულ ჯანმრთელობას ნაადრევი ქორწინება და წარუდგინე კლასელებს“, სასურველია აქვე აღინიშნოს რომელ შემოქმედებით პროდუქტზეა საუბარი, რადგან ელექტრონული პრეზენტაცია თავის თავში აერთიანებს პოსტერს, ბუკლეტს, კომიქსს...და ა.შ. ამიტომ, მნიშვნელოვანია დაკონკრეტება.

IV **თემის (უჯრედის მეტაბოლიზმი)** პირველ ძირითად საკითხთან არის მითითებული სასწავლო რესურსები - „ტელე-სკოლის გაკვეთილები“ და „მულტიმედიური რესურსები“, მეორე ძირითად საკითხთან არის მითითებული სასწავლო რესურსები - „ტელე-სკოლის გაკვეთილები“ და „მულტიმედიური რესურსები “, სასურველია,რომ მათ იქვე მიეთითოს ელექტონული მისამართები.

V **თემის (სახეობა და პოპულაცია)** პირველ ძირითად საკითხთან არის მითითებული სასწავლო რესურსები - „ტელე-სკოლის გაკვეთილები“ და „მულტიმედიური რესურსები“, მეორე ძირითად საკითხთან არის მითითებული სასწავლო რესურსები - „ტელე-სკოლის გაკვეთილები“ და „მულტიმედიური რესურსები “, მესამე ძირითად საკითხთან არის მითითებული სასწავლო რესურსები - „ტელე-სკოლის გაკვეთილები“ და „მულტიმედიური რესურსები “, იქვე მიეთითოს ელექტრონული მისამართები.

მოწოდებული კურიკულუმებიდან მხოლოდ ფიზიკაში არის განსაზღვრული, თუ რომელი ძირითადი კონტექსტ - მაგალითებით იმუშავებენ 2023 – 2024 სასწავლო წელს, ქიმიისა და ბიოლოგიის კურიკულუმის ჩარჩოში სასურველია უკვე განსაზღვრული იყოს ძირითადადი კონტექსტ - მაგალითი, და შეაბამისად, ამ ეტაპზე მკაფიო არ არის თუ რომელი ძირითადი კონტექსტ - მაგალითებით იმუშავენებ 2023 – 2024 სასწავლო წელს ქიმიასა და ბიოლოგიაში)

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმი შექმნილია იმგვარად, რომ მოსწავლეს მეხსიერებაში ხანგრძლივად, მკვიდრი წარმოდგენებს სახით დარჩეს ის ნასწავლი ინფორმაცია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომელზეც მან სიღრმისეულად იმუშავა. მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და საკვანძო შეკითხვებს შორის

2.2.2.2.- საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

- **მათემატიკა**- მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მოსწავლეებს სთავაზობენ კომპლექსურ დავალებებს ისეთ თემებზე, რომლებიც მათ პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს.
- **სახელმწიფო ენა**-გასაუბრების შედეგად გამოვლინდა,რომ მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებაზე,აღნიშნეს, რომ გეგმავენ აქტივობებს და სთავაზობენ ისეთ დავალებებს, რითაც აძლევენ მოსწავლეს საშუალებას ამოიცნონ საკუთარი ღირებულებები,ძლიერი და სუსტი მხარეები,მართონ საკუთარი ემოციები.კათედრა გამოხატავს მზაობას იმუშაოს ამ მიმართულებით და გაითვალისწინოს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას.
- **უცხოური ენები**-სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა პიროვნული და ინდივიდუალური შესაძლებლობების წარმოჩენაზე რაც დგინდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. ერთწლიან სასწავლო გეგმაში და უცხოური ენების კათედრის მიერ მოწოდებულ სამოქმედო გეგმაში გაწერილია ისეთი აქტივებების დაგეგმვა,განხორციელება როგორიცაა პროექტები, კლუბები, ოლიმპიადები,მიზნობრივი ექსკურსიები რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი თემები, საკითხები ,კომპლექსური დავალებების იდეები ითვალისწინებს მოსწავლეების თანამშრომლობით მუშაობას, თვითშეფასებას ,ურთიერთშეფასებას, პიროვნულ ზრდას. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
- **სპორტი** - საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;, მასწავლებლის მიერ შეთავაზებული აქტივობები და რესურსი (ასევეე კურიკულუმსი თანდართული ჰიპერლინკები, სადაც წარმოდგენილია სპორტის შესაბამისი სახეობის წარმოშობის ისტორია) , არაფორმალურ განათლებაში ჩართულობა,. კურილულემებში გაწერილ თემების მიხედვით, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ კეთილდღეობას. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

- **ესთეტიკური აღზრდა**-საგნობრივი კონტექტები შერჩეულია იმგვარად, რომ ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მათში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, მზაობა და ასაკობრივი თავისებურებები. სკოლაში განხორციელებული აქტივობები ფორმალური თუ არაფორმალური მიმართულებით: კომპლექსური დავალებები,პროექტები. მომავალში სკოლას აქვს მზაობა მეტად დახვეწოს გაამრავალფეროვნოს არაფორმალური ტიპის აქტივობები რათა ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თვითცნობიერების, თვითრეგულაციის, სოციო-ემოციური და საკომუნიკაციო უნარების განვითარებას.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“.
- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთათვის დავალების შექმნის დროს გათვალისწინებულია მოსწავლის განწყობა და მზაობა თემის მიმართ. რაც საშუალებას აძლევს მას დააფიქროს საკუთარ აზრებზე, ინტერესებსა და გრძნობებზე, ემოციების გამოხატვისას გაითვალისწინოს საზოგადოებისთვის მისაღები ფორმები, შეძლოს თანამშრომლობა , სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებთან გამკლავება, პრობლემის ეფექტურად გადაჭრა.

2.2.2.3.-. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

- **მათემატიკა**- თვითშეფასების კითხვარიდან ჩანს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **სახელმწიფო ენა**-მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მიმართეევენ თვითშეფასებას,ურთიერთშეფასებას.. მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა; შესაბამისად, გამოხატეს მზაობა იმუშაონ ამ პრინციპით და გაამახვილონ ყურადღება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში. ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- **უცხოური ენები**-კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში და სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს სკოლის სწორი ხედვა შეფასების სისტემის თვალსაზრისით. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ამ ეტაპისთვის არ არის ჩაშენებული და არ ჩანს შეფასების პრაქტიკული ნიმუშები, ხერხები, სტრატეგიები, რუბრიკები , თუმცა , რადგან აღნიშნული კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების მართებული იდეები და კათედრასთან გასაუბრებისას მასწავლებლებმა წარმოაჩინეს გამოცდილება , ცოდნა განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასებების კუთხით, ვთვლი ,რომ უცხოური ენების კათედრა გამოხატავს მზაობას გამოიყენოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასების აუცილებელი კომპონენტები : დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით (ჰოლისტური) და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულ დონეებს. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
- **სპორტი** - სკოლის მიერ შექმილი და წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის საგნისთვის, თემების მიხედვით, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტით გაწერილ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან და გათვლილია მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებაზე, პედაგოგების თქმით, ისინი ხშირად იყენებებ საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას.. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**
- **ესთეტიკური აღზრდა**-შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეს საკუთარი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. განმავითარებელი შეფასების სისტემატიური გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს უნარების დახვეწაში სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავების გზით. მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარებით, მშობელი მუდმივად იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მისი შვილის განვითარებასა და საკუთარი სწავლის მნიშვნელობის გაცნობიერების წინაპირობაა.სამომავლოდ სკოლას აქვს მზაობა მეტად დახვეწოს მოსწავლეთა შეფასება სადიაგნოსტიკო წერების ანალიზის საფუძველზე.

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებს გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, შექმნილი აქვთ როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (ქიმია). საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგები 20203 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსურ დავალებას შეაფასებენ განმავითარებელი შეფასების საშუალებით, შეიმუშავებენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს საბაზო საფეხურის სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემებთან მიმართებით, აწარმოებენ მოსწავლეთა დაკვირვებას, მოახდენენ დიაგნოსტიკური წერის ანალიზს

2.2.2.4.- შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

- **მათემატიკა**-მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლის დონეზე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; მოსწავლეები შეფასებამდე იცნობენ შეფასების რუბრიკებს, განმსაზღვრელი შეფასების დროს მკაფიოდ ხდება კრიტერიუმების განსაზღვრა, რომ მოსწავლეს არ ჰქონდეს უსამართლობის განცდა. ამ ეტაპზე სკოლა იყენებს განსაზღვრელ და განმავიტარებელ შეფასებების რუბრიკებს, განმავითარებელი შეფასება ზეპირი უკუკავშირის ფორმით ხდება, მაგრამ განმსაზღვრელი შეფასებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრის ფარგლებში შემუშავებულია რუბრიკები, რომელიც შეესაბამება სტანდარტის შედეგებს, თუმცა დახვეწას საჭიროებს მესამე თაობის ესგ-თან შესაბამისობისთვის. 2023 წლის სექტემბრამდე იგეგმება ყველა თემაზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შემუშავება.

- **სახელმწიფო ენა**-ენა-წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, სკოლაში მოსწავლეთა შეფსება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას.შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები. .შეფასების ინდიკატორებს მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს და განიხილავენ მათთან ერთად.კათედრა ს აქვს მზაობა შექმნას ისეთი შეფასების სისტემა, რომელიც იქნება სანდო,ვალიდური და გამჭვირვალე.
- **უცხოური ენები**-სკოლაში არსებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. საბაზო საფეხურზე გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებები . სკოლას სასწავლო გეგმაში პუნქტობრივად აქვს გაწერილი შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები.უცხოური ენების კათედრამ წარმოადგინა პრეზენტაციის და ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკის ნიმუშები და მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ აქვთ მზაობა სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყონ შეფასების რუბრიკების შემუშავება . ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
- **სპორტი** -მასწავლებლები ფლობენ და იყენებენ პრაქტიკაში შეფასების რამოდენიმე ინსტრუმენტს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს. გასაუბრების დროს გამოიკვეთა (და თვითშეფასების ფორმაც ადასტურებს), რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდის შეფასების სისტემის დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**
- **ესთეტიკური აღზრდა**-სკოლაში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. მოსწავლეთათვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების რუბრიკები, რომელიც მათი ჩართულობით მუშავდება. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მისი განუყოფელი ნაწილია. გასაუბრების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგად დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა სამომავლოდ კიდევ უფრო მეტად დახვეწოს შეფასების სისტემა მოსწავლეათვის წერილობითი განმავითარებელი კომენტარის შემოღებით და შეფასების რუბრიკერბის დახვეწით.

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი; სკოლაში საბაზო საფეხურის სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში იმოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი 10 - ქულიანი შეფასების სისტემა

2.2.2.5.- სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ხდება კათედრების დონეზე, ამ ეტაპზე შეფასების რუბრიკები გამოიყენებოდა პედაგოგების მიერ გაწერილი, კონკრეტული საკითხების ერთობლიობაზე მორგებული, რიგ შემთხვევაში თემის ფარგლებშიც. ავტორიზაციის განაცხადის შევსების პერიოდში, 2023 წლის სექტემბრამდე იგეგმება ყველა თემაზე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შემუშავება. მასწავლებელთა გასაუბრებიდან ისიც გამოიკვეთა, რომ ისინი აანალიზებენ მოსწავლეთა ნაშრომებს და აქვთ მიზნიდან გამომდირე, რუბრიკების ერთობლივად შექმნის გამოცდილება..შეიძლება ითქვას, რომ საგნობრივ კათედრებს აქვთ მზაობა გააგრძელონ მუშაობა ვერიფიკაციის მექანიზმის დახვეწა-განვითრებაზე.

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის აკადემიური მიღწევის სისტემა და აღწერს შეფასების მიზნებს , ამოცანებს, ხერხებს. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, სადაც ვკითხულობთ ,რომ სტრატეგიული დაგეგმვის ერთერთი პროცესია ინფორმაციის შეგროვება,კვლევა, ანალიზი (SWOT),სამოქმედო/სტრატეგიული გეგმების მონიტორინგი და შეფასება . პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად ნათელია და სკოლის თვითშეფასების განაცხადის ნარატივშიც ჩანს, რომ წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოქმედ სტანდარტებთან. სკოლა გეგმავს სასკოლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები აქციოს წერილობით დოკუმენტადაც.

სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის როგორც გარე, ასევე შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი. შიდა მექანიზმად მოიაზრება სკოლაში ჩატარებული კონკურსების შედეგები, გარე მექანიზმებად კი სხვადასხვა ოლიპიადებსა და კონკურსებში მიღწეული მოსწავლეთა შედეგები.

2.2.2.6.-- სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

აღნიშნული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები მოსწავლეთა ნამუშევრების სახით სკოლაში ინახება კანონის შესაბამისი ვადით. მომავალი წლიდან ეს ნამუშევრები შეინახება არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლას აქვს პრაქტიკა, რომ საგნობრივ კათედრაზე მასწავლებლებმა განიხილონ შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზის ამსახველი ანგარიშები. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კათედრის წევრებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღიცხვა და შენახვა, ასევე ინფორმაციას ასახავენ მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. საბაზო საფეხურის რამდენიმე მოსწავლის პირადი საქმეების დათვალიერების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ თითოეული კლასის მიხედვით წლიური შედეგები საგნების მიხედვით ასახულია კლასების მითიტებით, დადასტურებულია დამრიგებელთა ხელმოწერებით, სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის ნომრის, თარიღის მითითებითა და სკოლის ბეჭდის დამოწმებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.კურიკულუმი

2.შეფასების რუბრიკები

3.კომპლექსური დავალებები

4. სასკოლო სასწავლო გეგმა;

5.სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

6. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.3.1.- სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

- **სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნებს.**

სკოლაში შექმნილია შექმნილია ღია და მომღებლობითი გარემო. განხორციელებული პროექტები უზრუნველყოფს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტურებას. როგორც მასწავლებელთა შეხვედრაზე გაირკვა, სასწავლო პროცესში ინტენსიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან მასწავლებლები და მოსწავლეები. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან. კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავგენ გაკვეთილებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით.
სკოლის შენობა ადაპტირებულია შშმ და სსსმ საჭიროებებზე. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ყველა ის საჭირო სივრცე, რომელიც სრულ ადაპტაციას უზრუნველყოფს შშმ და სსსმ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. სკოლას აქვს ყველა სათანადო საჭირო მასალებით აღჭურვილი რესურსოთახი და ჰყავს სპეციალური მასწავლებლები, რომლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა მათი მაღალი მოტივაცია, საქმისადმი პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება. საკლასო ოთახებში შექმნილია პოზიტიური გარემო,სადაც მოსწავლე/მოსწავლეები თავს იგრძნობენ კომფორტულად. სკოლაში შექმნილია ისგ ჯგუფები და თითოეულ საგანში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ეთნიკური,რელიგიური კუთვნილების მქონე მოსწავლეთა ინტერესებს. ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობათა დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა კულტურული თავისებურებანი. იგეგმება ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლებიც უფრო მეტად შეუწყობს ხელს თანამშრომლობით ურთიერთობებს, პრობლემაზე ორიენტირებულ კომუნიკაციას.

2.2.3.2.- სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები და კურიკულუმების შედგენის მეთოდოლოგია, მასალების ანალიზი და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება მოსწავლეების საჭიროებებზე, შესაძლებლობებზე, ინტერესებზე დაფუძნებით. პროცესი მიმდინარეობს მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით, მასწავლებელი ფასილიტაციის პროცესში გეზს აძლევს მათ, რის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგადაც მოსწავლეები ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს,მონაწილეობენ ოლიმპიადებში, კონფერენციებში, წარმატებით ახორციელებენ კომპლექსურ დავალებებს და ა შ. სკოლა თვითშეფასების კითხვარში აღწერს, რომ მოსწავლეები სწავლის პროცესში არიან სუბიექტები და ისინი სწავლობენ საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მათთვის ნაცნობი კონტექსტების გამოყენებით. სხვადასხვა სახის ღონისძიებები, ოლიმპიადები, კონკურსები, კონფერენციები, დიაგნოსტიკური წერები და მათზე მიცემული განმავითარებელი უკუკავშირები მოსწავლეებს აძლევს მოტივაციისა და წინსვლის საშუალებას.

მათემატიკა-თვითშეფასების კითხვარისა და მასწავლებლების ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს. ძირითად შემთხვევაში ერთობლივად არჩევთ კომპლექსურ დავალებას, ითვალისწინებენ მშობლების ზეპირ უკუკავშირს/მოსაზრებებს, თუმცა ამას არ აქვს გარკვეული ფორმა. მომდევნო სასწავლო წლისთვის იგეგმება კომპლექსური დავალებები შეირჩეს მოსწავლეების მიერ - მოსწავლეები შეარჩევენ თუ რომელ თემაზე ისურვებენ კომპლექსური დავალებების განხორციელებას., მათი სურვილიდან გამომდინარე ჩაერთვებიან ამ პროცესში მშობლებიც.

სახელმწიფო ენა-წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა,რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეებზე,მასწავლებლები იკვლევენ ეტაპობრივად მოსწავლეთა საჭიროებებს. ხდება პერიოდული გამოკითხვები(კითხვარი მშობლებს მოსწავლეებს), რომლის ანალიზის შედეგებს ითვალისწინებენ საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას.

უცხოური ენები-კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თუ ის განხორციელებული პროექტები, რომლებზეც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, ნამდვილად გვაძლევს იმის დასკვნის საშუალებას,რომ სასწავლო პროცესი მაქსიმალურად ორიენტირებულია მოსწავლეებზე. სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, ფიზიკურ, ფსიქიკურ მახასიათებლებს, ემოციურ ინტელექტს. სასწავლო გარემო არის პოზიტიური, მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

სპორტი - სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელშიც ასახულია მოსწავლეზე ორიენტირებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო გარემო. . ფიზიკური აღზრდის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ აქტივობებში, არაფორმალური განატლების ღონისძიებებში, სპორტუყლ ოლიმპიადებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებზეა მორგებული. ამის ასახავს სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ფოტო მასალა და მოსწავლების სეტიფიკატებიც.

ესთეტიკური აღზრდა-სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. ხელს უწყობენ მოსწავლეებში ძლიერი მხარეების წარმოჩენაში და ყურადღება გაამახვილონ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესს გეგმავენ დიფერენცირებული მიდგომებითა და სწავლების უნივერსალური დიზაინის გათვალისწინებით. ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში,ზრუნავენ ბავშვების ყოველდღიურ განვითარებაზე.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს ძლიერი მხარეების გამოვლენასა და განვითარებას, ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში

2.2.3.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ზოგადად სკოლაში არსებული სოციალური ურთიერთობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სასწავლო პროცესის ხარისხზე. როგორც სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, თანამშრომლობითი კულტურა ურთიერთობის ის ფორმაა, რომელიც არსებით გავლენას ახდენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნაზე. სკოლის თანამშრომლები თავისი შესაძლებლობისა და კვალიფიკაციის ფარგლებში ცდილობენ ერთობლივად იზრუნონ მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე. როგორც აღნიშნეს, პროცესი ფრაგმენტული ხასიათიდან ნელ-ნელა გადადის საერთო სასკოლო კულტურის არსებით ნაწილში. თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერების კონტექსტში სკოლა მნიშვნელოვან როლს ანიჭებს ე.წ. ,, მილენიუმის პროექტის „ ფარგლებში ჩატარებულ ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომლობითი კულტურის მნიშვნელოვან გამოხატულებად დასახელდა კურიკულუმებზე ერთობლივად მუშაობისა და და მის დანერგვაზე გაზიარებული პასუხისმგებლობის გადანაწილების აქტივობები, ასევე თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას ხელს უწყობს საგნობრივ კათედრებზე კომპლექსური დავალებების ერთობლივი დაგეგმვა, სასწავლო და სასკოლო პროექტები.

2.2.3.4.- უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე;

აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში(ერთწლიანი სასწავლო გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი) წარმოდგენილი მიზნები, აქტივობები, კულტურა, საგნობრივი კათედრების ფუნქციები, დამრიგებლების ფუნქციები და ა.შ. ზოგადად წარმოჩენს ამ კუთხით სკოლის მზაობას და განაპირობებს სკოლაში კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს. საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებთან გასაუბრებამ წარმოაჩინა მასწავლებლების პოზიტიური დამოკიდებულება, ურთიერთპატივისცემა და თანადგომა .როგორც სკოლის მასწავლებლებლებთან და სტრუქტურულ ერთეულებთან საუბრისას გამოიკვეთა, სკოლის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. ყურადღებიანი, ემპათიური და მეგობრული მასწავლებელი დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე. მასწავლებელი მოსწავლეს ხედავს როგორც ინდივიდს თავისი საჭიროებით, სურვილებითა და ინტერესებით. მოსწავლეს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი და დასვას მისთვის საინტერესო კითხვები. სასწავლო პროცესში მოსწავლეები და მასწავლებლები აქტიურად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომლობენ ერთმანეთთან. როგორც აღნიშნეს, როდესაც საუბრობენ პოზიტიურ საკლასო გარემოზე, ითვალისწინებენ სასკოლო გარემოსაც, რადგან ისინი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. სკოლა ცდილობს შემქნას პოზიტიური ფიზიკური გარემო, მოსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი რესურსები და დაამკვიდროს ურთიერთობის ჯანსაღი წესები კეთილგანწყობილი, მზრუნველი ატმოსფეროს შესაქმნელად.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. სკოლის შინაგანაწესი;
3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
4. კათედრის სხდომის ოქმი;
5. კურიკულუმები;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.1.1.- მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რადგან კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში წამოდგენილია სასკოლო კურიკულუმის განვითარების ძირითადი პროცესები და ეტაპები. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ, რომ სკოლა , ყოველი განსაზღვრული პერიოდისათვის, გეგმავს, შეიმუშავებს ყოველწლიურ სამუშაო გეგმას - ახორციელებს მონიტორინგს და შეფასებას მის შესრულებაზე. სკოლას აგრეთვე აქვს წარმოდგენილი სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომლის მიზანია სწავლა-სწავლებისა და მართვის პროცესების შეფასების, გაუმჯობესების და დაწესებულების მდგრადი განვითარება. გარდა ამისა, კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს,რომ კათედრის წარმომადგენლები განიხილავენ მიღწეულ შედეგებს, აჯამებენ, აანალიზებენ სასწავლო პროცესს, რასაც ითვალისწინებენ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავებაში.
მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სკოლა მომავალი სასწავლო წელს მონიტორინგისა და შეფასების აქტივობების დაწყებამდე განავითარებს მეთოდოლოგიურ ჩარჩოს, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი ნაბიჯები და აქტივობები კურიკულუმსა და სწავლა-სწვალების პროცესის გაუმჯობესებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3.1.2. --მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

აღნიშნულ **კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.** წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებელთა ინტერვიუდან ირკვევა, რომ მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე ხდება საჭიროებების გამოკვეთა, რაც ორიენტირებულია მოსწავლე-მასწავლებელთა მხარდაჭერაზე.მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლებს შეუძლიათ შეაფასონ მოსწავლის სწავლის პროცესი, დაადგინონ ის სფეროები და უნარები, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, მისცენ უკუკავშირი და მიგნებების გათვალისწინებით დაგეგმონ სწავლის პროცესი. ასევე მასწავლებლებს და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებსაც, შეუძლიათ შეფასონ საკუთარი მუშაობის პროცესი და მოძებნონ გამოსავალი გამოწვევებზე. __2022-2023 სასწავლო წლის მანძილზე სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებისათვის სკოლა დაეყრდნო მოსწავლეთა შედეგებს და სკოლის საჭიროებების დიაგნოსტირების საფუძველზე შეაფასა სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში სკოლა ასახავს კურიკულუმის ძლიერ და სუსტ მხარეებს, გამოიკვეთება ხელისშემშლელი ფაქტორები და დაიგეგმება ცვლილებები კურიკულუმის შედეგიანად განხორციელებისათვის. საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებთან საუბრისას გამოიკვეთა , რომ კათედრების შექმნიან კომპლექსური დავალებების შეფასებისა და მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის შესამოწმებელ რუბრიკებს. სამომავლოდ უფრო მასშტაბურად და სისტემურად იგეგმება დიაგნოსტიკური კვლევების მეთოდების გამოყენების გზით კურიკულუმის დანერგვის/ მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგი. მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს სკოლა აუცილებლად გაითვალისწინებს და შესაბამის ცვლილებებს შეიტანს 2023-2024 სასწავლო წლისთვის დაგეგმილ კურიკულუმებში, ინფორმაციას, დაგეგმილ სიახლეებს გააზიარებს სასკოლო საზოგადოების წინაშე.

2.3.1.3.-- მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

აღნიშნულ **კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგისა და შეფასებისას პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ, სასკოლო საზოგადოება გეგმავს კონკრეტული მიზნებისათვის განსაზღვროს პასუხისმგებელი სტრუქტურები. **სამომავლოდ უმჯობესი იქნება სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები.** ამას ისინი განახორციელენ სადიაგნისტიკო შეფასების ინსტრუმეტის შეთავაზებული ვარიანტებიდან ერთ-ერთი არჩეული ინსტრუმენტის გამოყენებით 2022-2023 სასწავლო წლის ბოლოს განხორციელებული მონიტორინგი კათედრებისა და მასში შემავალი წევრი მასწავლებლების საქმიანობების დონეზე იძლევა შესაძლებლობას გამოიკვეთოს სკოლის საჭიროებები და სწორად განისაზღვროს წინსვლისთვის შემდგომი ნაბიჯები, რომლებიც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალებაა. სკოლა გეგმავს შიდა-სასკოლო სადიაგნოსტიკო წერების შედეგებთან შედარებას კათედრის დონეზე. რითაც განსაზღვრული აქვს, რომ შეძლებს ფართო ჭრილში დაინახოს მიგნებები და გამოწვევები, შემდეგ კი დაგეგმოს ინტერვენციები. განხორციელებულმა მონიტორინგმა მისცა ინფორმაცია სკოლას პროცესის შედეგიანობის შესაფასებლად. სკოლა მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე კურიკულუმის დანერგვის პროცესი გარკვეული ხარვეზებით მიმდინარეობს და მნიშვნელოვანია მასში მიზნობრივად სწორი ცვლილებების შეტანა. კონკრეტულად საჭიროებათა დამატებით კვლევა და ამ კვლევის შედეგად გამოვლენილ შედეგებზე რეაგირება, გამკლავება. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
3. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.2.1.-- შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

აღნიშნულ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.** შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა(განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. მიმდინარე განმავითარებელი შეფასების სისტემატური გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს უნარების დახვეწაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავების გზით. მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარებით, მშობელი მუდმივად იღებს ისეთ ინფორმააციას, რომელიც მისი შვილის განვითარებასა და საკუთარი სწავლის მნიშვნელობის გაცნობიერების წინაპირობაა.

როგორც სკოლის დირექციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, სკოლა პირველივე ეტაპზევე ჩაერთო ,,ახალი სკოლის მოდელის“ პროგრამაში, შესაბამისად წლების გამოცდილება აქვს სკოლას იმისა, რომ განახორციელოს შეფასება მრავალფეროვანი წყაროების მიხედვით. სკოლა წარმოდგენილი მასალებით, კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახული შეფასების სისტემის მექანიზმებით, გვიჩვენებს, თუ როგორ უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისობის შემოწმებას, რაც დაადასტურეს პედაგოგებმა გასაუბრების შედეგადაც; **საბაზო საფეხურზე** გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. სკოლა ამ საფეხურზე იყენებს განმავითარებელი შეფასების შემდეგ ინსტრუმენტებს: ა) მასწავლებლის უკუკავშირი; ბ) მოსწავლეთა თვითშეფასება; გ) მოსწავლეთა ურთიერთშეფასება; გ) სხვადასხვა კოგნიტური სქემები; დ) დიაგნოსტიკური შეფასება ე) ტესტირება და ა.შ.

განმსაზღვრელი შეფასებით ფასდება მიღწეული შედეგები საშინაო დავალების, საკლასო მუშაობის, შემაჯამებელი დავალებების , სემესტრისა და წლის საბოლოო შეფასების მიხედვით ე.ს.გ.-ში მოცემული ათბალიანი შეფასების სისტემის შესაბამისად.

2.3.2.2.- შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

აღნიშნულ კომპონენტში **სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს,** რადგან სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა გამომდინარეობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმიდან, კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას. მოსწავლე არ ფასდება მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ გათვალისწინებულია ბევრი სხვა ფაქტორიც. საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება მუშაობის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, მთელი კლასი, ინდივიდუალური პრეზენტაცია და ა.შ. შეფასებაც ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით, რომლებიც შემუშავებულია საგნობრივ კათედრებზე და წარმოადგენს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს. სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი , ისე განმავითარებელი შეფასება იმ კლასებსა და საფეხურებზე, როგორც ეს მოცემულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში. მოსწავლეები ფასდებიან ამასთანავე, საკლასო, დამოუკიდებელი და შემაჯამებელი დავალებების კომპონენტებით. ხოლო კომპლექსური დავალებების შეფასება ხდება სოლო-ტაქსონომიის მეშვეობით, ინდივიდუალურად მათი ცოდნისა და შესაძლებლობების შესაბამისად. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საგნობრივი კათედრების წარმომადგენელ პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლა მოსწავლეთა შეფასებას განახორციელებს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, კერძოდ, საგაკვეთილო პროცესში სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენება (ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, დისკუსია, ინდივიდუალური, პრეზენტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება), ინდივიდუალური შეხვედრები მოსწავლეებთან, გაცდენილი გაკვეთილების მასალის გაანალიზება. სკოლამ გამოთქვა მზაობა, რომ მათ მიერ შემუშავებული იქნება შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები.

2.3.2.3- შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რადგან სკოლა შეფასებისათვის საჭირო მონაცემთა შეგროვებას სხვადასხვა გზით ახორციელებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ მათ მიერ დაკვირვების შედეგად მიღებულ ინფორმაციას - საკლასო აქტიურობა, საშინაო დავალებები, შემაჯამებელი დავალებები, ასევე დამრიგებლისგანაც იღებენ ინფორმაციას - შესაძლოა მასწავლებლისთვის მკაფიო არ იყოს მოსწავლის არასაგაკვეთილო პერიოდის უნარ-ჩვევები, ამ ინფორმაციას კი მასწავლებელი იყენებენ სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვისას, მათ შორის კონტექსტ მაგალითების შეთავაზება, კომპლექსური დავალებების განხორციელება, პროექტების დაგეგმვა.... შესაძლოა სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინსტრუმენტების გამოყენებაც, რომლის შესახებაც მოიძიებენ ინფორმაციას._სკოლამ დაასახელა_ საგნობრივი კათედრების ოქმები, სხვადასხვა ტიპის კითხვარები, ხარისხის ჯგუფის შეფასების ფორმები, რომელთა ანალიზის საფუძველზე ისახება პრობლემის გადაჭრის გზები და სამომავლო გეგმები. საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ახალი კურიკულუმების დანერგვის ეტაპზე თავდაპირველად მონაცემთა შეგროვებას სადიაგნოსტიკო ტესტების საშუალებით შეძლებენ , შეისწავლიან თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებსა და ინტერესებს და გამოვლენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად საჭიროების შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეძლებენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენას. პედაგოგები იდენტიფიცირებული პრობლემის აღმოფხვრაზე მუშობენ კომპლექსურად.

2.3.2.4.--შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით;

სკოლის დირექციასთან, საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებთან, სპეციალურ მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შეფასების პროცესსა და მექანიზმებს დიდ ყურადღებას უთმობს სკოლა, თუმცა ამ პროცესის გაუმჯობესება სკოლის ერთ-ერთი გამოწვევაა. ვერიფიკაციის მექანიზმი ჩაშენებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების შესახებ წარმოდგენილ ნაწილში და სკოლა მომდევნო სასწავლო წლისთვის გამოკვეთს ცალკე ვერიფიკაციის მექანიზმებს. სკოლის შეფასების სისტემა გაუმჯობესდება ამ მექანიზმებზე დაყრდნობით , სადაც ნათლად აისახება, თუ რა შიდა ან გარე ფაქტორებს ითვალისწინებენ მასწავლებლები შეფასების დროს ან რა ფაქტორებს გაითვალისწინებენ მომავალში; სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ნარატივიდან , იკვეთება, თუ როგორ ხდება შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება.. **სასურველია მომავალშიც, სპორტშიც მოხდეს შეფასებისას შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინება, რომელსაც პედაგოგები გამოიყენებენ ფიზიკური აღზრდაში მოსწავლეთა საერთო განვითარების დონის და შედეგის შეფასებისთვის**._ვინაიდან სკოლის მუშაობის პროცესში გამოკვეთილია თუ რას აეკეთებს სკოლა და რას გააკეთებს მომავალში,**შეიძლება ითქვას, რომ ამ კომპონენტშიც სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

1. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
2. ერთწლიანი სასწავლო გეგმა;
3. საბაზო საფეხურის კურიკულუმი
4. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1. 1.- იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლაში ამ ეტაპზეც მუშავდება საგნობრივი კურიკულუმები, სკოლა ასევე გეგმავს კურიკულუმის განხორციელების პროცესზე დაკვირვებას, გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლასა და მონაცემების მოგროვებას.რაც შეეხება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს, სკოლა გეგმავს (სკოლის განვითარების გეგმა ადასტურებს), ქოუჩინგის შედეგად მიღებული და არსებული გამოცდილების საფუძველზე, სამომავლოდ 2023-2024 სასწავლო წლიდან იმუშაოს საბაზო საფეხურისთვის მათ მიერ შედგენილი და გადამუშავებული კურიკულუმებით, რომლის გადახედვა და ანალიზი განხორციელდება ეტაპობრივად. სკოლის დირექციასთან და საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე მათ გამოხატეს მზაობა ამ პროცესისათვის. სკოლისათვის მნიშვნელოვან საქმიანობას წარმოადგენს, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოსათვის, როდესაც საგნობრივი კათედრები შეაჯერებენ მათ ხელთ არსებულ მონაცემებს - გაკვეთილებზე დაკვირვებისა თუ მასწავლებლების რეფლექსიებს, განხორციელებულ შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგებს (მოსწავლეთა მიღწევებს) - შეიმუშავებენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს. ამ ეტაპზე სკოლაში ითვალისწინებენ მიღწევების შედეგებს, აანალიზებენ , თვითშეფასების საფუძველზე ქმნიან გადამუშავებულ კურიკულუმებს, ამის დასტურია თუნდაც კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები.შესაბამისად, სკოლის მზაობიდან, წარმოდგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტაციებისა და სამომავლო გეგმების გათვალისწინებით **აღნიშნულ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2.4.1.2.- კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს;

თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, რომ კურიკულუმის გადამუშავებისა და განახლებისას გაითვალისწინებენ პედაგოგები წინარე გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, შემუშავდება რეკომენდაციები კურიკულუმის გასაუმჯობესებლად და ამ რეკომენდაციების საფუძველზე შეიქმნება კურიკულუმის განახლებული ვერსია.სკოლაში საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის, შეფასების შედეგებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკვეთება სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა . მასწავლებლებთან გასაუბრებამ წარმოაჩინა თანამშრომლობაზე და გამოცდილებაზე დაფუძნებული პრაქტიკის არსებობა . საბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრების მასწავლებლებლებმა აღნიშნეს ,რომ ყოველი წლის ბოლოს განიხილავენ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს , კურიკულუმებს, შეფასების ფორმებს და მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე გეგმავენ ,ქმნიან განახლებულ ვერსიებს. სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის საბაზო საფეხურის კურიკულუმების შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები.2023-24 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის გადამუშავებული კურუკულუმები მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულ შესაბამისობაში მოვა ახალი თაობის ე.ს.გ. მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

1. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
2. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
3. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება-საშუალო საფეხური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი---საშუალო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1.-კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. სკოლას შექმნილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილია, თუ რა მნიშვნელობა აქვს სასკოლო კურიკულუმს სკოლის მიზნებისათვის და ზოგადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების რეფორმისთვის. მისი საშუალებით სკოლის დონეზე რეალიზდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნები.

მთავარი დოკუმენტი, რომელსაც სასკოლო კურიკულუმი ეყრდნობა არის ეროვნული სასწავლო გეგმა. სასკოლო კურიკულუმი დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და კონცეპტუალურ ჩარჩოზე. სკოლის მიერ კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად შეგროვილ მონაცემებთა დამუშავების საფუძველზე . ყველა საგნობრივი მიმართულების მიხედვით წარმოდგენილია, რომ კურიკულუმის განვითარების პროცესში ჩართული არიან მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები და დირექცია.ასევე იკვეთება ისიც, რომ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ყურადღება მახვილდება კურიკულუმის სტრუქტრულ ერთეულებზე, დანერგვის ინსტრუმენტებზე, შუალედურ სასწავლო მიზნებზე, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებზე სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციებსა და მონაწილეობის ფორმებზე.

2.1.1.2.- კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია,რადგან კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ნათლად იკვეთება, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარება კომპლექსური პროცესია, მასში მონაწილეობს არაერთი ადამიანი, თუმცა, პასუხისმგებლები არიან კათედრის თავმჯდომარეები და დირექტორის მოადგილე. აღნიშნული მეთოდოლოგია განსაზღვრავს, რომ კურიკულუმის განვითარების პროცესში მასწავლებლებსა და დირექციას მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები აქვთ. კერძოდ, სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი ვადებულია აქტიალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც აჩენს სივრცესა და შესაძლებლობებს კურიულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობისთვის და მათი ინტერესების გაზიარებისათვის. სკოლამ თავად უნდა დააკონკრეტოს რა ფორმით უნდა განხორციელდეს მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში (მაგალითად, მშობელთა ინფორმირების გზა შეიძლება იყოს კურიკულუმის სკოლის საიტზე ატვირთვა, ელექტრონული ჟურნალით ან სკოლის მიერ გამოყენებული ელექტრონული ფოსტების ან მესენჯერის ჯგუფებით ინფორმაციის გაზიარება)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1.3.- კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში კარგადაა განმარტებული კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული მხარეები და მათი ფუნქციები . კურიკულუმის შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. ამ პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელი ერთვება. პედაგოგები თანხმდებიან შემდეგ საკითხებზე:

- რომელ თემებს ასწავლიან მომდევნო სასწავლო წელს (იმ საგნებში, სადაც თემები სავალდებულოდ არ არის განსაზღვრული);
- რა ქვესაკითხებსა და საკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების გასააზრებლად, საფეხურის შედეგების მისაღწევად;
- რა კომპლექსურ დავალებებს იყენებენ თემის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად;
- რა ძირითად და დამხმარე რესურსებს იყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში;
- რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის;
- რა მექანიზმებით შეისწავლიან სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობას.

კურიკულუმს გეგმავს მთელი კათედრა და არა ერთი მასწავლებელი (მაგალითად, თუკი კათედრაზე 5 ისტორიის მასწავლებელია ყველა მათგანი ერთსა და იმავე კურიკულუმზე

2.1.1.4.-კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

აღნიშნული ინდიკატორი დამაყოფილებულია. საშუალო საფეხურის საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმები, შესაბამისი მასალები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლაში ახალი დაწყებულია პროცესები, რომლებიც მიმართულია სასკოლო საზოგადოებისათვის კურიკულუმის გაზიარებისაკენ. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარებისთვის სკოლა იყენებს მშობლებთან პირისპირ შეხვედრებს და სოციალურ ქსელებს. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. სკოლა ფიქრობს დაგეგმოს მიზნობრივი შეხვედრები მშობლებთან, მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოწვევა სკოლაში და კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებზე დასწრება. სოციალურ ქსელების მეშვეობით სკოლა სხვადასხვა საგნის მიმართულებით აზიარებს მოსწავლეთა მიღწევებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.საშუალო საფეხურის კურიკულუმი
2.კათედრის სხდომის ოქმი N1
3.მშობელთა კრების ოქმები
4.სასკოლო სასწავლო გეგმა.
5.სტრატეგიული განვითარების გეგმა
6.კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
7.სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმი N 4

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.2.1-შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

- **მათემატიკა**-გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ზემოთ ავღნიშნე უკვე, რომ 2022-2023 სასწავლო წელს სარგებლობდნენ ექსპერტების მიერ მიწოდებული კურიკულუმებითა და კომპლექსური დავალებებით, რომელიც ბუნებრივია აკმაყოფილებდა ყველა კრიტერიუმს. თუმცა მათემატიკის კათედრაზე შეარჩიეს კომპლექური დავალება, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია შემოქმედებითი უნარების, კრიტიკული აზროვნების, კვლევის უნარ-ჩვევების განვითარებაზე. 2023-2024 სასწავლო წლისთვის შემუშავებულ კურიკულუმებში ყურადღება გამახვილებული იქნება წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე, გრძელვადიან მიზნებსა და მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიებზე.

- **სახელმწიფო ენა**-საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი აქტუალური თემები, რესურსები და სანიმუშოდ მოცემული რამდენიმე დავალება, შეუქმნის მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას. მასწავლებლებმა კი გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ ახორციელებენ კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებსაც არჩევენ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებების გათვალისწინებით.კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ,რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი
- **უცხოური ენები**- უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კურიკულუმებში გაწერილი შუალედური მიზნები, კომპლექსური დავალებების იდეები ,შესაბამისი კონტექსტ მაგალითები, საჭირო რესურსები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო მასალამ ნიმუშების სახით და ინტერვიუმ მასწავლებლებთან წარმოაჩინა უცხოური ენების კათედრის სწორი ხედვა და მზაობა. კათედრამ გამოამჟღავნა სტრატეგიების ,მათ შორის მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიების და ეროვნული სასწავლო გეგმის მეთოდური ორიენტირების ცოდნა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების განსაზღვრისათვის. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- **სპორტი** - სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საშუალო საფეხურის მე-10-მე-12 კლასისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია მესამე თაობის ესგ-ს მოთხოვნებისა და საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. შედგენილი კურიკულუმები არის სრულყოფილი.. თითოეული კლასის კურიკულუმში შეტანილია მრავალფეროვანი სასწავლო თემები, რაც საშუალებას იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და მათი ინტერესისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით წარმართვისა. შერჩეული სასწავლო თემები , რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას.
- **ესთეტიკური აღზრდა**-მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კერძოდ, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები გათვლილია თითოეული მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე. შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სრულიად აკმაყოფილებს სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებს. დიდი ყურადღება ეთმობა სწავლა-სწავლების პროცესში პოზიტიური სასწავლო გარემოს ჩამმოყალიბებას.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-სკოლამ წარმოადგინა საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია), რომლებიც წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას.არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**- სასკოლო კურიკულუმით სასწავლო პროცესი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის კონკრეტული შესაძლებლობები და ინტერესები. კურიკულუმებზე მუშაობის დროს გრძელვადიანი მიზნები და შედეგები გათვალისწინებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩამოყალიბებული საგნობრივი სამიზნე ცნებების სახით და შედეგების მისაღწევი შუალედური მიზნები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას, ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს.

2.1.2.2.- კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

- **მათემატიკა**-პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმებში, რომელსაც იყენებდნენ 2022-2023 სასწავლო .წელს გრძელვადიან მიზნებად გააზრებული იყო სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები; ძირითად შემთხვევაში აღქმული იყო გლობალური ფუნქციური უნარები (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (ეთიკა, პასუხისმგებლობა), ხასიათი ნება) უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად). 2023-2024 სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შეფასების ინსტრუმენტი კათედრის ფარგლებში შემუშავების პროცესშია და იგეგმება ამ მიმართულებით სასწავლო წლის დაწყებამდე მუშაობა.

- **სახელმწიფო ენა**-კურიკულუმში წარმოდგენილი ზოგიერთი დავალებისთვის განსაზღვრულია მისაღწევი მიზნები ცნებების სახით.სანიმუშოდ მოცემული დავალებებიდან და შეფასების რუბრიკიდან ჩანს, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ფუნქციური უნარების განგანვითარებას, წარმოდგენილი აქვთ შემოქმედებითი,ანალიტიკური.. დავალებები,რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდას ,შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ყურადღებას ანმახვილებენ სწავლის სწავლაზე .დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეები საუბრობენ ,რა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოუვიდათ კარგად,მსჯელობენ ,თავიდან რომ შეესრულებინათ დავალება,რას შეცვლიდნენ და რატომ.აღნიშნეს ,რომ ამ პრინციპით აპირებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვას.

- **უცხოური ენები**-კურიკულუმის შესწავლისას და გასაუბრებისას გამოიკვათა , რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. შესაბამისად, წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო მიემართება საგნობრივი სტანდარტის მისაღწევი შედეგების მიღწევისკენ. ასევე კომპლექსური დავალებების პირობები, საკითხები, რესურსები ,დამატებითი რესურსები ხელს შეუწყობს /უზრუნველყოფს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება,შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია ,მოქალაქეობა,ნებელობა; ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
- **სპორტი** - სკოლის მიერ სასწავლო თემები შერჩეულია როგორც პრაქტიკული ასევე თეორიული მიმართულებით. ამ თემების მიხედვით შექმნილი და წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიან მიზნებისაკენ : გათვლილია სამიზნე ცნებებზე გასასვლელად, (ესენია; ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი) , სტანდარტის შედეგებზე და გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე (6 უნარი).
- **ესთეტიკური აღზრდა**-მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, შემუშავებული საგნობრივ კურიკულუმები, მასში შემავალი კომპლექსური დავალებებით ორინეტირებულია გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მაკრო ცნებებს, მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგიერთი საგნის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში (ფიზიკა) განსაზღვრულია ძირითადადი კონტექსტ - მაგალითი და კომპლექსური დავალების იდეა.

- **საბუნებისმეტყველო კათედრის** პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყველო კათედრა მთელი ზაფხულის განმავლობაში იმუშავებს კურიკულუმის საბოლოო ვერსიის შექმნაზე, რომლებიც გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) განვითარებაზე იქნება ორიენტირებული
- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-სასკოლო კურიკულუმი ეყრდნობა მესამე თაობის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ძირითად პრინციპებს. იგი ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების პროცესს. შემუშავებულია გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად (შედეგები და სამიზნე ცნებები).ასევე იკვეთება გლობალურ ფუნქციური უნარებიც: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია...

2.1.2.3.- სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

- **მათემატიკა**-გამომდინარე იქედან, რომ დიფერენცირებული სწავლება სასწავლო პროცესის ისეთი ორგანიზებაა, რომელიც გათვლილია თითოეული მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფების საჭიროებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე, მათემატიკის საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მიზნად დაისახეს სწავლების ეს ფორმა ეფექტიანად დაენერგათ სასწავლო პროცესში. დიფერენცირება გათვალისწინებულია ასევე კომპლექსური დავალებების საბოლოო პროდუქტში. მოსწავლეებს აძლევენ შესაძლებლობას სასურველი ფორმით წარმოადგინონ ნამუშევარი, რიგ შემთხვევაში სთავაზობენ ალტერნატიულ საშუალებებს, რათა გრძელვადიანი მიზნის შესაბამის მოკლევადიან მიზანზე გავიდნენ.
- **სახელმწიფო ენა**-ატვირთული დოკუმენტაციიდან (კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული თემები, რესურსები და დავალები),მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ირკვევა,რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებები,სწავლის სტილი,იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა.მასწავლებელიც არჩევს შესაბამისად დავალებებს.კათედრას აქვს მზაობა, გაამახვილოს ყურადღება და გაითვალისწინოს 2023-24 წლის კურიკულუმში დიფერენცირებული სწავლების პრინციპები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **უცხოური ენები**-სკოლას აქვს წარმოდგენილი ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა . უცხოური ენების კათედრამ წარმოადგინა ისგ სადაც ჩანს სასკოლო საზოგადოების გამოცდილება ,ჩართულობა , თანამშრომლობა და სწორი ხედვა ამ მიმართულებით . მიუხედავად იმისა ,რომ წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოში ნაკლებად ჩანს დიფერენცირებული მიდგომა, ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა ისაუბრეს დიფერენცირებული სწავლების საკუთარ გამოცდილებაზე და მეთოდებზე ,აგრეთვე დიფერენცირების მნიშვნელობაზე, დავალებების, შინაარსის, პროდუქტის დიფერენცირების სტრატეგიებზე და წარმოადგინეს ნიმუშები საკუთარი პრაქტიკიდან . კათედრამ გამოხატა მზაობა კურიკულუმების დახვეწის თვალსაზრისით ამ მიმართულებით.შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
- **სპორტი** -თვითშეფასების ფორმაშიცაა აღნიშნული და ინტერვიუს დროს პედაგოგებმაც აღნიშნეს, რომ ისინი მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და საჭიროების შემთხვევაში , ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში. პედაგოგების თქმით, . სკოლაში ყავთ რამდენიმე სსსმ მოსწავლე, რომელთაც ესაჭიროება ინდგეგმა საგანში. პედაგოგმა აღნიშნა რომ სპეც მასწავლებელთან ერთად შემუშავებული აქვთ მათთვის მოდიფიცირებული გეგემა და წარმოადგინეს ეს ნიმუში ვიზიტის დღეს, ინდიკატორი **შესაბამისობაშია**
- **ესთეტიკური აღზრდა**-სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან და მზაობიდან გამომდინარე. მოსწავლეთა ინტერესები და მათი ასაკობრივი თავისებურებები გათვალისწინებულია კონტექსტებსა და საკითხებში. მომავალში სკოლას აქვს მზაობა წარმართოს სასწავლო პროცესი კომპლექსურიდან კომპლექსურამდე პრინციპით.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო კათედრის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყველო საგნის პედაგოგები მუშაობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სსსმ მოსწავლეებთან. ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ასევე ნათელი გახდა, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებას (დიფერენცირებულ მიდგომას) და თითოეულ მოსწავლეს სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს კომპლექსური დავალების პროდუქტის შესაქმნელად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-სკოლის მიერ წარმოდგენილმა დოკუმენტებმა და გასაუბრებამ წარმოაჩინა, რომ სკოლას გააჩნია მკაფიო ხედვა როგორც ინკლუზიური განათლების, ასევე დიფერენცირებული სწავლების მიმართულებით. ცდილობს შექმნას მოსწავლეთათვის მოქნილი სასწავლო გარემო. მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული სასკოლო პროგრამები. მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები, რომელთა საშუალებითაც მოსწავლეები ცოდნასა და საკითხთან მიმართებაში საკუთარ დამოკიდებულებას გამოხატავენ მათთვის ეფექტური საშუალებებით

2.1.2.4.-განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

- **მათემატიკა**-პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ განმავიტარებელი და განმსაზღვრელი შეფასებისთვის რუბრიკებს ისე ქმნიან, რომ მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს.
- **სახელმწიფო ენა**-წარმოდგენილია შეფასების რამდენიმე რუბრიკა,რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის სკოლის ფარგლებში შეფასების წარმოების წესზე.ჩანს,რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება,შექმნილი რუბრიკები ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ ინდიკატორებს.აღნიშნეს, რომ მიმართავენ ხშირად განმავითარებელ შეფასებას ,ძირითადად ზეპირად , ზოგჯერ წერილობით.დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელი გახდა ვიზიტის დროს, სკოლას აქვს მზაობა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება წარმართოს სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით.ინდიკატორი შეესაბამება და აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს
- **უცხოური ენები**-საშუალო საფეხურზე სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისკენ. ხოლო განმსაზღვრელი შეფასება სამ კომპონენტიანია, ის მოიცავს საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების შედეგებს, განმსაზღვრელ ნიშანს. უცხოური ენების კათედრას აქვს გამოცდილება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავების და გამოყენების თვალსაზრისით თუმცა საჭიროებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანას.წარმოდგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტებიდან დგინდება, რომ სკოლა იცნობს და აქვს მზაობა გამოიყენოს ე.ს.გ-ით გაწერილი შეფასების სისტემა და ეფექტურად გამოიყენებს მას სასწავლო პროცესში გრეძლვადიანი მიზნების მისაღწევად.ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

- **სპორტი**-საშუალო საფეხურისათვის, სკოლის მიერ თემების მიხედვით შექმნილი და წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიანი მიზნებს. გათვლილია სამიზნე ცნებების განვითარებაზე და ითვალისწინებს საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებს. პედგოგებმა გამოთქვეს მზაობა, რომ სამომავლოდაც შექმნიან რუბრიკებს შერჩეული თემების შესაბამისად.. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**
- **ესთეტიკური აღზრდა**-სკოლას აქვს წინარე გამოცდილება, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსის გაგების თვალსაზრისით. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, განმავითარებელი შეფასების ძირითადი ფორმა იყო ზეპირი განმავითარებელი კომენტარი. კომლექსური დავალებები კი შეფასებული იყო SOLO ტაქსონომიით. სამომავლოდ სკოლას აქვს მზაობა მეტად დახვეწოს შეფასების სისტემა, შეიმუშავოს ახალი ტიპის რუბრიკები განმსაზღვრელ-განმავიარებელი შეფასებისთვის.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო კათედრის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკას. სკოლის მიერ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე საბუნებისმეტყველო საგნების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგების მიერ იგეგმება განმავითარებელი რუბრიკების შექმნა ყოველი კონტექსტ - მაგალითის მიმართ და განმასზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნა საშუალო საფეხურის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შესასწავლი თემებისთვის
- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-სკოლაში სწავლება და შეფასება ერთ მთლიან, გააზრებულ პროცესს წარმოადგენს. შეფასების კრიტერიუმები მკაფიოა და ცალსახად მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს. იყენებენ ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.2.5.- დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

- **მათემატიკა**-მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული აქვთ წინა წლების გამოცდილება. სასწავლო პროცესი მაქსიმალურად მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე. ცდილობენ ყველა ნიუანსის გაწერის დროს გაითვალისწინონ წინარე გამოცდილება და ისე დაგეგმონ მომდევნო სასწავლო წელი.
- **სახელმწიფო ენა**-.წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან(ძველი და ახალი კურიკულუმის ჩარჩო) და კათედრის წევრებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შექმნისას გაითვალისწინეს წინარე პრაქტიკული გამოცდილება , მათ შეცვალეს დავალებები, ზოგი დავალების -პირობა. აღნიშნეს ,რომ ისინი კათედრაზე შეთანხმდებიან და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე შეავსებენ მომავალი სასწავლო წლის სამუშაო გეგმას.ეს ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.სკოლას აქვს მზაობა დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს წინარე გამოცდილება.
- **უცხოური ენები**-სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ ,რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა წლის კურიკულუმის დანერგვის პარალელურად; მისი (ე.ი. წინა წლის კურიკულუმის) განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრის პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელი ერთვება. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ მოხდა მეორე სემესტრის შეჯამება, მოსწავლეთა აკადემიური შედეგების , სასკოლო კურიკულუმების განხილვა და 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის პროექტის შემუშავება.ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
- **სპორტი** - კათედრული ოქმებითა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიით დასტურდება და ინტერვიუს შედეგადაც ნათელია, რომ კოლეგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზიც, რომ სამომავლოდაც ისე დაგეგმავენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესებს, რომ უზრუნველყონ მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

- **ესთეტიკური აღზრდა-.** სკოლაში გადაწყვეტილებები სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებით მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიღება. კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია წარმატებული გამოცდილება პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით.(კითხვარები, სადიაგნოსტიკო წერები). პედსაბჭოზე და ასევე კათედრებზე თითოეული მასწავლებლის მიერ წლის ბოლოს წარმოდგენილი ანალიზი იძლევა დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით სამომავლოდ კონსტრუქციული ცვლილებების განხორციელებას.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო კათედრის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმები სკოლის მასწავლებლების ჩართულობით მიიღებს დასრულებულ სახეს და გათვალისწინებული იქნება მათი წინარე და წარმატებული გამოცდილების პრატიკა
- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა რომ, მესამე თაობის ესეგ -ს დანერგვის პროცესში საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მოახდენს არსებული კურიკულუმების მოდიფიცირებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.კურიკულუმი
2.სადიაგნოსტიკო წერები.
3.კომპლექსური დავალებები
4.უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმი N 4
5.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
6.საშუალო საფხურის კურიკულუმის ჩარჩო;
7.ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში
8. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების პროგრამა და დებულება
9. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1.-სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

- **მათემატიკა**-თვითშეფასების კითხვარისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ისე აქვთ დაგეგმილი, რომ იძლევა მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კურიკულუმის შემუშავებისას შესაბამისად არჩევენ კომპლექსური დავალებებს. მომდევნო სასწავლო წლისთვის იგეგმება მატრიცებზე დაფუძნებით კურიკულუმის შემუშავება/შეფასება, სადაც მკაფიოდ გამოიკვეთება ის საჭიროებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშს მოსწავლეებისა და მასწავლებლის დონეზე.
- **სახელმწიფო ენა**-.მასწავლებლებელთა ინტერვიუდან,მათ მიერ განხორციელებული აქტივობებიდან და ახალი კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული რამდენიმე დავალებიდან გამომდინარე , შეიძლება ითქვას, რომ გაკვეთილებზე,საკლასო გარემოში ,მოსწავლეებს აქვთ საშუალება შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობისა და პრობლემის გადაჭრის გზით.წახალისებულია შემოქმედებითი,პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული დავალებები,სკოლას აქვს მზაობა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გაითვალისწინოს მათი აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვა.
- **უცხოური ენები**-საშუალო საფეხურზე უცხოური ენების კურიკულუმები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, აქტიურად ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში. ამის მაგალითია კომპლექსური დავალებების იდეები. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტურად არაა აღწერილი მათი განხორციელების პროცესი, მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათ იციან კომპლექსური დავალებების შედგენაც და მისი განხორციელებაც,გასაუბრების დროს დადგინდა, რომ კათედრას აქვს განხორციელებული არა ერთი პროექტი. წარმოდგენილი ნიმუშების და ინტერვიუს შედეგზე დაყრდნობით ჩანს უცხოური ენების კათედრის სწორი ხედვა, გამოცდილება და ცოდნა მოსწავლეთა მოტივაციის, წინარე ცოდნის გაქტიურების, ინტერესების გათვალისწინების, თანატოლებთან თანამშრომლობის, შემოქმედებითი უნარის განვითარების, აქტიურად ჩართულობის და მათი ავტონომიურობის თვალსაზრისით. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში გაწერილია საერთაშორისო პროექტში ჩართვა(სკოლა ერთვება გრძელვადიან საერთაშორისო პროექტში“ “Breaking Barriers”).ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- **სპორტი** სკოლის მიერ შექმნილ და წარმოდგენილ საშუალოო საფეხურის (10-12 კლასების) კურიკულუმებში შეტანილი მრავალფეროვანი სასწავლო თემები, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით , დაგეგმილი ფესტივალები და სხვა სპორტრული თუ სკოლის საერთო ღონისძიებები , მასწავლებლების მიერ მოსწავლეებისათვის შეთავაზებული შესაქმნელი პროექტები და მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი დავალებები, იძლევა წარმოდგენას იმის შესახებ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი , რომ მოსწავლეებს აქვთ საშუალება აქტიურად ჩაერთონ შეთავაზებულ აქტივობებში, სპორტულ ფესტივალებსა თუ სხვა ღონისძიებში და გამოავლინონ საკუთარი მონებრივი, შემოქმედებითი და ფიზიკური უნარები. . ინდიკატორი **შესაბამისობაშია**
- **ესთეტიკური აღზრდა**-სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ავტონომიურობა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. სკოლის პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, მოსწავლეებისათვის ხელშეწყობა ხდება იმ მიზნით, რომ ისინი ჩართულნი არიან სასწავლო პროცესებში, ასევე საკმაოდ მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. ბავშვებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ სისტემატიურად ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება რისთვისაც სთავაზობენ ფორმალური თუ არაფორმალური ტიპის მრავალფეროვან აქტივობებს.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო კათედრის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები კომპლექსურად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიუდგებიან სასწავლო პროცესს, შესაბამისად, 2023 – 2024 წლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) საშუალო საფეხურის კურიკულუმები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს ხელს. მოსწავლეებს ექნებათ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ მოხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება/რეალიზება.

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-წარმოდგენილი კურიკულუმის საფუძველზე აშკარაა, რომ მოსწავლეთათვის შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლებს წარმოაჩინონ საკუთარი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ინიციატივები და მიგნებები. ახალი ინფორმაცია გაცნობისა და დამუშავების დროს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით განიხილოს. დააგროვონ, ან გაირღმავონ საკუთარი ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის გზით. გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით, როგორც წერილობით, ასევე დისკუსიების სახით.

2.2.1.2-ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

- **მათემატიკა**- მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებების პირობის ფორმულირების მნიშვნელოვანი პრინციპია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოიტანონ - სწორედ ეს იყო მიზანი კომპლექსური დავალებების შერჩევისა და განხორციელების დროს - მოსწავლეებმა გადაჭრან მათთვის ნაცნობი პრობლემა, რომელიც ამავდროულად აჩვენებს კავშირს ყოფა-ცხოვრებასთან, გააკეთონ ანალოგია, შექმნან საინტერესო პროდუქტი - ეს ყოველივე კი კონსტრუირებული იყოს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
- **სახელმწიფო ენა**-.კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობამ და მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სკოლა სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავს წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. კურიკულუმის თემატური დაგეგმვა, კომპლექსური დავალებების პირობაში ნაცნობი კონტექსტების შემოტანა(მაგ.,პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედგენა) და მასწავლებლების მიერ მოყვანილი მაგალითები პრაქტიკული გამოცდილებიდან ცხადყოფს, რომ ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- **უცხოური ენები**-კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის შესწავლიდან, ასევე გასაუბრების დროს გამოიკვათა, რომ კათედრას გააზრებული აქვს თემატური დაგეგმის მნიშვნელობა, ჩანს რომ თემების გაწერის დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი, მათი მზაობა და ინტერესები. ასევე შუალედური მიზნის დოკუმენტაციაში მოცემულია კონტექსტ მაგალითები, რომელიც საშუალებას იძლევა ნაცნობ კონტექსტზე დაყდრნობით მოსწავლემ მიიღოს ახალი ცოდნა და გამოცდილება. ზოგადად კომპლექსური დავალებების სპეციფიკა იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას და ამგვარი ტიპის დავალებები წარმოდგენილია მომავალი წლის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
- **სპორტი** . საგანში - ფიზიკურ აღზრდა და სპორტი , პედაგოგების თქმით (რაც აღნიშნულია თვითშეფასების ფორმაშიც), ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით იღებს და შეიმეცნებს ახალს. რაც გააადვილებს სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. პედგოგების მიერ აღწერილ სასწავლო პროცესი ჩანს მათ მიერ წარმოდგენილ , წინა სასწავწლო წლის გავლილი პრაქტიკიდან წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებშიც.. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**
- **ესთეტიკური აღზრდა**-სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ამასთანავე, პედაგოგები ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში, იმისათვის, რომ მეხსიერებაში გაიზარდოს გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო კათერდის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებასა და მიღებული ინფორმაციის აქტიურ ცოდნად გარდაქმნის პროცესს

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით ცხადია, რომ სასწავლო პროცესი მიზნად ისახავს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და მის ეტაპობრივად, ნაბიჯ - ნაბიჯ მიყვანას ახალ ცოდნამდე. კომპლექსური დავალების პირობები იმგვარადაა ფორმულირებული, რომ კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით.

2.2.1.3.- სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

- **მათემატიკა**-თვითშეფასების კითხვარითა და მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. დავალებების/თემის შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და გამოცდილებას. ზეპირი ფორმით ხდება შესრულებული დავალებების თვითრეფლექსია მოსწავლეების მიერ, ყურადღების გამახვილება კომპლექსური დავალებების საკვანძო შეკითხვებზე, მათი ინდივიდუალური გამოცდილების გაზიარება და სამუშაო პროცესის დაგეგმვისას ამის გათვალისწინება.
- **სახელმწიფო ენა**-.კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამომდინარე ,შეიძლება ითქვას, მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. როცა მოსწავლე აანალიზებს შესრულებული დავალებას: მსჯელობს რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება და სხვა, შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- **უცხოური ენები**-საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში შუალედურ სასწავლო მიზნად განიხილება კომპლექსური ტიპის დავალებები, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებასა და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას . კომპლექსური დავალებების კონტექსტ მაგალითები ხელს უწყობს მოსწავლეებში ნებელობის გაძლიერებასა და მათ დაინტერესებას. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკების ნიმუშები, თვითრეფლექსიის და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესის შეფასების საშუალებას იძლევა. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

- **სპორტი** . სკოლის თვითშეფასების ფორმიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური ხედვები, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. (აღნიშნული ცნობილია მასწავლებელთან გასაუბრების შედეგადაც) სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ არსებული ფიზიკური თვისებების განვითარების, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის გამოვლინებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში დანერგვისა და გამოყენების საშუალებას აძლევს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
- **ესთეტიკური აღზრდა-.** სასწავლო პროცესში კეთდება აქცენტი სწავლის სწავლაზე. სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. მოსწავლე ჩართულია ისეთ აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო კათედრის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას და დავალებების პირობის გაწერას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე
- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი სწავლის სწავლაზეა აქცენტირებული. ყურადღება გამახვილებულია მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.4-სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

- **მათემატიკა**-თვითშეფასების კითხვარიდან და გასაუბრებიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში შუალედურ სასწავლო მიზნებად ჩაშენებული კომპლექსური დავალებები ფარავს ცოდნის სამივე კატეგორიას. დავალებათა პირობები გაწერილია იმგვარად, რომ მოსწავლეებს სძენს ფაქტობრივ ცოდნას ამა თუ იმ საკითხზე, აძლევს საშუალებას ეს ცოდნა წარმოაჩინონ დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულ აქტივობებში და კომპლექსური დავალების პროდუქტის შექმნისას განახორციელებენ მიღებული ცოდნის ტრანსფერს
- **სახელმწიფო ენა**-სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას,ინტერვიუს დროს კი აღნიშნეს ,რომ ისინი აძლევენ დავალებებს, სადაც მოსწავლეს უწევს, ფაქტობრივი ცოდნის გამოყენება ,ასევე მსჯელობა და ანალიზი , საკუთარი დასკვნების ჩამოყალიბება,ყურადღებას ამახვილებენ აქტივობებში,როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში .კათედრა გამოხატავს მზაობას, რომ იყოს ორიენტირებული ცოდნის სამივე კატეგორიაზე
- **უცხოური ენები**-კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტები თავისთავად ორიენტირებულია სამივე კატეგორიის ცოდნაზე და გულისხმობს ცოდნის კონსტრუირებას , აგებას ,მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას . წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებით და ინტერვიუზე დაყრდნობით დგინდება , რომ უცხოური ენების კათედრას აქვს გამოცდილება კომპლექსური ტიპის დავალებების შემუშავების და გამოყენების სწავლა-სწავლების პროცესში . შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალებების იდეებიდან და განხორციელებული პროექტის ნიმუშიდან იკვეთება დეკლერატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის განვითარებაზე გაკეთებული აქცენტები და ჩანს კათედრის მზაობა . ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
- **სპორტი** სკოლის თვითშეფასების ფორმიდან ნათელია და პედაგოგებთან გასაუბრებისას აისახა, რომ, საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაყვანასა (დეკლარაციული, პროცედურული და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირობისეული) და შესაბამისი უნარების განვითარებას. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებში ცოდნის მიღებას და განვითარებას მარტივიდან რთულისაკენ:. დასწყისში აცნობს თემას, აცნობს სახეობის წარმოშობის ისტორიას, უხსნის ტექნიკურ ელემენტებს და უჩვენებს თვითონვე, შემდგომ ამეორებინებს და თამაშში ჩართავს ნსწავლის განსამტკიცებლად. . მათ მიერ აღწერილი სასწავლო პროცესი ჩანს წინა წლის გავლილი პრაქტიკიდან წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებშიც.. ინდიკატორი **შესაბამისობაშია**

- **ესთეტიკური აღზრდა**-სასწავლო პროცესი ორიენტირებულია საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაზე. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ კომპლექსურ დავალებებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალური ტიპის აქტივობებში. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი პრაქტიკაში რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გადაწყვიტონ ესა თუ ის საკითხი.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო კათედრის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ რომ 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე, კერძოდ, მოსწავლეებს ექნებათ ცოდნის პრაქტიკაში, რეალურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობა
- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-წარმოდგენილი პროექტები მკაფიო დადასტურებაა იმისა, რომ სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. პედაგოგები ხელს უწყობენ მოსწავლეს საგნობრივი სასკითხების სირღმისეულად გააზრებაში, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში. პროექტების განხორციელების დროს მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა.

2.2.1.5.- სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

- **მათემატიკა**-მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ხელს უწყობენ მოსწავლეებს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში, ამაში ეხმარება ცნებების, წესის ერთობლივად ჩამოყალიბება, კონსტრუქტივისტული მიდგომით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაკვეთილების ჩატარება, დამაზუსტებელი კითხვებით ახალი საკითხის მოსწავლეების მიერ დამოუკიდებლად გააზრების წახალისება. საკითხის სწავლების საჭიროების გამოკვეთა, საგანთაშორის კავშირის დანახვა.

- **სახელმწიფო ენა**-.საგნობრივი კურიკულუმის თემატური დაგეგმვა,კომპლექსური დავალებები გვიჩვენებს საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის რეალიზების გზას და არის ამავდროულად ის მთავარი კომპონენტი ,რომელიც იძლევა საშუალებას ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერდაკავშირების.მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას სასწავლო პროცესი დაგეგმონ ამ პრინციპების გათვალისწინებით.ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- **უცხოური ენები**- საშუალო საფეხურზე უცხოური ენების კათედრამ წარმოადგინა მხოლოდ X კლასის კურიკულუმის ჩარჩო სადაც წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეა,პირობა. კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ყოველივე ეს გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა ,რომ მომავალი სასწავლო წლის საშუალო საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოს შეიმუშავებენ და განავითარებენ ახალი სახელმძღვანელოებით . აგრეთვე გასაუბრებისას უცხოური ენების კათედრამ წარმოაჩინა გარკვეული გამოცდილება კომპლექსური დავალებების გამოყენების კუთხით . აქედან გამომდინარე ვთვლი ,რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია წარმოაჩენს კათედრის მზაობას დაგეგმოს და უზრუნველყოს ისეთი სასწავლო პროცესი ,სადაც მოსწავლეები შეძლებენ ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
- **სპორტი** - ფიზიკური აღზრდა და სპორტის საგნისთვის შედგენილი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.. შერჩეულ თემებზე დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, რომელშიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, განხორციელდება მომდევნო სასწავლო წლიდანაც და მათი სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **ესთეტიკური აღზრდა**-სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ამასთანავე, პედაგოგები ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში, იმისათვის, რომ მეხსიერებაში გაიზარდოს გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები. გარდა ამისა, უზრუნველყოფილია სწავლის სტრატეგიების დაუფლება, სწავლის პროცესში ეფექტური ხერხებისა და მიდგომების გამოყენება, რაც წარმატებული სწავლის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორებია.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო კათედრის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების ყველა კომპლექსური დავალება დაიგეგმება ისე, რომ გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება
- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**- კომპლექსური დავალებებით სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეებში საგნობრივი საკითხების სირღმისეულ გააზრებას, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, ვინაიდან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე. ის ყოველივე კი თავითავად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას.. გასაუბრების დროს კატედრამ დაადასტურა, რომ ახალი სასწავლო წელის სწორედ ამგვარ პრინციპებზე დაყრდნობით შექმნილი კომპლესურები ინებოდა შეტანილი კურიკულუმში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმი
2. კომპლექსური დავალებები
3. სასწავლო პროექტები
4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.

.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.2.1.-სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

- **მათემატიკა-** თვითშეფასების კითხვარისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით - მიმდინარე სასწავლო წელს მათემატიკაში განახორციელეს 1-2 კომპლექსური დავალება, შესაბამისად აქცენტი გაკეთდა მკვიდრ წარმოდგენებზე. პედაგოგები ორიენტირებული არიან,, რომ თემის ფარგლებში საკითხებზე დაყრდნობით გაითავისონ მოსწავლეებმა სამიზნე ცნება და მკვიდრი წარმოდგენები. 2023-2024 სასწავლო წლიდან შუალედური სასწავლო მიზნები მკაფიოდ იქნება განსაზღვრული გრძელვადიან (საფეხურის) სასწავლო მიზნებზე. 2023-2024 სასწავლო წლისთვის კურიკულუმის ჩარჩოები მესამე თაობის ესგ სტანდარტის შესაბამისად არის შემუშავებული, ასევე შემუშავდება შეფასების რუბრიკები, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება გაითავისოს სამიზნე ცნება და მისი მკვიდრი წარმოდგენები საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. განსაკუთრებით X კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მკაფიოდაა გამახვილებული ყურადღება შუალედური სასწავლო მიზნების მიზანმიმართულ დაგეგმარება.
- **სახელმწიფო ენა**-.სასწავლო პროცესი, კურიკულუმის შესაბამისად, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები,დავალებები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. შესაბამისად, სკოლამ გამოთქვა მზაობა, რომ გააგრძელებენ ამ პრინციპით კურიკულუმის განვითარებას.სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ ამ კრიტერიუმს.
- **უცხოური ენები**-სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილ მასალაში ჩანს, რომ პედაგოგებს აქვთ გააზრებული სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების საგნობრივ საკითხებთან მიმართება. კურიკულუმის ჩარჩოებში არ არის გაწერილი მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებებიც რიგ შემთხვევაში ზოგადად აქვთ გაწერილი, მაგრამ მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა , რომ მათ აქვთ გააზრებული აღნიშნული საკითხი და კურიკულუმებს დახვეწავენ ქვეცნებების ,მკვიდრი წარმოდგენების, კონტექსტ მაგალითების თვალსაზრისით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და მოსწავლეებთან მუშაობისას აუცილებლად გაითვალისწინებენ მათ ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებაში. სკოლას აქვს მზაობა ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმების სრულყოფისთვის.

- **სპორტი** გასაუბრებით, ჩანს და შედგენილი კურიკულუმებიც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებთან; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, დავალების პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება მასწავლებლის დახმარებით.. აღნიშნული პროცესი გათვალისწინებულია სამიზნე ცნებებზე სამუშაოდ და შედეგზე გასასვლელად. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
- **ესთეტიკური აღზრდა**-მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ სავალდებულო თემატურ ბლოკებს, საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება მარტივიდან რთულისკენ, ნაცნობიდან უცნობისკენ განვითარების პრინციპით. აღნიშნული პროცესი ბავშვს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში და გრძელვადიავი მიზნების მიღწევაში.
  - **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-სკოლამ წარმოადგინა საშუალო საფეურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) X კლასის კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც მეტწილად გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თუმცა სრულყოფილი რომ გახდეს გასათვალისწინებელია მთელი რიგი რჩევები კერძოდ:

ფიზიკის X კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I თემის (ელექტროსტატიკა) თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნებები - ენერგია, მატერია და ფიზიკური პროცესი დამუშავების მიღმა არის დარჩენილი; პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია ძირითადი კონტექსტ - მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, სამიზნე ცნებები/ქვეცნებები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის, თუმცა არ არის განსაზღვრული მაგალითები შედარებისთვის

II თემის (მუდმივი დენის კანონები) თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნებები - ენერგია და ძალა დამუშავების მიღმა არის დარჩენილი; პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია ძირითადი კონტექსტ - მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, სამიზნე ცნებები/ქვეცნებები და სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის, თუმცა არ არის განსაზღვრული მაგალითები შედარებისთვი

რაც შეეხება საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების XI კლასის კურიკულუმის ჩარჩოებს, ვინაიდან პედაგოგებს ჯერ არ აქვთ გრიფირებული სახელმძღვანელოები და იგი ექნებათ დაახლოებით ერთ თვეში, 2023 – 2024 წლის სასწავლო წლის დაწყებამდე მას აუცილებლად გაწერენ .(სკოლას არ მოუწოდებია შესაბამისობის გეგმა და მოწოდებული კურიკულუმებიდან მხოლოდ ფიზიკაში არის განსაზღვრული, თუ რომელი ძირითადი კონტექსტ - მაგალითებით იმუშავენებ 2023 – 2024 სასწავლო წელს, ქიმიისა და ბიოლოგიის კურიკულუმის ჩარჩო არ არის განსაზღვრული ძირითადადი კონტექსტ - მაგალითი, და შეაბამისად, არ არის ნათელი, თუ რომელი ძირითადი კონტექსტ - მაგალითებით იმუშავენებ 2023 – 2024 სასწავლო წელს ქიმიასა და ბიოლოგიაში)

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმი შექმნილია იმგვარად, რომ მოსწავლეს მეხსიერებაში ხანგრძლივად, მკვიდრი წარმოდგენებს სახით დარჩეს ის ნასწავლი ინფორმაცია, რომელზეც მან სიღრმისეულად იმუშავა. მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და საკვანძო შეკითხვებს შორის

2.2.2.2.- საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **მათემატიკა**-მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მოსწავლეებს სთავაზობენ კომპლექსურ დავალებებს ისეთ თემებზე, რომლებიც მათ პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს.
- **სახელმწიფო ენა**-გასაუბრების შედეგად გამოვლინდა,რომ მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებაზე,აღნიშნეს, რომ გეგმავენ აქტივობებს და არჩევენ ისეთ დავალებებს, რომელიც მისცემს მოსწავლეებს საშუალებას ამოიცნონ საკუთარი ღირებულებები,ძლიერი და სუსტი მხარეები,მართონ საკუთარი ემოციები .კათედრა გამოხატავს მზაობას იმუშაოს ამ მიმართულებით და გაითვალისწინოს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას.
- **უცხოური ენები**- სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა პიროვნული და ინდივიდუალური შესაძლებლობების წარმოჩენაზე რაც დგინდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. ერთწლიან სასწავლო გეგმაში და უცხოური ენების კათედრის მიერ მოწოდებულ სამოქმედო გეგმაში გაწერილია ისეთი აქტივებების დაგეგმვა,განხორციელება როგორიცაა პროექტები, კლუბები, ოლიმპიადები,მიზნობრივი ექსკურსიები და ა.შ. რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი თემები, საკითხები ,კომპლექსური დავალებების იდეებიც ითვალისწინებს მოსწავლეების თანამშრომლობით მუშაობას, თვითშეფასებას ,ურთიერთშეფასებას, პიროვნულ ზრდას. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
- **სპორტი**- საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;, მასწავლებლის მიერ შეთავაზებული აქტივობები და რესურსი (ასევეე კურიკულუმსი თანდართული ჰიპერლინკები, სადაც წარმოდგენილია სპორტის შესაბამისი სახეობის წარმოშობის ისტორია) , არაფორმალურ განათლებაში ჩართულობა,. კურილულემებში გაწერილ თემების მიხედვით, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ კეთილდღეობას. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**
- **ესთეტიკური აღზრდა**-საგნობრივი კონტექტები შერჩეულია იმგვარად, რომ ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მათში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, მზაობა და ასაკობრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თავისებურებები. სკოლაში განხორციელებული აქტივობები ფორმალური თუ არაფორმალური მიმართულებით: კომპლექსური დავალებები,პროექტები. მომავალში სკოლას აქვს მზაობა მეტად დახვეწოს გაამრავალფეროვნოს არაფორმალური ტიპის აქტივობები რათა ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თვითცნობიერების, თვითრეგულაციის, სოციო-ემოციური და საკომუნიკაციო უნარების განვითარებას.

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“.
- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთათვის დავალების შექმნის დროს გათვალისწინებულია მოსწავლის განწყობა და მზაობა თემის მიმართ. რაც საშუალებას აძლევს მას დააფიქროს საკუთარ აზრებზე, ინტერესებსა და გრძნობებზე, ემოციების გამოხატვისას გაითვალისწინოს საზოგადოებისთვის მისაღები ფორმები, შეძლოს თანამშრომლობა , სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებთან გამკლავება, პრობლემის ეფექტურად გადაჭრა.

2.2.2.3.-. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

- **მათემატიკა**-თვითშეფასების კითხვარიდან ჩანს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.
- **სახელმწიფო ენა**-მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მიმართევენ თვითშეფასებას,ურთიერთშეფასებას.. მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა; შესაბამისად, გამოხატეს მზაობა იმუშაონ ამ პრინციპით და გაამახვილონ ყურადღება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში. ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **უცხოური ენები**-კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში და სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს სკოლის სწორი ხედვა შეფასების სისტემის თვალსაზრისით. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ამ ეტაპისთვის არ არის ჩაშენებული და არ ჩანს შეფასების პრაქტიკული ნიმუშები, ხერხები, სტრატეგიები, რუბრიკები , თუმცა , რადგან აღნიშნული კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების მართებული იდეები და კათედრასთან გასაუბრებისას მასწავლებლებმა წარმოაჩინეს გამოცდილება , ცოდნა განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასებების კუთხით, ვთვლი ,რომ უცხოური ენების კათედრა გამოხატავს მზაობას გამოიყენოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასების აუცილებელი კომპონენტები : დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით (ჰოლისტური) და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულ დონეებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
- **სპორტი** სკოლის მიერ შექმილი და წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნისთვის, თემების მიხედვით, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტით გაწერილ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან და გათვლილია მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებაზე, პედაგოგების თქმით, ისინი ხშირად იყენებებ საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას.. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**
- **ესთეტიკური აღზრდა**-შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს საკუთარი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. განმავითარებელი შეფასების სისტემატიური გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს უნარების დახვეწაში სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავების გზით. მასწავლებლის მიერ გაკეთებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომენტარებით, მშობელი მუდმივად იღებს ისეთ ინფორმააციას, რომელიც მისი შვილის განვითარებასა და საკუთარი სწავლის მნიშვნელობის გაცნობიერების წინაპირობაა.სამომავლოდ სკოლას აქვს მზაობა მეტად დახვეწოს მოსწავლეთა შეფასება სადიაგნოსტიკო წერების ანალიზის საფუძველზე.

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყელო კათედრის პედაგოგებს გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი. საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგები 20203 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსურ დავალებას შეაფასებენ განმავითარებელი შეფასების საშუალებით, შეიმუშავებენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს საშუალო საფეხურის სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემებთან მიმართებით, აწარმოებენ მოსწავლეთა დაკვირვებას, მოახდენენ დიაგნოსტიკური წერის ანალიზს
- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**-კათედრა იყენებს როგორც განმსზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებებს. მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული მოსწავლის ჰოლისტურად განვითარების პროცესში შეფასების მნიშვნელობა. 2023/24 სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრა შეიმუშავებს ცნებებზე დამყარებულ შეფასების რუბრიკებს.

2.2.2.4.- შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლის დირექციასთან, საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ შეფასების პროცესში კრიტერიუმების შემუშავების ეტაპზე გარკვეულწილად რთავენ პროცესში მოსწავლეებს და განიხილავენ მათთან ერთად. საგნობრივ კათედრებს აქვთ ისეთი მზაობა, რომ თავად შექმნან ისეთი შეფასების სისტემა, რომელიც იქნება სანდო,ვალიდური და გამჭვირვალე.

სკოლაში არსებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. საშუალო საფეხურზე გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებები . სკოლას სასწავლო გეგმაში პუნქტობრივად აქვს გაწერილი შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები. მაგალითად, **უცხოური ენების** კათედრამ წარმოადგინა პრეზენტაციის და ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკის ნიმუშები და მასწავლებლებმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრებისას აღნიშნეს რომ აქვთ მზაობა სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყონ შეფასების რუბრიკების შემუშავება .

სპორტის მასწავლებლები ფლობენ და იყენებენ პრაქტიკაში შეფასების რამოდენიმე ინსტრუმენტს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს. გასაუბრების დროს გამოიკვეთა (და თვითშეფასების ფორმაც ადასტურებს), რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდის შეფასების სისტემის დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი მიმართულებით სკოლაში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. მოსწავლეთათვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების რუბრიკები, რომელიც მათი ჩართულობით მუშავდება. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მისი განუყოფელი ნაწილია. გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა სამომავლოდ კიდევ უფრო მეტად დახვეწოს შეფასების სისტემა მოსწავლეათვის წერილობითი განმავითარებელი კომენტარის შემოღებით და შეფასების რუბრიკერბის დახვეწით. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები საგნების მიხედვით** მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი; სკოლაში საშუალო საფეხურის სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში იმოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი 10 - ქულიანი შეფასების სისტემა

2.2.2.5.- სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და სკოლის ავტორიზაციის განაცხადში ასახულია, რომ კათედრაზე არსებობს პრაქტიკა, თუ რამდენად გამართულად და ხარისხიანად მუშაობს შეფასების სისტემა. ვერიფიკაციას ახორციელებს დირექცია და ხარისხის მართვის ჯგუფი. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით სკოლაში ტრადიციულად ხორციელდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზი შემაჯამებელი და სემესტრული შეფასებების მიხედვით. საგნის მასწავლებლები ყოველი შემაჯამებელი დავალების შესრულების შემდეგ აკეთებენ შედეგების ანალიზს კლასის დონეზე. თუმცა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამომავლოდ კათედრა გეგმავს, რომ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი ისეთი შეიმუშაოს , რომ უფრო მოქნილი და დახვეწილი გახადოს. სკოლას წარმოდგენილი მასალებით, კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახული შეფასების სისტემის მექანიზმებით, გვიჩვენებს, თუ როგორ უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისობის შემოწმებას, რაც დაადასტურეს პედაგოგებმა გასაუბრების შედეგადაც; **საშუალო საფეხურზე** გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. სკოლა ამ საფეხურზე იყენებს განმავითარებელი შეფასების შემდეგ ინსტრუმენტებს: ა) მასწავლებლის უკუკავშირი; ბ) მოსწავლეთა თვითშეფასება; გ) მოსწავლეთა ურთიერთშეფასება; გ) სხვადასხვა კოგნიტური სქემები; დ) დიაგნოსტიკური შეფასება ე) ტესტირება და ა.შ. განმსაზღვრელი შეფასებით ფასდება მიღწეული შედეგები საშინაო დავალების, საკლასო მუშაობის, შემაჯამებელი დავალებების , სემესტრისა და წლის საბოლოო შეფასების მიხედვით ე.ს.გ.-ში მოცემული ათბალიანი შეფასების სისტემის შესაბამისად.

2.2.2.6.-- სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

აღნიშნული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები მოსწავლეთა ნამუშევრების სახით სკოლაში ინახება კანონის შესაბამისი ვადით. მომავალი წლიდან ეს ნამუშევრები შეინახება არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლას აქვს პრაქტიკა, რომ საგნობრივ კათედრაზე მასწავლებლებმა განიხილონ შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზის ამსახველი ანგარიშები. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კათედრის წევრებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღიცხვა და შენახვა, ასევე ინფორმაციას ასახავენ მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით . საშუალო საფეხურის რამდენიმე მოსწავლის პირადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქმეების დათვალიერების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ შეფასებასთან დაკავშირებული თითოეული ველი შევსებულია კლასების მიხედვით, ასახულია წლიური შედეგები საგნების მიხედვით, დადასტურებულია დამრიგებელთა ხელმოწერებით, სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის ნომრის, თარიღის მითითებითა და სკოლის ბეჭდის დამოწმებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.საშუალო საფეხურის კურიკულუმი

2.შეფასების რუბრიკები

3.კომპლექსური დავალებები

4. სასკოლო სასწავლო გეგმა;

5.სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

6. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.3.1.- სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნებს. სკოლის შენობა ადაპტირებულია შშმ და სსსმ საჭიროებებზე. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ყველა ის საჭირო სივრცე, რომელიც სრულ ადაპტაციას უზრუნველყოფს შშმ და სსსმ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. სკოლას აქვს ყველა სათანადო საჭირო მასალებით აღჭურვილი რესურსოთახი და ჰყავს სპეციალური მასწავლებლები, რომლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა მათი მაღალი მოტივაცია, საქმისადმი პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება. საკლასო ოთახებში შექმნილია პოზიტიური გარემო,სადაც მოსწავლე/მოსწავლეები თავს იგრძნობენ კომფორტულად. სკოლაში შექმნილია ისგ ჯგუფები და თითოეულ საგანში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ეთნიკური,რელიგიური კუთვნილების მქონე მოსწავლეთა ინტერესებს. ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობათა დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა კულტურული თავისებურებანი. იგეგმება ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლებიც უფრო მეტად შეუწყობს ხელს თანამშრომლობით ურთიერთობებს, პრობლემაზე ორიენტირებულ კომუნიკაციას.

2.2.3.2.- სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები და კურიკულუმების შედგენის მეთოდოლოგია, მასალების ანალიზი და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება მოსწავლეების საჭიროებებზე, შესაძლებლობებზე, ინტერესებზე დაფუძნებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესი მიმდინარეობს მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით, მასწავლებელი ფასილიტაციის პროცესში გეზს აძლევს მათ, რის შედეგადაც მოსწავლეები ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს,მონაწილეობენ ოლიმპიადებში, კონფერენციებში, წარმატებით ახორციელებენ კომპლექსურ დავალებებს და ა შ. სკოლა თვითშეფასების კითხვარში აღწერს, რომ მოსწავლეები სწავლის პროცესში არიან სუბიექტები და ისინი სწავლობენ საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მათთვის ნაცნობი კონტექსტების გამოყენებით. სხვადასხვა სახის ღონისძიებები, ოლიმპიადები, კონკურსები, კონფერენციები, დიაგნოსტიკური წერები და მათზე მიცემული განმავითარებელი უკუკავშირები მოსწავლეებს აძლევს მოტივაციისა და წინსვლის საშუალებას.

2.2.3.3. -- სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ზოგადად სკოლაში არსებული სოციალური ურთიერთობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სასწავლო პროცესის ხარისხზე. როგორც სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, თანამშრომლობითი კულტურა ურთიერთობის ის ფორმაა, რომელიც არსებით გავლენას ახდენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნაზე. სკოლის თანამშრომლები თავისი შესაძლებლობისა და კვალიფიკაციის ფარგლებში ცდილობენ ერთობლივად იზრუნონ მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე. როგორც აღნიშნეს, პროცესი ფრაგმენტული ხასიათიდან ნელ-ნელა გადადის საერთო სასკოლო კულტურის არსებით ნაწილში. თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერების კონტექსტში სკოლა მნიშვნელოვან როლს ანიჭებს ე.წ. ,, მილენიუმის პროექტის „ ფარგლებში ჩატარებულ ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებს. თანამშრომლობითი კულტურის მნიშვნელოვან გამოხატულებად დასახელდა კურიკულუმებზე ერთობლივად მუშაობისა და და მის დანერგვაზე გაზიარებული პასუხისმგებლობის გადანაწილების აქტივობები, ასევე თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას ხელს უწყობს საგნობრივ კათედრებზე კომპლექსური დავალებების ერთობლივი დაგეგმვა, სასწავლო და სასკოლო პროექტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.3.4.- უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე;

აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. როგორც სკოლის მასწავლებლებლებთან და სტრუქტურულ ერთეულებთან საუბრისას გამოიკვეთა, სკოლის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. ყურადღებიანი, ემპათიური და მეგობრული მასწავლებელი დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე. მასწავლებელი მოსწავლეს უდგება როგორც ინდივიდს თავისი საჭიროებით, სურვილებითა და ინტერესებით. მოსწავლეს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი და დასვას მისთვის საინტერესო კითხვები. სასწავლო პროცესში მოსწავლეები და მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. როგორც აღნიშნეს, როდესაც საუბრობენ პოზიტიურ საკლასო გარემოზე, ითვალისწინებენ სასკოლო გარემოსაც, რადგან ისინი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. სკოლა ცდილობს შემქნას პოზიტიური ფიზიკური გარემო, მოსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი რესურსები და დაამკვიდროს ურთიერთობის ჯანსაღი წესები კეთილგანწყობილი, მზრუნველი ატმოსფეროს შესაქმნელად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. სკოლის შინაგანაწესი;
3. ერთწლიანი სასწავლო გეგმა;
4. კათედრის სხდომის ოქმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საშუალო საფეხურის კურიკულუმი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.1.1.- მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რადგან კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში წამოდგენილია სასკოლო კურიკულუმის განვითარების ძირითადი პროცესები და ეტაპები. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ, რომ სკოლა , ყოველი განსაზღვრული პერიოდისათვის, გეგმავს, შეიმუშავებს ყოველწლიურ სამუშაო გეგმას - ახორციელებს მონიტორინგს და შეფასებას მის შესრულებაზე. სკოლას აგრეთვე აქვს წარმოდგენილი სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომლის მიზანია სწავლა-სწავლებისა და მართვის პროცესების შეფასების, გაუმჯობესების და დაწესებულების მდგრადი განვითარება. გარდა ამისა, კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს,რომ კათედრის წარმომადგენლები განიხილავენ მიღწეულ შედეგებს, აჯამებენ, აანალიზებენ სასწავლო პროცესს, რასაც ითვალისწინებენ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავებაში.
მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სკოლა მომავალი სასწავლო წელს მონიტორინგისა და შეფასების აქტივობების დაწყებამდე განავითარებს მეთოდოლოგიურ ჩარჩოს, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი ნაბიჯები და აქტივობები კურიკულუმსა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებაზე.

2.3.1.2. --მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

აღნიშნულ **კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სკოლა** 2022-2023 სასწავლო წლის მანძილზე სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებისათვის სკოლა დაეყრდნო მოსწავლეთა შედეგებს და სკოლის საჭიროებების დიაგნოსტირების საფუძველზე შეაფასა სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში სკოლა ასახავს კურიკულუმის ძლიერ და სუსტ მხარეებს, გამოიკვეთება ხელისშემშლელი ფაქტორები და დაიგეგმება ცვლილებები კურიკულუმის შედეგიანად განხორციელებისათვის. საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებთან საუბრისას გამოიკვეთა , რომ კათედრების შექმნიან კომპლექსური დავალებების შეფასებისა და მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის შესამოწმებელ რუბრიკებს. სამომავლოდ უფრო მასშტაბურად და სისტემურად იგეგმება დიაგნოსტიკური კვლევების მეთოდების გამოყენების გზით კურიკულუმის დანერგვის/ მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგი. მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს სკოლა აუცილებლად გაითვალისწინებს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამის ცვლილებებს შეიტანს 2023-2024 სასწავლო წლისთვის დაგეგმილ კურიკულუმებში, ინფორმაციას, დაგეგმილ სიახლეებს გააზიარებს სასკოლო საზოგადოების წინაშე.

2.3.1.3.-- მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

აღნიშნულ **კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.** 2022-2023 სასწავლო წლის ბოლოს განხორციელებული მონიტორინგი კათედრებისა და მასში შემავალი წევრი მასწავლებლების საქმიანობების დონეზე იძლევა შესაძლებლობას გამოიკვეთოს სკოლის საჭიროებები და სწორად განისაზღვროს წინსვლისთვის შემდგომი ნაბიჯები, რომლებიც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალებაა. სკოლა გეგმავს შიდა-სასკოლო სადიაგნოსტიკო წერების შედეგებთან შედარებას კათედრის დონეზე. რითაც განსაზღვრული აქვს, რომ შეძლებს ფართო ჭრილში დაინახოს მიგნებები და გამოწვევები, შემდეგ კი დაგეგმოს ინტერვენციები. განხორციელებულმა მონიტორინგმა მისცა ინფორმაცია სკოლას პროცესის შედეგიანობის შესაფასებლად. სკოლა მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე კურიკულუმის დანერგვის პროცესი გარკვეული ხარვეზებით მიმდინარეობს და მნიშვნელოვანია მასში მიზნობრივად სწორი ცვლილებების შეტანა. კონკრეტულად საჭიროებათა დამატებით კვლევა და ამ კვლევის შედეგად გამოვლენილ შედეგებზე რეაგირება, გამკლავება. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შეფასების რუბრიკები
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

5.სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.2.1.-- შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

აღნიშნულ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.** როგორც სკოლის დირექციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, სკოლა პირველივე ეტაპზევე ჩაერთო ,,ახალი სკოლის მოდელის“ პროგრამაში, შესაბამისად წლების გამოცდილება აქვს სკოლას იმისა, რომ განახორციელოს შეფასება მრავალფეროვანი წყაროების მიხედვით. სკოლა წარმოდგენილი მასალებით, კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახული შეფასების სისტემის მექანიზმებით, გვიჩვენებს, თუ როგორ უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისობის შემოწმებას, რაც დაადასტურეს პედაგოგებმა გასაუბრების შედეგადაც;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **მათემატიკა**- მასწავლებთან ინტერვიუმ და თვითშეფასების კითხვარმა აჩვენა, რომ სკოლაში მოსწავლის და პროცესის შეფასების სისტემა ჰოლისტური ხასიათისაა, ეყრდნობა მრავალფეროვან ინსტრუმენტებს: ჩართულია მშობელი, აქტუალურია მოსწავლეების ურთიერთშეფასება, რითიც იღრმავებენ ცოდნას და იძენენ გამოცდილებას. სკოლას აქვს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კომპლექსურ დავალებებს კი აფასებენ სოლო ტაქსონომიით - ზეპირი უკუკავშირის ფორმით აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. შეფასების სისტემაში იცავენ ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობის/სამართლიანობის პრინციპებს.
- **სახელმწიფო ენა**-თვითშეფასების კითხვარიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე ,ირკვევა, რომ შეფასებისას იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს-კითხვარებს, ინტერვიუებს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან(მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, სხვა დაინტერესებული პირი), რათა მიიღონ სრული და რეალური სურათი..ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
- **უცხოური ენები**- სკოლა საშუალო საფეხურზე იყენებს როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასების სხვადასხვა სახის ინსტრუმენტებს. წარმოდგენილ კურიკულუმებს ამ ეტაპზე არ ახლავს შეფასების რუბრიკები თუმცა წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები მოიაზრებს მრავალფეროვანი შეფასების წყაროების გამოყენებას. ინგლისური და რუსული ენების მასწავლებლებმა წარმოადგინეს სხვადასხვა სახის შეფასების რუბრიკების ნიმუშები და გასაუბრების შედეგად უცხოური ენების კათედრამ წარმოაჩინა მზაობა შეიმუშავოს შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები კურიკულუმში გაწერილი აქტივობებისათვის .
- **სპორტი** - .საშუალო საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდა და სპორტის საგნის პედაგოგები განმავითარებელი შეფასებისას ითვალისწინებს , საგნის საფეხურის მისაღწევ შედეგებს, მოსწავლეთა ფიზიკურ და პიროვნულ მახასიათებლებს, დამრიგებლებისგან მიღებულ ინფორმაციას.... ამ მიდგომის შესახებ საუბარი იყო თვითშეფასების ფორმაშიც. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**
- **ესთეტიკური აღზრდ**ა-შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა(განმავითარებელი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. მიმდინარე განმავითარებელი შეფასების სისტემატიური გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს უნარების დახვეწაში სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავების გზით. მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარებით, მშობელი მუდმივად იღებს ისეთ ინფორმააციას, რომელიც მისი შვილის განვითარებასა და საკუთარი სწავლის მნიშვნელობის გაცნობიერების წინაპირობაა.

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**-მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში შეიმუშავებს შეფასების რუბრიკებს, რომელიც შაემცირებს შეფასებისას შეცდომის დაშვების ალბათობას და უზრუნველყოფს სრული სურათის მიღებას. სკოლა შეფასებას მოახდენს მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით, კერძოდ, მათ მიერ გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანალიზი, დიაგნოსტიკური შეფასებები, კომპლექსური, საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები.

2.3.2.2.- შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

აღნიშნულ კომპონენტში **სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს,** რადგან სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა გამომდინარეობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმიდან, კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას. მოსწავლე არ ფასდება მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ გათვალისწინებულია ბევრი სხვა ფაქტორიც. საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება მუშაობის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, მთელი კლასი, ინდივიდუალური პრეზენტაცია და ა.შ. შეფასებაც ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით, რომლებიც შემუშავებულია საგნობრივ კათედრებზე და წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს. სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი , ისე განმავითარებელი შეფასება იმ კლასებსა და საფეხურებზე, როგორც ეს მოცემულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში. მოსწავლეები ფასდებიან ამასთანავე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკლასო, დამოუკიდებელი და შემაჯამებელი დავალებების კომპონენტებით. ხოლო კომპლექსური დავალებების შეფასება ხდება სოლო-ტაქსონომიის მეშვეობით, ინდივიდუალურად მათი ცოდნისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

2.3.2.3- შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რადგან სკოლა შეფასებისათვის საჭირო მონაცემთა შეგროვებას სხვადასხვა გზით ახორციელებს. საგნობრივი კათედრების ოქმები, სხვადასხვა ტიპის კითხვარები, ხარისხის ჯგუფის შეფასების ფორმები, რომელთა ანალიზის საფუძველზე ისახება პრობლემის გადაჭრის გზები და სამომავლო გეგმები. საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ახალი კურიკულუმების დანერგვის ეტაპზე თავდაპირველად მონაცემთა შეგროვებას სადიაგნოსტიკო ტესტების საშუალებით შეძლებენ , შეისწავლიან თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებსა და ინტერესებს და გამოვლენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად საჭიროების შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეძლებენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენას. პედაგოგები იდენტიფიცირებული პრობლემის აღმოფხვრაზე მუშობენ კომპლექსურად.

2.2.2.4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით;

სკოლის დირექციასთან, საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებთან, სპეციალურ მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შეფასების პროცესსა და მექანიზმებს დიდ ყურადღებას უთმობს სკოლა, თუმცა ამ პროცესის გაუმჯობესება სკოლის ერთ-ერთი გამოწვევაა. ვერიფიკაციის მექანიზმი ჩაშენებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების შესახებ წარმოდგენილ ნაწილში და სკოლა მომდევნო სასწავლო წლისთვის გამოკვეთს ცალკე ვერიფიკაციის მექანიზმებს. სკოლის შეფასების სისტემა გაუმჯობესდება ამ მექანიზმებზე დაყრდნობით , სადაც ნათლად აისახება, თუ რა შიდა ან გარე ფაქტორებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ითვალისწინებენ მასწავლებლები შეფასების დროს ან რა ფაქტორებს გაითვალისწინებენ მომავალში; ვინაიდან სკოლის მუშაობის პროცესში გამოკვეთილია თუ რას აეკეთებს სკოლა და რას გააკეთებს მომავალში,**შეიძლება ითქვას, რომ ამ კომპონენტშიც სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
2. საშუალო საფეხურის კურიკულუმი
3. შეფასების რუბრიკები
4. სასკოლო სასწავლო გეგმა;
5. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის საჯარო სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1.- იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლაში ამ ეტაპზეც მუშავდება საგნობრივი კურიკულუმები, სკოლა ასევე გეგმავს კურიკულუმის განხორციელების პროცესზე დაკვირვებას, გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლასა და მონაცემების მოგროვებას. სკოლისათვის მნიშვნელოვან საქმიანობას წარმოადგენს, რომ მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოსათვის, როდესაც საგნობრივი კათედრები შეაჯერებენ მათ ხელთ არსებულ მონაცემებს - გაკვეთილებზე დაკვირვებისა თუ მასწავლებლების რეფლექსიებს, განხორციელებულ შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგებს (მოსწავლეთა მიღწევებს) - შეიმუშავებენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს. ამ ეტაპზე სკოლაში ითვალისწინებენ მიღწევების შედეგებს, აანალიზებენ ანალიზს, თვითშეფასების საფუძველზე ქმნიან გადამუშავებულ კურიკულუმებს, ამის დასტურია თუნდაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები.შესაბამისად, სკოლის მზაობიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაციებისა და სამომავლო გეგმების გათვალისიწნებით **აღნიშნულ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2.4.1.2.- კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს;

თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, რომ კურიკულუმის გადამუშავებისა და განახლებისას გაითვალისწინებენ პედაგოგები წინარე გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, შემუშავდება რეკომენდაციები კურიკულუმის გასაუმჯობესებლად და ამ რეკომენდაციების საფუძველზე შეიქმნება კურიკულუმის განახლებული ვერსია.სკოლაში საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის, შეფასების შედეგებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკვეთება სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა . მასწავლებლებთან გასაუბრებამ წარმოაჩინა თანამშრომლობაზე და გამოცდილებაზე დაფუძნებული პრაქტიკის არსებობა . საშუალო საფეხურის საგნობრივი კათედრების მასწავლებლებლებმა აღნიშნეს ,რომ ყოველი წლის ბოლოს განიხილავენ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს , კურიკულუმებს, შეფასების ფორმებს და მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე გეგმავენ ,ქმნიან განახლებულ ვერსიებს. სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის საშუალო საფეხურის კურიკულუმების შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები.2023-24 სასწავლო წლის საშუალო საფეხურის გადამუშავებული კურუკულუმები მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულ შესაბამისობაში მოვა ახალი თაობის ე.ს.გ. მოთხოვნებთან. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
2. საშუალო საფეხურის კურიკულუმი
3. სკოლის წლიური სამუშაო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი- შესაბამისობის გეგმა

01.09.2023

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: